სახელმძღვანელო

ქართული საკვირაო სკოლებისათვის

პირველი საფეხური

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

თბილისი 2018

პირველი საფეხურის სახელმძღვანელო განკუთვნილია საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული საკვირაო სკოლების 6-14 წლის ასაკის მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოს ახლავს მოსწავლის რვეული, კალიგრაფიის რვეული და მასწავლებლის გზამკვლევი.

სახელმძღვანელო შეიქმნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში.

სახელმძღვანელო ეძღვნება საქართველოს პირველი

დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 100 წლის იუბილეს.

100 წელი
საქართველოს პირველი
დემოკრატიული რესპუბლიკის
დაარსებიდან

ავტორი: მაია მელიქიძე

რედაქტორი: მაია ბოჭორიშვილი

მხატვარი: მაკა ჯებირაშვილი

დიზაინერ-დამკაბადონებელი: თეონა კერესელიძე

ISBN 978-9941-8-0687-2

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

2018 წელი

წინასიტყვაობა

ქართულ სახელმწიფოს, უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან მიმართებაში, მკვეთრად ჩამოყალიბებული და მიზანმიმართული პოლიტიკა გააჩნია. განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად კონსტიტუციაში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის თანახმადაც „სახელმწიფო ზრუნავს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნებასა და განვითარებაზე“ (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 5. პუნქტი 8).

2017 წელს საგარეო საქმეთა სამინისტრომ დიასპორასთან ურთიერთობის მაღალი პასუხისმგებლობითა და დიასპორის წარმომადგენელთა მაღალი ჩართულობით შეიმუშავა სტრატეგიული დოკუმენტი სახელწოდებით „ერთიანი ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა“, რომლის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა.

ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების მიზნით, საკვირაო სკოლების საქმიანობის მხარდაჭერა საგარეო საქმეთა სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შესაბამისად, საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა დაიწყო „საკვირაო სკოლების მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელება, რომლის ფარგლებშიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის მოამზადა ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამა, რომელიც გულისხმობს ქართული ენის კურსის ფარგლებში სწორედ საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული კულტურის საკითხების სწავლებასაც გაერთიანებული სწავლების პრინციპით. ამ ინტეგრირებულ პროგრამაზე დაყრდნობით საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით შეიქმნა სპეციალური სამსაფეხურიანი სახელმძღვანელოები, რომლებიც შეესაბამება ქართული ენის ინტეგრირებული პროგრამის მოთხოვნებს და განკუთვნილია 6-14 წლის მოსწავლეებისათვის.

სახელმძღვანელოები აგებულია თანამედროვე პრინციპების გათვალისწინებით და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სთავაზობს ისეთ სასწავლო მასალას, რომელიც უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ-კომუნიკაციური კომპეტენციების ათვისება-განვითარებასა და შესაბამისი საფეხურის მიზნების მიღწევას.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ საკვირაო სკოლების პედაგოგებსა და დიასპორული ორგანიზაციების წარმომადგენლებს როგორც პროგრამის, ისე სახელმძღვანელოების მომზადების პროცესში აქტიური თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

გისურვებთ წარმატებებს!

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

სარჩევი

პირველი ნაწილი

ვისწავლოთ წერა-კითხვა 2

მეორე ნაწილი

თემა 1

ჩემი საოჯახო ალბომი 31

თემა 2

ჩემი საქართველო 43

თემა 3

ვინ ცხოვრობს ამ სახლში? 57

თემა 4

ქალაქის ამბები 69

თემა 5

წელიწადის დროები 81

თემა 6

ახალი წელია! 95

თემა 7

ცხოველთა სამყაროში 107

თემა 8

ორშაბათიდან ორშაბათამდე 119

დანართი

ზმნური ლექსიკონი 132

გრამატიკული გზამკვლევი 138

გავიცნოთ ერთმანეთი

1. გაიმეორეთ მასწავლებლის დახმარებით.

ეს ვინ არის? ეს რა არის?	შენ რა გქვია?	მე მქვია ...
ეს არის ...	მას რა ჰქვია?	მას ჰქვია ...

ეს არის საქართველო!

ეს საქართველო**ა**!

ეს არის თეა.	ეს არის უჩა.	___ არის ია.	ეს ____ თომა.
ეს თეა**ა**.	ეს უჩა**ა**.	___ ია**ა**.	ეს ____.

2. დასვით შეკითხვები და უპასუხეთ მასწავლებლის დახმარებით.

ეს ვინ არის? - ეს არის თეა / ეს თეაა! ეს არის უჩა / ეს უჩაა! და ა.შ.

ეს რა არის? - ეს არის საქართველო / ეს საქართველოა!

ეს არის ... / მას ჰქვია ...

3. გაიმეორეთ მასწავლებლის დახმარებით.

ეს არის ანო. **მას ჰქვია** ანო.

ანო არის გოგო. / ანო გოგოა.

ეს არის ვანო. **მას ჰქვია** ვანო.

ვანო არის ბიჭი. / ვანო ბიჭია.

4. უპასუხეთ მასწავლებლის დახმარებით.

ვინ არის ეს?
ვინ არის თეა?

რა ჰქვია მას?
ვინ არის თომა? და ა.შ.

თეა

უჩა

ია

თომა

5. დაასახელეთ: ვინ ხარ და რა გქვია?

6. დაარქვით სახელები და გააცანით ერთმანეთს. ვინ არის ის და რა ჰქვია მას?

1. გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები მასწავლებლის დახმარებით.

- გამარჯობა, **მე ვარ** გიორგი! **შენ ვინ ხარ?**
- გამარჯობა, გიორგი! მე ელენე ვარ.
- ელენე, **ვინ არის ის** ბიჭი?
- ის ბიჭი დათოა.
- გამარჯობა, დათო!
- გამარჯობა, გიორგი!

მე **ვარ** ...	მე **მქვია** ...
შენ ხარ ...	შენ გქვია ...
ის არის ...	**მას** ჰქვია ...

- გამარჯობა, **მე მქვია** სალომე! **შენ რა გქვია?**
- გამარჯობა, სალომე! მე ზაზა მქვია.
- ზაზა, **რა ჰქვია იმ** გოგოს?
- **მას ჰქვია** ნინო.
- გამარჯობა, ნინო!
- გამარჯობა, ზაზა!

ვისწავლოთ ხმოვნები



2. წაიკითხეთ მასწავლებლის დახმარებით.



აი ია

აი ხე



აი უთო

3. დაასახელეთ, რომელი ხმოვნებია გამოტოვებული.

__ი თ__ა

ა__ __ჩ ა

__ი __ა

აი თ__მ_

4. წაიკითხეთ და მოძებნეთ ნახატის შესაბამისი სიტყვა.



აი ეი ოი უი ია იე იო იუ

ხა ხი ხე ხო ხუ ახ იხ ეხ ოხ უხ

5. წაიკითხეთ რეპლიკები და მიუთითეთ, ვინ ამბობს - ბიჭი თუ გოგო?

- ია, აი ია!
- უი, ია!

6. წაიკითხეთ და დააკავშირეთ. რომელია ზედმეტი?

ია თომა ხე თეა უთო უჩა



1. ისწავლეთ და დაასახელეთ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ეს არის საათი. / ეს საათია.



2. გამოიყენეთ წინა დავალების ნახატები. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

ნიმუში:

- ნიკა, რა არის ეს?
- ეს არის ზარი.

- მაია, ეს ნავია?
- არა, ეს არ არის ნავი. ეს გემია.

- ია, ეს არის საათი?
- დიახ, ეს საათია.

ვისწავლოთ თანხმოვნები





ა ი **მ**ა ი მ უ ნ ი

ა ი **ნ**ა ვ ი



ა ი **თ**უ თ ა



ა ი თ ა **ვ**ი

3. მოისმინეთ ენის გასატეხები და გაიმეორეთ.

მელამ მოგაგნო, მამალო, მურას მოუხმე მალეო!

თეთრი თხა გავათხათეთრე.

ნანა ნინოს ბანანს ჩუქნის.

4. დაასახელეთ საკუთარი სახელები, რომლებიც იწყება მ თ ნ ვ **თანხმოვნებზე.**

5. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

ა) ანო
ბ) ვანო



ა) თავი
ბ) მთა

ა) თმა
ბ) მთა

ვინ? და რა?

მთა	თათა
ნავი	თამუნა
თავი	ანო
მაიმუნი...	ვანო...

1. წაიკითხეთ, დაასახელეთ ზედმეტი სიტყვა და დაუსვით კითხვა.

- თუთა თათა უთო თითი
- თავი თითი თმა მთა

- მაია ვანო მაიმუნი თომა
- ნავი თავი თმა ანო

2. გამოყავით სიტყვები და წაიკითხეთ.

მთანავიმაიმუნითავითეონათითითუთაიავანოანო

3. მოძებნეთ წინა დავალებაში მოცემული სიტყვები სურათზე და მიუთითეთ. დაასახელეთ, რომელი არ არის სურათზე.

4. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები სურათის მიხედვით და უპასუხეთ.

ნიმუში: გიორგი, ეს რა არის? / ნათია, ეს ვინ არის?
ანა, ეს არის ...?

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები



აი ბუ



აი მზე

აი საათი

აი ზარი

5. მოისმინეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

ზარი ზანზარებს უზარმაზარი.

თეთრი თრითინა თეთრ თრთვილზე თრთოდა.

6. გამოყავით სიტყვები და წაიკითხეთ.

ბუ|ბუზიბურთიიაიასამანისაათისურათიმზემზიაობობა

7. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

ა) ობობა
ბ) ბუზი

ა) სურათი
ბ) საათი



ა) ზურა
ბ) ზებრა

ა) სოსისი
ბ) სოსო

8. წაიკითხეთ, დაასახელეთ ზედმეტი სიტყვა და დაუსვით კითხვა.

- ზარი მზე მზია ზებრა
- ბანანი ნანი ნავი საათი

- ბუ ბუზი ობობა უთო
- თევზი თუთა თათა მთა

ეს - ის

ეს არის ზაზა, **ის** არის თომა; **ეს** არის მზია, **ის** არის მზე; **ეს** მე ვარ, **ის** რეზოა.

ის მზიაა? - **არა,** ის **არ არის** მზია, ეს არის მზია. ის არის მზე.

1. წაიკითხეთ დიალოგები და დაასახელეთ, რომელი შეესაბამება სურათს.

1

- ბაბუა, ეს არის ზებრა?
- არა, ეს არ არის ზებრა. აი, ის არის ზებრა!

2

- სოსო, ის ვინ არის?
- აბა, ვინ, რეზო?
- აი, ის!
- ის მზიას ნათესავია, ზაზა.

3

- ეს ბათუმია, ეს მე ვარ, ეს ბაბუაა.
- ეს ვინ არის, თემურია?
- არა, ეს თომაა, თემური მეორეა.

2. ამოხსენით რებუსები.

’ + = ?

ნ + ’ = ?

+ ზი = ?

3. ისწავლეთ და დაასახელეთ ნიმუშის მიხედვით: ეს არის ბალი. / ეს ბალია.

4. წაიკითხეთ ნაკლული დიალოგები და შეავსეთ კონტექსტის მიხედვით.

- დათო, რა არის ეს?
- ეს ---- სოკო.

- ლია, --- არის ლეკვი?
- კი, ის --------.

- დალი, ეს ენძელაა?
- ----, ეს --- არის ენძელა. ეს ვარდია.

5. გამოიყენეთ ნახატები. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ წინა დავალების მიხედვით. დაუბრუნდით ნახატებს და დაასახელეთ, რომელია:

ცხოველი ფრინველი მწერი ყვავილი ხილი

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები





ა ი დ ა ნ ა ა ი ლ ო მ ი ა ი კ უ ა ი ძ უ ა

1. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

რაკ-რაკ-რაკ, რაკრაკებს რუ.

ძეძვის ძირს მიძინებულმა ძლივს გაიღვიძა ენძელამ.

თეთრ თელასთან ფთილაა თუ თეოს თეთრი თრითინა თვლემს.

2. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.



ა) კედელი	ა) ლიმონი	ა) სოსისი	ა) ბეკეკა	ა) ბულბული
ბ) კოდალა	ბ) ლომი	ბ) სიმინდი	ბ) კალია	ბ) ბუმბული

3. მოძებნეთ სიტყვა სიტყვაში და დაასახელეთ.

ბულბული კუდი კალია იასამანი ვანო ბაია ბურთი

4. ისწავლეთ ქართულად დათვლა.

რამდენი?

0 1 2 3 4 5 6 7 8 9 10

5. წაიკითხეთ და დააკავშირეთ ციფრებთან.

სამი ათი ორი რვა ერთი ნული

6. წაიკითხეთ და გაასწორეთ შეცდომები ზეპირად.



1. არის სამი კალია და რვა სათვალე.
2. ეს არის მამალი. მამალი არის ათი.
3. ბალი არის ერთი, კაკალი კი - ორი.
4. ეს ბუმბულია. ბუმბული არის სამი.
5. არის რვა ლეკვი და ერთი ლოკოკინა.











7. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

ნიმუში: რამდენი კალიაა? რა არის რვა?

ვისი?

რეზოს დედა ანას მამა მარიამის ბებია თომას ბაბუა ლიას ძმა გიას და
ნუნუს საათი ვანოს კლასელი რამაზის მეზობელი თეას ნათესავი

1. გაიცანით თომას ოჯახი.



შვილი
შვილიშვილი
მშობლები

2. წაიკითხეთ ტექსტი. რომელი წინადადებები არ უკავშირდება თომას ოჯახს?

ეს არის თომა. თომა სალომეს და ნინოს ძმაა. ეს თომას მამაა - სოსო, ეს კი თომას დედაა - ელენე. ეს ლევანია. ლევანი თომას ბაბუაა. ის თომას დედის - ელენეს მამაა, ზურაბი კი თომას მამის - სოსოს მამაა. თამარი და მარიამი თომას ბებიები არიან. თამარი ელენეს დედაა, მარიამი კი - სოსოს დედა.

ეს ვანოა. ვანო თომას კლასელია, ანო კი მისი მეზობელია. ანო და ვანო ნათესავები არიან.

3. უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

1) რა ჰქვია თომას დედას? მამას?
2) ვინ არის სოსო?
3) რამდენი შვილი ჰყავთ ელენეს და სოსოს?
4) ვისი მშობლები არიან თამარი და ლევანი? ზურაბი და მარიამი? ელენე და სოსო?
5) ვისი ძმაა თომა?
6) ვისი დები არიან სალომე და ნინო?
7) რამდენი და ჰყავს თომას? რამდენი ძმა ჰყავს სალომეს?

ერთი	ორი...	ბევრი
და	და	დ-ები
ბებია	ბებია	ბები-ები
მამა	მამა	მამ-ები

4. გამოიყენეთ თომას ოჯახის სქემა და დაასრულეთ წინადადებები ზეპირად.

1) თომა არის ელენეს და სოსოს ___?___
2) თომა, ნინო და სალომე არიან ელენეს და სოსოს ___?___
3) ლევანი და თამარი არიან თომას ___?___ და ___?___
4) ლევანი და ზურაბი არიან თომას ___?___
5) სოსოს დედა არის ___?___
6) თომა არის მარიამის და ზურაბის ___?___
7) თომა, სალომე და ნინო არიან მარიამის და ზურაბის ___?___

5. რომელია სწორი პასუხი?

- **დათო, ვინ არის თეონა?**
  ა) - მაიას მეზობელია.
  ბ) - ეს არ არის მაიას მეზობელი.
  გ) - კი, ის მაიას მეზობელია.

- **ზაზა, ის ვინ არის?**
  ა) - არა, ის არ არის.
  ბ) - ის ნათიას ძმაა.
  გ) - ის არ არის ნათიას ძმა.

- **დალი, ეს არის ბებიას სათვალე?**
  ა) - კი, ის არის.
  ბ) - ეს არ არის სათვალე.
  გ) - კი, ეს არის.

6. მოძებნე ზედმეტი სიტყვა, დაუსვი კითხვა და დაასახელე, რა არის:

- ბანანი ობობა თუთა კაკალი ბალი
- ია იასამანი მაიმუნი ვარდი ენძელა
- მამალი მათე თოლია ბუ ბულბული
- ლომი ვარდი ზებრა დათვი მელა
- ბუზი ობობა კალია ბულბული
- რეზო სოსო ლალი ალუბალი თათა

ადამიანი
ცხოველი
ფრინველი
მწერი
ყვავილი
ხილი

რა მაქვს? რა მყავს?

მაქვს კომპიუტერი, სათვალე, ტელეფონი... მყავს ველოსიპედი, მანქანა, ლეკვი...

1. ისწავლეთ და დაასახელეთ, რა არის.

2. გამოიყენეთ ცხრილი და თქვით:

ვის რა აქვს და რა ჰყავს? რა არ აქვს და რა არ ჰყავს? რა აქვს და რა ჰყავს ორივეს?

თათა	
სოსო	

3. გაინაწილეთ როლები, ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ ნიმუშის მიხედვით.

- მაია, გყავს ველოსიპედი?
- არა, ველოსიპედი არ მყავს. მე მყავს მანქანა.

4. დაასახელეთ, რა გაქვთ და გყავთ და რა - არა ამ გვერდზე მოცემული ნახატებიდან.

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები





აი გემი

აი ხე

აი ტელეფონი

აი პეპელა

5. მოისმინეთ ენის გასატეხები და გაიმეორეთ.

ხევ-ხევ ხერხი მოცუხცუხებს, აცახცახებს ვერხვებს, მუხებს.

ტატას ბატი ფარფატა ტალახ-ტალახ ტანტალებს.

ნამნაპკური ნანას ყანა ტანს იმშვენებს თანდათანა.

6. მოძებნეთ სიტყვა სიტყვაში და დაასახელეთ.

ხერხი გუგული ხელი ალუბალი მამალი დედალი მინდორი

7. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

ა) პინგვინი
ბ) პეპელა

ა) ხელი
ბ) ხერხი

ა) ბატი
ბ) ბოტი

ა) თხილი
ბ) თხა



ა) კატა
ბ) კატო

8. დაასახელეთ, რა არის: პინგვინი, პეპელა, კატა, ზამბახი, ხურმა, ველოსიპედი?

სად? რაზე?

დანა **დევს** მაგიდა**ზე.**	გოგონა **ზის** სკამ**ზე.**	საათი **კიდია** კედელ**ზე.**
ბურთი **დევს** იატაკ**ზე.**	ლეკვი **ზის** ტახტ**ზე.**	ვაზა **დგას** მაგიდა**ზე.**

1. მოძებნე ისინი სურათებზე და მიუთითე.

სკამი

სავარძელი

მაგიდა

კარადა



ტახტი

თარო

მერხი

სანათი

2. აღწერეთ სურათები მასწავლებლის შეკითხვების დახმარებით.

ვინ დგას? რა დგას? ვინ ზის სკამზე? ვინ ზის ტახტზე?
რა დევს მაგიდაზე? რა კიდია კედელზე?

3. დაუბრუნდით სურათებს და შეადარეთ ისინი ერთმანეთს.

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები



აი შეშა

აი ქოლგა



აი ღორი

აი ოფოფი

4. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

შარიშურა შინდიანში შტოზე შეჯდა შვიდი შაშვი.

ქრის, ქრის, ქრის ქარი სექტემბრის.

ფრთაფოფინა ფარშავანგი ფანტავს ფერად ფერებსაო,
ფრინველეთის დედოფლობას ფრიად შეიფერებსაო.

5. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

ა) შაშვი
ბ) შეშა

ა) ქათამი
ბ) ქოთანი

ა) ქუდი
ბ) კუდი

ა) ღრუბელი
ბ) ბელი



ა) ფეხი
ბ) ვეფხვი

6. წაიკითხეთ წინადადებები და უპასუხეთ მასწავლებლის შეკითხვებს.

ქათამი კაკანებს. თხა კიკინებს. ღორი ღრუტუნებს. ვეფხვი ღრიალებს, ლომიც ღრიალებს. შაშვი გალობს, ბულბულიც გალობს. კატა კნავის. ძროხა ზმუის. ბუზი ბზუის. ბატი სისინებს.

როგორია?

ის არის დიდი / პატარა; გრძელი / მოკლე; მაღალი / დაბალი; მსუქანი / გამხდარი

ის დიდ**ია** / პატარა**ა**; გრძელ**ია** / მოკლ**ეა**; მაღალ**ია** / დაბალ**ია**; მსუქან**ია** / გამხდარ**ია**

1. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ.



დიდი პატარა გრძელი მოკლე მსუქანი გამხდარი მაღალი დაბალი

2. წაიკითხეთ და დაასახელეთ, რომელი არ არის აქედან ყუთში.



ფუტკარი აქლემი დელფინი კურდღელი ზღარბი

3. შეადარეთ ერთმანეთს.



ქალ**ს** (მას) **უკეთია** სათვალე, საათი... / გოგო**ს** (მას) **აცვია** შარვალი, კაბა...

4. წაიკითხეთ წინადადებები, მოძებნეთ სურათზე და მიუთითეთ, რომელია.

ა) **ეს** ქალ**ი** არის დაბალი და გამხდარი. **ამ** ქალ**ს** აქვს გრძელი თმა.
ბ) ეს ქალი არის მაღალი და მსუქანი. **მას** აქვს მოკლე **თეთრი** თმა და უკეთია სათვალე.
გ) ეს კაცი არის მაღალი და გამხდარი და აქვს **შავი** თმა. ამ კაცს უკეთია სათვალე.
დ) ამ გოგოს აცვია გრძელი კაბა და აქვს გრძელი თმა.

5. დაუბრუნდით სურათს. დაარქვით სახელები და ისაუბრეთ მათ შესახებ ნიმუშის მიხედვით.

ნათესავი

კლასელი

მეგობარი

მეზობელი

ეს მსუქანი კაცი არის ვახტანგი. ვახტანგი გამხდარი გოგოს მამაა. ამ გამხდარ გოგოს ჰქვია სოფო. სოფოს აცვია გრძელი კაბა.

ეს არის ნინო, ეს ლაშაა. ნინო არის ლაშას კლასელი. ლაშას აცვია მოკლე შარვალი და აქვს შავი თმა.

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები











აი ყარყატი აი ჩურჩხელა აი ციცინათელა აი წიწილა

1. წაიკითხეთ მასწავლებლის დახმარებით ენის გასატეხები და ისწავლეთ.

ყანჩა - ყუნტა აყლაყუდა,
რიყე-რიყე წალაყუნდა.
აყიყინდნენ ბაყაყები,
- გადაყლაპავს ბაყბაყდევი!

ცივი ცვარი ცვივა ციდან,
სცივა, სცივა ციდა ცინდალს.
ცხიკ და ცხიკო! - აცემინებს,
ციცქნა ცხვირი გაუცივდა.

ჩუმად გამცალა ყვინჩილამ
ჩარდახში არა დამრჩა რა...
ჩირი, ჩურჩხელა, ჩამიჩი
ჩანთით შინ წააჩანჩალა.

წვიმიანში გაწეწილი
წისქვილის წინ წუხს წიწილი,
- წია, წია! - მწარედ წივის,
წნორის წნელზე წაჰკრა წვივი.

2. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

ა) ყვავი
ბ) ყვავილი

ა) ყარყატი
ბ) ბაყაყი

ა) ყაყაჩო
ბ) ვარდი

ა) ცხვირი
ბ) ცხვარი

ა) ყური
ბ) ყურძენი

3. წაიკითხეთ წინადადებები. გაიხსენეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

ბაყაყი წყალში ყიყინებს. ყვავი ხის ტოტზე ზის და ყრანტალებს. ყიყლიყოოო! - ყივის მამალი. წიწილა წივის. ვირი ყროყინებს. ცხვარი ბღავის. ლეკვი წკმუტუნებს. ფუტკარი ბზუის.

- როგორ ხმიანებს: ქათამი? თხა? ღორი? კატა? ძროხა? ვეფხვი და ლომი? შაშვი და ბულბული? ბუზი? ბატი?
- რა კაკანებს? რა ზმუის? რა გალობს? რა კიკინებს? რა კნავის? რა ღრიალებს? რა ღრუტუნებს? რა ბზუის? რა სისინებს?

4. დაასახელეთ, რა ჰქვია, რა არის და სად ბინადრობს.

ნიმუში: ეს არის შაშვი. შაშვი ფრინველია. ის ბინადრობს ბუდეში.



5. რომელი არ ბინადრობს აქედან არც ბუდეში, არც სოროში, არც ბუნაგსა და არც ფუღუროში?

1. წაიკითხეთ ლექსი და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები ზეპირად. რომელს რა აქვს?

სახლი

(ვასილ გულეური)

ჩიტს ___?___ აქვს,
დათვს – ___?___,
ციყვს – ___?___,
თაგვს კი ___?___.
ყველა თავის ბინას აგებს,
ყველა თავის
სახლში ცხოვრობს.
ლოკოკინას
აქვს ___?___,
კუს – ___?___,
როგორც რკინა.
ზურგით დააქვთ
შარა-შარა
სახლი კუს და
ლოკოკინას.

ბუდე
ფუღურო
ნიჟარა
სორო
ბუნაგი
ბაკანი

2. გაიხსენეთ რიცხვები. წაიკითხეთ და აჩვენეთ.

ხუთი ერთი შვიდი სამი ათი ექვსი ოთხი რვა ორი ცხრა

3. გამოიცანით, რა რიცხვია.

ხ___თი შვი___ი ___რ___ი ც___რა ა___ ___
ე___ვს___ ოთ___ი ე___თი ___ ___იდი
___ხრ___ ___თ___ ___ვ___ ე___ ___სი

4. ამოხსენით რებუსი.

5. დაასახელეთ, რა არის და აღწერეთ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში 1: ეს არის სპილო. სპილო გარეული ცხოველია. სპილოს აქვს მოკლე კისერი, დიდი ყურები, გრძელი ხორთუმი და ორი პატარა ეშვი.

ნიმუში 2: ის არის ცხვარი. ცხვარი შინაური ცხოველია. მას აქვს პატარა კუდი...



ეშვი

ხორთუმი

სპილო



ყური

კუდი

კენგურუ

ფაფარი



კისერი

ნისკარტი

წერო



რქა

ბიბილო

ფრთა



კუზი

6. წაიკითხეთ და გამოიცანით, რა არის.

გარეული ცხოველია. ბინადრობს უდაბნოში. აქვს ოთხი გრძელი ფეხი, მოკლე კუდი და პატარა ყურები. აქვს გრძელი კისერი და ორი კუზი.

7. ჩაიფიქრეთ ერთ-ერთი და დაახასიათეთ. <u>ვინ გამოიცნობს?</u>

ვისწავლოთ ახალი თანხმოვნები







აი ჯოხი აი ჭიანჭველა აი ჟირაფი აი ჰამაკი

1. წაიკითხეთ ენის გასატეხები და ისწავლეთ.

ჭინჭრებს შუა ჭივჭავები
ჭანჭურს ჭამენ ჭიანაჭამს,
ჭრიჭინები გაჭყეპილან,
ჭინჭილებით სვამენ მაჭარს.

ჯანსუღმა და ჯმუხმა ჯარჯიმ
ჯადოქარზე გაიმარჯვეს,
ჯახი-ჯუხი აღარ გააქვს
ჯოხის ხმლებს და აბჯარ-ხანჯლებს.

ჟოლოს ჟვერიდან
ჟინჟღლი ჟონავს,
ჟანგისფერ ჟირაფს
შეაჟრჟოლა.

ენაჭიკჭიკა ელენე
ექვს სტუმარს ერთად ელისო:
ეკუნას, ელგარს, ექვთიმეს,
ევას, ემზარს და ელისოს.

2. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.





ა) ჭანჭური
ბ) საჭმელი

ა) კალია
ბ) ჭიამაია

ა) ჯაზი
ბ) ჯამბაზი

ა) ჭრიჭინა
ბ) წრუწუნა

ა) ჯოხი
ბ) ჯიხვი

3. ამოხსენით რებუსები.

2’ + შაბათი = ? შა + ’ + ათი = ?

პა + ”” + ”” + ევი = ?

4. წაიკითხეთ და დაიმახსოვრეთ კვირის დღეები.

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი შაბათი კვირა

5. დაასახელეთ, რა უყვართ და რა - არა ბავშვებს.

	თომა	ანასტასია	თორნიკე
			
			

6. გამოიცანით, ვინ არის.

ა) მას უყვარს რძე და მარწყვის მურაბა, მაგრამ არ უყვარს თაფლი.

ბ) ორივეს არ უყვარს ნამცხვარი.

გ) მას არ უყვარს კვერცხი, მაგრამ უყვარს ყურძენი.

7. წაიკითხეთ და გაასწორეთ წინადადებები.

ა) თომას უყვარს თაფლი და ნამცხვარი, მაგრამ არ უყვარს რძე და მარწყვის მურაბა.

ბ) ანასტასიას და თორნიკეს არ უყვართ ჩაი.

გ) თომას არ უყვარს ყურძენი და შოკოლადი, ანასტასიას კი ისინი უყვარს.

დ) კვერცხი უყვარს სამივეს, კაკალი კი არცერთს არ უყვარს.

1. წაიკითხეთ, დააკვირდით და დაიმახსოვრეთ.

წითელი ყვითელი მწვანე ლურჯი თეთრი შავი

2. დაასახელეთ, რა არის და რა ფერია.

ნივთი	ხილი	ბოსტნეული	ტანსაცმელი	ტრანსპორტი	სათამაშო
მწერი	ცხოველი	ფრინველი	ყვავილი	საჭმელი	სასმელი

ნიმუში: ეს არის ჭიანჭველა. ის მწერია. ჭიანჭველა არის შავი.



ჩანთა ფოთოლი ხოჭო მარწყვი სავარცხელი მტრედი ფანქარი

თავსაფარი ავტობუსი ტაფა პომიდორი ნიანგი

3. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ ნიმუშის მიხედვით.

ტანსაცმელია. არის ქალის და წითელია. რა არის? შინაური ფრინველია, თეთრია და სისინებს. რა არის? და ა.შ.

4. წაიკითხეთ ლექსი და დააკავშირეთ სურათებთან.

გაზაფხული, ზაფხული,
შემოდგომა, ზამთარი,
ესეც შენი ოთხი დრო,
წელიწადიც მზად არი.

5. გამოიცანით, წელიწადის რომელი დროა.

ა) ცივა. ციდან თეთრი ფიფქები ცვივა.
ბ) წვიმს. ცაზე ცისარტყელაა. ბუნება იღვიძებს.
გ) ქარი ქრის. ხეებს ყვითელი ფოთლები სცვივა.
დ) ეს წელიწადის ყველაზე ცხელი დროა.

გაზაფხულზე **თბილა.**
ზაფხულში **ცხელა.**
შემოდგომაზე **გრილა.**
ზამთარში **ცივა.**

6. წაიკითხეთ და დაასახელეთ, წელიწადის რა დროა.

წვიმა მოდის წკაპაწკუპით,
წვიმა მოდის შხაპაშხუპით,
მწვანე მინდვრებს გაკვეთილი
ჩააბარა სხაპასხუპით.

- აბა, გუნდა! - აბა, ციგა! –
ნუ დავკარგავთ დროს! –
თოვლი მღერის, თოვლი ცეკვავს,
თოვლი მოდის, თოვს.

7. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ ნიმუშის მიხედვით.

დათო, მე მიყვარს ზამთარი და არ მიყვარს გაზაფხული. შენ რომელი დრო გიყვარს და რომელი არ გიყვარს?

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!

1. შეავსეთ კროსვორდები და წაიკითხეთ, რა წერია გამუქებულ უჯრებში.

















1. არის თეთრი და ცივი. მოდის ზამთარში.

2. გარეული ცხოველის სადგომი, სახლი.

3. პატარა წითელი ხოჭოა. მის სახელში გოგოს ორი სახელია.

4. უდაბნოს ცხოველია. აქვს ერთი ან ორი კუზი.

5. გაზაფხულის ყვავილია. ეს სახელი ჰქვია გოგოსაც.

6. ზაფხულის ხილია. არის მრგვალი. გარედან მწვანეა, შიგნიდან - წითელი.

7. ზის ხის ტოტზე და ყრანტალებს.

ჩემი საოჯახო ალბომი

ჩემი ოჯახი და ჩემი ნათესავები

ვისწავლოთ დათვლა

რთული ფერები



სხეულის ნაწილები

მერამდენე?

ძირითადი ენობრივი მიზნები

- ინტერაქცია ოჯახისა და ნათესავების გარშემო; მარტივი შეკითხვების გაგება და პასუხების გაცემა;
- ადამიანის აღწერა-დახასიათება: გარეგნობა და ხასიათი; საკუთარი თავის/სხვისი აღწერა;
- გარეგნობის აღმნიშვნელი მარტივი ლექსიკის გაგება და გამოყენება;
- მარტივი ენით საუბარი საკუთარი ოჯახის შესახებ (ვინ ჰყავს ოჯახში, რა ჰქვიათ, რამდენი წლისანი არიან, როგორები არიან, რა უყვართ / რა მოსწონთ?

1. წაიკითხეთ მოცემული ინფორმაციები, კარგად დააკვირდით სურათებს და მიუთითეთ, ვინ ამბობს.

ეს მე ვარ ჩემს ოჯახთან ერთად.
აქ ოთხი წლის ვარ.

ისინი ჩემი ნათესავები არიან. ეს ბიძაჩემია,
მამაჩემის ძმა. ის ქალი კი მამიდაჩემია.

ეს **მე** ვარ მწვანე ქუდით. ეს კი
ჩემი საუკეთესო მეგობარია.

ის ჩემი ძმაა, ეს ბიჭი კი **მისი**
კლასელია.

ვინ?	მე	შენ	ის	ჩვენ	თქვენ	ისინი
ვისი?	ჩემი	შენი	მისი	ჩვენი	თქვენი	მათი

ეს/ის **მე** ვარ ___ ეს/ის **ჩემი** ძმა
ეს/ის **შენ** ხარ ___ ეს/ის **შენი** ძმაა
ეს/ის **ვანოა** ___ ეს/ის **ვანოს** ძმაა
ეს/ის **მისი** ძმაა

2. ჩასვით სათანადო ნაცვალსახელები.

ა) ეს _____ ვარ, ეს კი _____ ბიძაშვილია. **(მე / ჩემი)**

ბ) ნინო და სალომე ჩემი კლასელები არიან. დათო _____ **(მისი / მათი)** დეიდაშვილია.

გ) გიორგი _____ **(თქვენ / თქვენი)** მამიდაშვილია?

დ) რა ჰქვია _____ **(შენს / შენი)** მეგობარს?

ე) _____ **(ის / ისინი)** ჩემი ძმის კლასელები არიან.

3. გამოიყენეთ და უპასუხეთ, ვისი შვილია: დეიდაშვილი? მამიდაშვილი? ბიძაშვილი?

დეიდა - დედის და
მამიდა - მამის და
ბიძა - დედის ძმა და მამის ძმა

დეიდაშვილი - დეიდაშვილ**ებ**ი
მამიდაშვილი - მამიდაშვილ**ებ**ი
ბიძაშვილი - ბიძაშვილ**ებ**ი

4. დაასახელეთ, რომლები არიან აქედან დედის და რომლები - მამის ხაზით.

ბებია (2) დეიდა ბიძაშვილი მამიდა ბიძა (2)
მამიდაშვილი ბაბუა (2) დეიდაშვილი ბიცოლა (2)

5. გაანაწილეთ სწორად.

მამიდა, მამიდები, მამიდაშვილი, მამიდაშვილები

ა) ნინოს ერთი ___?___ და ბევრი ___?___ ჰყავს.

ბ) ეკა და სოსო ჩემი ___?___ არიან.

გ) ისინი ჩემი მეგობრის ___?___ არიან.

6. გაასწორეთ მცდარი წინადადებები.

ა) მე ბევრი ნათესავები მყავს.

ბ) ჩემს ძმას ორი საუკეთესო მეგობრები ჰყავს.

გ) ჩემს მეგობარს ორი მამიდა აქვს.

დ) ანო და ვანო თათას ბიძაშვილი არიან.

ე) ჩემს ბიძაჩემს ორი შვილი ჰყავს.

ვ) ჩემს კლასში შვიდი გოგონები და ცხრა ბიჭები არიან.

მხოლობითი	მრავლობითი
ბებია ბიძაშვილი	ბები-ები ბიძაშვილ-ები

მხოლობითი	
ერთი ბევრი / ცოტა რამდენიმე...	ბებია / ბიძაშვილი...

7. დაალაგეთ სიტყვები ისე, რომ გამართული წინადადებები მიიღოთ.

ა) მეგობარია ჩემი ბიჭი ეს

ბ) მარიამი ეს კლასელი არის ჩემი

1. ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი.

თერთმეტი	_____		თექვსმეტი _____
თორმეტი	_____		ჩვიდმეტი _____
ცამეტი	_____		თვრამეტი _____
თოთხმეტი	_____		ცხრამეტი _____
თხუთმეტი	_____		ოცი _____

11 12 13
14 15 16 17
18 19 20

2. გამოიცანით, რა რიცხვია და ჩაწერეთ გამოტოვებული ასოები.

თხ_____მეტი თორ_____ ო____ი ჩ_____მეტი
_____თხმეტი ც____ი ცხ_____ტი _____ქვს_____
____ერთ____ტი თვ____ეტი

3. ამოხსენით რებუსები და დაასახელეთ ფერები.

+ ის ფერი = ?

+ ს ფერი = ?

+ ის ფერი = ?


+ ს ფერი = ?

+ ის ფერი = ?


+ ს ფერი = ?

ყავა - ყავისფერი ცა - ცისფერი
ია - იისფერი იასამანი - იასამნისფერი

4. მოძებნეთ განსხვავება და დაასახელეთ.

გამოიყენეთ: პირველ სურათზე სკამზე ზის ... , მეორე სურათზე ...

პირველ სურათზე ლოგინში წევს ... , მეორე სურათზე ...

5. აღწერეთ სურათები კითხვების დახმარებით.

1. ვინ არიან გამოსახული პირველ სურათზე? მეორე სურათზე?
2. ვინ არის ეს გოგონა და რა ჰქვია მას?
3. რა დგას ოთახში?
4. რას აკეთებენ ბებია, გოგონა და მგელი?
5. რა ფერის ქუდი ახურავს ბებიას? წითელქუდას?
6. რა აქვს გოგონას ხელში?
7. რა ფერია საწოლი? საბანი? ბალიში? მუთაქა? კალათი?

6. დაუბრუნდით სურათებს. იპოვეთ მსგავსება მათ შორის და დაასახელეთ.

7. შეავსეთ ცხრილი თქვენი მეგობრების / ნათესავების მონაცემებით და გააცანით ერთმანეთს.

ვინ არის და რა ჰქვია?	რა ფერის თვალები აქვს?	რა ფერის / როგორი თმა აქვს?

1. ისაუბრეთ თქვენი ნათესავებისა და მეგობრების შესახებ ნიმუშის მიხედვით.

ჩემს ძმას ჰქვია ერეკლე. ის არის პატარა და მსუქანი. ერეკლეს აქვს ცისფერი თვალები და მოკლე შავი თმა.

მე ორი დეიდაშვილი მყავს. ერთს ჰქვია ანა. ანა არის თორმეტი წლის. აქვს დიდი შავი თვალები და გრძელი ყავისფერი თმა.

2. წაიკითხეთ დიალოგი მეწყვილესთან ერთად.

– რა ჰქვია შენს მშობლებს?
– დედაჩემს მარიამი ჰქვია, მამაჩემს - ლევანი.
– და-ძმა გყავს?
– და არ მყავს. **მარტო** ერთი ძმა მყავს. ჩემს ძმას ლაშა ჰქვია და ცამეტი წლისაა.
– დეიდა და მამიდა გყავს?
– დეიდა არ მყავს. მყავს ორი მამიდა და ერთი ბიძა.
– რა ჰქვია ბიძაშენს?
– დათო.
– მამიდებს?
– ერთს ნატო ჰქვია, მეორეს - ლალი.
– რამდენი მამიდაშვილი გყავს?
– სამი - ელენე, ქეთო და კოტე.

3. მოამზადეთ შეკითხვები და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები თქვენ შესახებ.

4. წაიკითხეთ და დაასახელეთ, ვინ არის.

სოფო

ლუკა

მაკა

ა) მოხუცია. აქვს თეთრი **ულვაში** და არის **ჭაღარა**თმიანი. ახურავს მწვანე ქუდი.

ბ) უკეთია სათვალე. აქვს დიდი ყავისფერი თვალები და მოკლე **ქერა** თმა.

გ) არის ცისფერთვალება. აქვს შავი **ხუჭუჭი** თმა.

5. ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი და დაიმახსოვრეთ.

1. თავი 2. ყური 3. თვალი 4. შუბლი 5. ნიკაპი 6. ცხვირი
7. ლოყა 8. პირი 9. წარბი 10. ყელი



6. მოძებნეთ ტექსტში დაშვებული შეცდომები და გაასწორეთ.

ადამიანს ორი ხელი და ორი ფეხი აქვს. ორი აქვს აგრეთვე ყური, ცხვირი, პირი, ნიკაპი და წარბი. ერთი აქვს თავი, შუბლი, ყელი, ლოყა და თვალი.

ადამიანს ერთ ხელზე აქვს ხუთი თითი, ორ ხელზე ერთად კი - ათი თითი. ათი თითი აქვს მას აგრეთვე ორივე ფეხზე ერთად.

7. წაიკითხეთ ტექსტი და შეასრულეთ რვეულში მითითებული დავალებები.

ბევრზე ბევრი

(მცირეოდენი ცვლილებით)

გოგის ძალიან უყვარს ხილი, თხილი, ტკბილეული. თუ რამეს მოჰკრა თვალი, აღარ არის მოსვენება.

– ბები, მომე ვაშლი! ბევრი ვაშლი მინდა!

– ბები, მომე თხილი! ბევრი, ბევრი თხილი!

– ბები, ბევრი კანფეტი მინდა, ბევრი კანფეტი...

ერთხელ ბებიამ უთხრა შვილიშვილს:

– გოგი, მე არ მომწონს, ასეთი თვალხარბი რომ ხარ. რა ამბავია, სულ ბევრს რომ გაიძახი.

აბა, ვნახოთ, რა გაქვს ბევრი! თავი ერთია, ცხვირი - ერთი, პირი და შუბლიც - ერთი! თვალი - ორი, ხელი და ფეხიც - ორი!

გოგი ჩაფიქრებული უსმენდა ბებიას და ბოლოს უთხრა:

– ბები, შენ დაგავიწყდა, რომ თმა მაქვს ბევრზე ბევრი!

ბებოს გაეცინა და ბევრი თხილი მისცა შვილიშვილს.

მარიჯანი (მარიამ ტყემალაძე-ალექსიძე)

1. დააკავშირეთ ერთმანეთთან და გადაწერეთ რვეულში.

აქვს	**არის**
1. დიდი ჩანთა	ხუჭუჭთმიანი
2. შავი ულვაში	ორაივნიანი
3. ჭაღარა თმა	პატარაეზოიანი
4. თეთრი წვერი	შავულვაშიანი
5. ხუჭუჭი თმა	მწვანესათვალიანი
6. მწვანე სათვალე	დიდჩანთიანი
7. ორი აივანი	თეთრწვერიანი
8. პატარა ეზო	ჭაღარათმიანი

აქვს ხუჭუჭ**ი** თმა / არის ხუჭუ**ჭთ**მ**იანი**
აქვს ჭაღარ**ა** თმა / არის ჭაღარ**ათ**მ**იანი**
აქვს მოკლ**ე** თმა / არის მოკლ**ეთ**მ**იანი**

შავთვალებიანი // შავთვალება // შავთვალა
თეთრწვერებიანი // თეთრწვერა
წითელლოყებიანი // წითელლოყება

2. შეცვალეთ ნიმუშების მიხედვით.

ნიმუში 1: მას აქვს შავ**ი** თვალები.
ის არის შავთვალება.

ა) მას აქვს ცისფერი თვალები.
ბ) ლალის აქვს ლურჯი თვალები.
გ) გიას აქვს ყავისფერი თვალები.
დ) მას აქვს დიდი თვალები.

ნიმუში 2: მას აქვს მოკლე თმ**ა**.
ის არის მოკლეთმ**იანი.**

ა) მას აქვს გრძელი თმა.
ბ) ბაბუას აქვს ჭაღარა თმა.
გ) ბიძაჩემს აქვს ულვაშები.
დ) გოგონას აქვს სათვალე.

3. გაასწორეთ წინადადებები და სწორად გადაწერეთ რვეულში.

ა) მარიამი არის ყავისფერითმიანი.

ბ) სახლს აქვს ლამაზაივნიანი.

გ) ბებია არის სათვალეიანი.

დ) ჩემი სახლი არის დიდი ეზო.

4. მოძებნეთ და მიუთითეთ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: სათვალე უკეთია პირველს და მეხუთეს.

ცული უჭირავს მეხუთეს...

წიგნი

ჩაქუჩი

ლუპა



ქამარი

ცული

კაშნე

პირველი **მეორე** **მესამე** **მეოთხე** **მეხუთე** **მეექვსე** **მეშვიდე**

_____ _____ _____ _____

_____ _____ _____

5. წაიკითხეთ მოცემული წინადადებები და მიუთითეთ, ვინ არის.

ა) არის წითელლოყება და აცვია ყვითელი შარვალი.

ბ) აცვია ყავისფერი შარვალი, ახურავს იასამნისფერი ქუდი და აქვს დიდი მუცელი.

გ) უკეთია სათვალე, ახურავს სტაფილოსფერი ქუდი და ხელში უჭირავს წიგნი.

დ) უკეთია კაშნე, აცვია ყავისფერი ფეხსაცმელი და არის გამხდარი.

6. დაარქვით ჯუჯებს სახელები. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები ნიმუშის მიხედვით და უპასუხეთ.

- რა ჰქვია ყველაზე პატარა ჯუჯას? ყველაზე მსუქანს? მოკლეწვერიანს? ყვითელშარვლიანს?
- ვის გვერდით დგას ყვითელშარვლიანი ჯუჯა?
- ვინ არის ყველაზე უფროსი? ყველაზე უმცროსი? რა ჰქვიათ მათ?

1. შეავსეთ დიალოგი და წაიკითხეთ მეწყვილესთან ერთად.

- არის გამხდარი.
- რა ფერის თმა აქვს?
- აქვს შავი ____?____. **კიდევ** ____?____ პატარა ცხვირი.
- გოგოა?
- ____?____, ბიჭია.
- რა აცვია?
- ____?____ მოკლე შარვალი და ყავისფერი მაისური.
- **ვიცი**, ლუკაა!
- **სწორია. ახლა შენი ჯერია.**

<u>გამოიყენეთ:</u>

1. როგორია?
2. რა ფერის ... აქვს?
3. რა აცვია?

   რა ფერის ... აცვია?

2. ჩაიფიქრეთ ერთ-ერთი და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

3. თქვენი აზრით, რა მოსწონთ აქედან უფრო მეტად გოგონებს და რა - ბიჭებს?

სპორტი ყვავილები ცხოველები ხატვა მუსიკა ცეკვა სიმღერა მანქანები
კომპიუტერი ფეხბურთის თამაში ლამაზი ტანსაცმელი კითხვა

გოგონებს მოსწონთ ... ბიჭებს მოსწონთ ...

გოგონებს არ მოსწონთ... ბიჭებს არ მოსწონთ ...

4. შეადარეთ თქვენი ვერსიები და დაასახელეთ, რა დაემთხვა და რა - არა.

მე	მიყვარს, მომწონს	**ჩვენ**	გვიყვარს, მოგვწონს
შენ	გიყვარს, მოგწონს	**თქვენ**	გიყვართ, მოგწონთ
მას	უყვარს, მოსწონს	**მათ**	უყვართ, მოსწონთ

5. გამოიყენეთ მესამე დავალების სიტყვები და შეავსეთ ცხრილი თქვენი და თქვენი მეგობრების / ნათესავების მონაცემებით. გააცანით ერთმანეთს ნიმუშის მიხედვით.

ვინ არის და რა ჰქვია?	რა მოსწონს?	რა არ მოსწონს?

ნიმუში: მე მომწონს სპორტი, ნათიას და ნიკას სპორტი არ მოსწონთ. ნათიას მოსწონს ცეკვა, ნიკას - ხატვა. ყველას მოგვწონს ცხოველები. არცერთს არ მოგვწონს კომპიუტერი.

6. გაარკვიეთ სვეტში მოცემული უცნობი სიტყვების მნიშვნელობა და დაიმახსოვრეთ.

7. წაიკითხეთ და დააკვირდით.

ა. პეპი მხიარული და სასაცილო გოგოა.

ბ. კარლსონი პეპიზე უფრო მხიარული და სასაცილოა.

გ. ბალუ ყველაზე უფრო მხიარული და სასაცილოა.

ფიფქია

ბალუ



ნემო

პეპი

შრეკი

ტომი და ჯერი

კარლსონი

დიდი
პატარა
მაღალი
დაბალი ...
ძლიერი
ჭკვიანი
კარგი
სასაცილო...
უფრო
დიდი
პატარა
მაღალი
დაბალი ...
ძლიერი
ჭკვიანი
კარგი
სასაცილო...
ყველაზე
დიდი
პატარა
მაღალი
დაბალი ...
ძლიერი
ჭკვიანი
კარგი
სასაცილო...

8. თქვენი აზრით, რომელია აქედან:

- მხიარული - უფრო მხიარული - ყველაზე მხიარული
- კეთილი - უფრო კეთილი - ყველაზე კეთილი
- ჭკვიანი- უფრო ჭკვიანი - ყველაზე ჭკვიანი
- სასაცილო - უფრო სასაცილო - ყველაზე სასაცილო
- ძლიერი - უფრო ძლიერი - ყველაზე ძლიერი

9. დაუბრუნდით საყვარელ გმირებს. აღწერეთ და დაახასიათეთ ისინი.

1. წაიკითხეთ ტექსტი. დააკვირდით სურათებს და თქვით, რა იცრუა მაკამ.

მე მაკა მქვია. ეს ჩემი ძმაა - გიორგი. მე რვა წლის ვარ და მესამე კლასში ვსწავლობ, გიორგი მეხუთეშია. მომწონს ყვავილები და ლამაზი ტანსაცმელი. ძალიან მიყვარს კითხვა, არ მიყვარს ხატვა. ჩემს ძმას კი ხატვა ძალიან უყვარს. კიდევ სპორტი უყვარს. ძალიან მოსწონს ფეხბურთი.

მე ლურჯთვალა და გრძელთმიანი ვარ. გიორგის აქვს მოკლე შავი თმა და ყავისფერთვალებაა.

2. უპასუხეთ შეკითხვებს ტექსტის მიხედვით.

ა) რა ჰქვია გიორგის დას?

ბ) ვინ არის დიდი - მაკა თუ გიორგი?

გ) ვინ სწავლობს მესამე კლასში? რამდენი წლის არის ის?

დ) რომელ კლასში სწავლობს გიორგი? რამდენი წლის არის ის?

ე) რა მოსწონს და უყვარს მაკას და რა - არა?

ვ) რა უყვარს და რა მოსწონს გიორგის ყველაზე ძალიან?

ზ) ვის აქვს ლურჯი თვალები? ვის აქვს ყავისფერი?

თ) ვის აქვს წითური თმა? ვინ არის ქერათმიანი?

3. დაწერეთ რვეულში მსგავსი ტექსტი თქვენი და თქვენი და-ძმების შესახებ და წაიკითხეთ.

რა გქვია, რამდენი წლის ხარ და რომელ კლასში სწავლობ? რამდენი და-ძმა გყავს? რა ჰქვიათ და რამდენი წლისანი არიან ისინი? რომელ კლასში არიან? სად და როგორ სახლში ცხოვრობთ?

აღწერე, როგორი ხარ შენ და როგორები არიან ისინი.

ჩემი საქართველო

საიდან ვართ და სად ვცხოვრობთ?



რთული რიცხვები

გავამთლიანოთ საქართველო!

საქართველო 100 წლის წინ

20 - 100

„მე პატარა ქართველი ვარ!“

ძირითადი ენობრივი მიზნები

- ინტერაქცია ინფორმაციის მოსაპოვებლად - პირადი მონაცემების გაცვლა: ვინაობა, ასაკი, ეროვნება, სადაურობა, საცხოვრებელი ადგილი;
- შედარებითი დახასიათება;
- მარტივი ენით საუბარი საკუთარი თავის შესახებ (რა ჰქვია და რა გვარია? რამდენი წლისაა? სად ცხოვრობს და ვისთან ერთად? როგორია გარეგნულად? რა თვისებები აქვს? რა უყვარს და რა მოსწონს?)
- ანკეტის წაკითხვა და შედგენა;
- ბიოგრაფიული მონაცემების გაგება;
- მხატვრული ტექსტების წაკითხვა და გაგება.

ვისწავლოთ რთული რიცხვები

1. დააკვირდით და გააგრძელეთ დათვლა.

20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30
ოცი	ოცდაერთი …									ოცდაათი

30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40
ოცდაათი	ოცდათერთმეტი …									ორმოცი

2. დააკავშირეთ ერთმანეთთან.

30 40 50 60 70 80 90 100

ოცდაათი _____ სამოცი _____ ოთხმოცდაათი _____ ორმოცი _____ ოთხმოცი _____

ორმოცდაათი _____ ასი _____ სამოცდაათი _____

3. დაასახელეთ სწორი თანამიმდევრობა.

ოცი
ორმოცი
ოცდაათი
სამოცი
ორმოცდაათი
ოთხმოცი
სამოცდაათი
ოთხმოცდაათი
ასი

ოცი
ოცდაათი
ორმოცი
ორმოცდაათი
სამოცი
სამოცდაათი
ოთხმოცი
ოთხმოცდაათი
ასი

ოცი
ოცდაათი
ორმოცდაათი
ორმოცი
სამოცი
სამოცდაათი
ოთხმოცდაათი
ოთხმოცი
ასი

4. გამოიცანით, რა რიცხვია.

ს_____ოცდა_____. ორ_____ცი. ოთ_____ცი.
ორ_____და_____. ოთხ_____და_____ი.
ოც_____და_____. ს_____ცი.

5. შეადარეთ ერთმანეთს.

20	_____	ოცი
40	_____	ორ**მ**_ოცი
60	_____	სამ_ოცი
80	_____	ოთხ**მ**_ოცი

30	_____	ოც_**და**_ათი
50	_____	ორმოც_**და**_ათი
70	_____	სამოც_**და**_ათი
90	_____	ოთხმოც_**და**_ათი

6. გააგრძელეთ დათვლა.

41 42 43 44 45 46 47 48 49 50 ორმოცდა**ერთი** ...	51 52 53 54 55 56 57 58 60 ორმოცდა**თერთმეტი**...
61 62 63 64 65 66 67 68 69 70 სამოცდა**ერთი** ...	71 72 73 74 75 76 77 78 79 80 სამოცდა**თერთმეტი** ...
81 82 83 84 85 86 87 88 89 90 ოთხოცდა**ერთი** ...	91 92 93 94 95 96 97 98 99 100 ოთხმოცდა**თერთმეტი** ...

7. მიუთითეთ სწორი ვარიანტები.

53
ა) ოცდათხუთმეტი
ბ) ორმოცდასამი
გ) ორმოცდაცამეტი

67
ა) ორმოცდაჩვიდმეტი
ბ) სამოცდაშვიდი
გ) სამოცდაჩვიდმეტი

49
ა) ორმოცდაცხრა
ბ) ოცდაცხრა
გ) ორმოცდარვა

86
ა) ოცდაექვსი
ბ) ოთხმოცდაექვსი
გ) სამოცდარვა

74
ა) სამოცდაოთხი
ბ) ორმოცდაშვიდი
გ) სამოცდათოთხმეტი

97
ა) ოთხმოცდაჩვიდმეტი
ბ) ოთხმოცდაშვიდი
გ) სამოცდაჩვიდმეტი

8. ციფრებით დაალაგეთ ზრდადობის მიხედვით.

სამოცდათორმეტი, ორმოცდასამი, ოცდაჩვიდმეტი, ორმოცდათექვსმეტი, ოთხმოცდაცხრა, ოცდაცამეტი, სამოცდაცამეტი, ოთხმოცდაცამეტი, ორმოცდაათი, სამოცი, თხუთმეტი

_____

1. წაიკითხეთ და დაასახელეთ: ვინ არის, რა ჰქვია და რამდენი წლისაა?



2. წაიკითხეთ და გამოიცანით.

ა) ის არის **ორმოცდაშვიდი** წლის. მას ჰქვია ...

ბ) ის **ცხრამეტი** წლისაა. არის მანანას ... და ჰქვია ....

გ) ის **ორმოცდაჩვიდმეტი** წლისაა და ჰქვია ...

დ) არის **სამოცდათორმეტი** წლის. ის მანანას ...

ე) ის არის **ოცდათოთხეტი** წლის. მას ჰქვია ... და არის მანანას ...

ვ) ის **სამოცდაოთხი** წლისაა. მას ჰქვია ...

მანანა

3. მოძებნეთ და უპასუხეთ.

ა) ვინ არის **ოცდაერთი** წლის?

ბ) რამდენი წლისაა მანანას მამიდა?

გ) რა ჰქვიათ მანანას მშობლებს და რამდენი წლისანი არიან ისინი?

დ) ვინ არის **სამოცდათორმეტი** წლის?

ე) რამდენი წლის არის მანანას ბიძაშვილი ნოდარი?

4. მოიფიქრეთ მსგავსი შეკითხვები და დაუსვით ერთმანეთს.

5. ისაუბრეთ თქვენი ოჯახის წევრებისა და ნათესავების შესახებ - ვინ არიან, რა ჰქვიათ და რამდენი წლისანი არიან ისინი.

6. გაეცანით ინფორმაციებს და დაასახელეთ:

- ვინ არიან უჩა და თეა წარმოშობით?
- სად ცხოვრობენ ისინი და მათი ნათესავები?
- რა ენაზე საუბრობენ უჩა და თეა?

უჩა

წარმოშობით **საქართველოდან ვარ.** მე და ჩემი ოჯახი ახლა დანიაში ვცხოვრობთ. ჩვენი ნათესავები კი საქართველოში ცხოვრობენ. ვსაუბრობ ქართულად, დანიურად და ინგლისურად.

მეც **ქართველი ვარ.** ვცხოვრობ ესპანეთში. ჩვენი ნათესავებიც საქართველოში ცხოვრობენ. მე ქართული ენა არ ვიცი. ვსაუბრობ მარტო ესპანურად.

თეა

7. დაიმახსოვრეთ!

ქვეყანა	ეროვნება / სადაურობა წარმომავლობა	ენა
ვცხოვრობ	ვარ	ვსაუბრობ
საქართველო**ში**	ქართვ**ელი** / საქართველო**დან**	ქართუ**ლად**
ინგლისში	ინგლისელი / ინგლისიდან	ინგლისურად
ესპანეთში	ესპანელი / ესპანეთიდან	ესპანურად
საფრანგეთში	ფრანგი / საფრანგეთიდან	ფრანგულად
საბერძნეთში	ბერძენი / საბერძნეთიდან	ბერძნულად
თურქეთში	თურქი / თურქეთიდან	თურქულად
ჩეხეთში	ჩეხი / ჩეხეთიდან	ჩეხურად
რუსეთში...	რუსი / რუსეთიდან ...	რუსულად...

სად?	**საიდან?**	**ცხოვრობს**
საქართველო**ში**	საქართველო**დან**	საქართველოში
ინგლის**ში**	ინგლისი**დან**	**არის**
ესპანეთ**ში**...	ესპანეთი**დან...**	ქართველი

1. დაარქვით სახელები და დაასახელეთ: სადაურები არიან, სად ცხოვრობენ და რა ენაზე საუბრ ობენ.



2. დააკავშირეთ შეკითხვები პასუხებთან.

1.	რა ჰქვია შენს მეგობარს?	ა.	საქართველოში
2.	რამდენი წლის არის?	ბ.	არჩილი
3.	სად ცხოვრობს?	გ.	საქართველოდან
4.	საიდან არის?	დ.	თერთმეტის

3. დაუსვით წინა დავალებაში მოცემული შეკითხვები ერთმანეთს და უპასუხეთ.

4. გამოიყენეთ პირველი დავალება და გაასწორეთ წინადადებები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: <u>სათვალიანი გოგო არის რუსი.</u>

არა, სათვალიანი გოგო არ არის რუსი, ის ავსტრიელია.

ა) შავთმიანი პატარა ბიჭი ცხოვრობს ესპანეთში.

ბ) გრძელი შავთმიანი გოგონა არის ესტონეთიდან.

გ) მსუქანი ბიჭი არის ინგლისელი. ის ინგლისში ცხოვრობს.

დ) ყავისფერთმიანი ხუჭუჭა გოგონა არის ფრანგი, შავთმიანი ხუჭუჭა გოგონა კი - ბერძენი.

ე) ავსტრიაში ცხოვრობს ყავისფერთმიანი დიდი ბიჭი.

მე	ვ-ცხოვრობ	**ჩვენ**	ვ-ცხოვრობ-თ
შენ	ცხოვრობ	**თქვენ**	ცხოვრობ-თ
ის	ცხოვრობ-ს	**ისინი**	ცხოვრობ-ენ

5. წაიკითხეთ და დაასრულეთ შეკითხვები ნიმუშის მიხედვით.

ა) მე **ორი** და მყავს.	**რამდენი** და გყავს **შენ**?
ბ) ბიძაჩემი **ქუთაისში** ცხოვრობს.	**სად** .... ?
გ) ისინი **ბიძაჩემთან** ცხოვრობენ.	**ვისთან** .... ?
დ) ჩვენ **თბილისელები** ვართ.	**სადაურები** ....?
ე) ჩემს მეგობარს **სოფიკო** ჰქვია.	**რა** ....?
ვ) ეს არის ჩემი **მამიდაშვილი.**	**ვინ** ....?
ზ) გია ჩემი **ძმის** კლასელია.	**ვისი** ....?

6. შეადგინეთ მსგავსი შეკითხვები და დაუსვით ერთმანეთს.

ნიმუში:

სად ცხოვრობს მამიდაშენი? სადაურია შენი საუკეთესო მეგობარი? ვისთან ცხოვრობენ შენი ბებია და ბაბუა? რა ჰქვია შენს ბიძაშვილს? და ა.შ.

7. დაუსვით შეკითხვები გამუქებულ სიტყვებს.

ა) **ჩემს** საუკეთესო მეგობარს სამი ძმა ჰყავს.
ბ) მანანა **საქართველოდან** არის.
გ) ჩემი ბებია და ბაბუა **თბილისში** ცხოვრობენ.
დ) ჩემი ბიძაშვილი **მათთან** ცხოვრობს.
ე) **სალომე** თორნიკეს პატარა დაა.
ვ) **შენი** დეიდაშვილი ჩემი კლასელია.
ზ) **შენ** ძალიან მხიარული ხარ.
თ) **თომას** მეგობრის მშობლები ესპანელები არიან.
ი) ჩემს **მამიდაშვილს** შავი ხუჭუჭი თმა აქვს.

ვინ? ვის?
ვისი? ვისთან?
სად? საიდან?

1. წაიკითხეთ ანკეტა და უპასუხეთ შეკითხვებს.

სახელი: მალხაზი

ასაკი: 13 წლის

დაბადების ადგილი: რუსთავი

საცხოვრებელი ადგილი: თბილისი

1. რა ჰქვია?
2. რამდენი წლისაა?
3. სად დაიბადა?
4. სად ცხოვრობს?

2. გააკეთეთ მსგავსი ანკეტა და ჩააკარით თქვენი სურათები ან ჩახატეთ. შეავსეთ ანკეტები თქვენი მონაცემებით და გააცანით ერთმანეთს.

3. გაამთლიანეთ საქართველო! ჩაწერეთ შესაბამისი ციფრები.





4. წაიკითხეთ ლექსი.

„მე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი
და განცხრომით სხვაგან ყოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო -
ყველა ჩემი სამშობლოა,
საყვარელი საქართველო“.

დუტუ მეგრელი

დუტუ მეგრელი

დაბ. თარიღი: 26 ოქტომბერი, 1867 წ.
დაბ. ადგილი: სუჯუნა, ქუთაისი
საცხ. ადგილი: ქუთაისი, თბილისი
საქმიანობა: მწერალი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე

5. დაუბრუნდით რუკას, მოძებნეთ და მიუთითეთ:

- ლექსში დასახელებული კუთხეები
- დუტუ მეგრელის დაბადებისა და საცხოვრებელი ადგილები

6. კარგად გაეცანით რუკას და დაასახელეთ, რომელია თქვენი მშობლიური კუთხე.

7. ისწავლეთ ლექსი ზეპირად.

1. **გაეცანით ორივე გვერდზე მოცემულ ინფორმაციას და შეადარეთ ერთმანეთს.**

საქართველო 100 წლის წინ

1918 წელი

ათას ცხრაასა თვრამეტი წელი

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა
ერთა ლიგის მიერ
აღიარებულ საზღვრებში
შავი ზღვა
კასპიის ზღვა
ტუაფსე
სოჭი
ბიჭვინთა
სოხუმი
ოჩამჩირე
ანაკლია
ფოთი
ბათუმი
ხოფა
ბორჩალო
ალექსანდროპოლი
ერევანი
ნახიჩევანი
ბაკური
ბაქო
ბელაქანი
ზაქათალა
ელისავეტპოლი
ბაკური
ბაკური
ბაკური

საქართველო დღეს

2018 წელი

ორი ათას თვრამეტი წელი



დროშა

გერბი

დედაქალაქი	თბილისი
უდიდესი ქალაქები	თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, სოხუმი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, ცხინვალი
ოფიციალური ენა	ქართული აფხაზური
ვალუტა	ლარი
ეთნიკური ჯგუფები	ქართველები - 86,8 % აზერბაიჯანელები - 6,2 % სომხები - 4,5 % სხვა - 2,8 %
ეროვნული დღესასწაული	26 მაისი (1918 წ.); სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღე (1991 წლის 9 აპრილი)

1. გაეცანით მოცემულ ინფორმაციას და უპასუხეთ შეკითხვებს.

მონაცემები	თომა, 12 წლის, კახეთი, ქალაქი თელავი
ნათესავები	ბებია - თამარი, 62 წ. და ბაბუა - სერგო, 69 წ. (მამის მშობლები, ქართლი, თბილისი), ბებია - სოფიო, 71 წ. და ბაბუა - დათა, 76 წ. (დედის მშობლები, მესხეთი, ქალაქი ბორჯომი); დეიდა (ნათია, 39 წ. იმერეთი, ქუთაისი); ბიძა (ნუგზარი, 42 წ. დედის ძმა, ბორჯომი); მამიდა (ნანა, 41 წ. რაჭა, ქალაქი ონი).
მეგობრები	საბა, 14 წ. გურია, ქალაქი ლანჩხუთი; თორნიკე, 13 წ. თელავი; ანა, 12 წ. აჭარა, ქალაქი ბათუმი

ა) სადაურია თომა?

ბ) საქართველოს რომელ კუთხეში ცხოვრობს ის?

გ) ვინ ცხოვრობს იმერეთში?

გ) ვინ არის ონელი? რა ჰქვია მას და რამდენი წლისაა ის?

დ) ვინ არიან თელაველები?

ე) რომელი მეგობარი არ არის თელაველი? საიდან არის ის?

ვ) სად ცხოვრობენ თომას მამის მშობლები?

ზ) ვინ არის სამოცდათექვსმეტი წლის? რა ჰქვია მას და სად ცხოვრობს ის?

თ) რამდენი წლისანი არიან თომას მამიდა და ბიძა? სად ცხოვრობენ ისინი?

ი) ვინ არის ქუთაისელი? რა ჰქვია მას და რამდენი წლის არის ის?

კ) ვინ არიან თამარი და სერგო? რამდენი წლისანი არიან ისინი და სად ცხოვრობენ?

ცხოვრობს
თელავ**ში**
არის
თელავ**ელი**
არიან
თელავ**ელები**

2. დაწერეთ თომას შესახებ რვეულში (გვ. 73, №5).

გამოიყენეთ!

მას ჰქვია ... ის (/თომა, ნანა...) არის ... წლის / წლისაა;

ის (/საბა, საბას ბიძა...) ცხოვრობს / ცხოვრობენ ...-ში;

ის (/თორნიკე...) არის ...-ელი; ისინი (/თორნიკე და თომა...) არიან ...-ელები

3. დაწერეთ მსგავსი ტექსტი თქვენ შესახებ და წაიკითხეთ (რვეული, გვ. 74, №1).

4. წაიკითხეთ, მოძებნეთ სურათებზე და მიუთითეთ, რომელია.

ა. არის წყლის ფრინველი. აქვს თეთრი მუცელი, ნაცრისფერი ფრთები და გრძელი წვრილი ნისკარტი. ამ ფრინველს თოლიას ეძახიან.

ბ. მას ზღვის დათვსაც უწოდებენ. აქვს გრძელი და ძალიან ღია ყვითელი ფერის ბეწვი.

გ. არის სხვადასხვა ფერის. ბავშვებს ის ძალიან უყვართ. ამით ისინი ხატავენ.

5. დაალაგეთ მოცემული ნახატები ისე, რომ ამბავი გამოვიდეს. დანომრეთ ნახატები თანმიმდევრულად.



6. წაიკითხეთ თეთრი ბელის ამბავი და შეამოწმეთ თქვენი ვარიანტები. ყურადღება მიაქციეთ საწყისს წინადადებებს.

დაასახელეთ, რომელი ეპიზოდი არ არის ნახატზე მოცემული? რა მოუტანა თოლიამ ბელს ნახატის მიხედვით, ტექსტის მიხედვით?

თეთრი ბელი და ფერადი ყინულოვანი ოკეანე

(ირმა მალაციძის მიხედვით)

1. ერთ თეთრ კუნძულზე მშობლებთან ერთად ერთი პატარა თეთრი ბელი ცხოვრობდა. პატარა ბელმა მარტო სამი ფერი იცოდა: თეთრი, ცისფერი და ყვითელი. რატომ? კუნძულზე მარტო თეთრი თოვლი, ცისფერი ცა და ყვითელი მზე იყო.

2. ლამაზი ფერადი სიზმარი ნახა - მწვანე ხეები, წითელ-ყვითელი ყვავილები და ლურჯი ზღვა.

3. - ფერად ქვეყანაში მინდა, - ამბობდა პატარა ბელი.

   - სად არის ასეთი ქვეყანა? ჩვენი სახლი აქ არის და ვერსად ვერ წავალთ, - პასუხობდნენ ბელს დედა და მამა დათვები.

4. ატირდა ბელი. უცებ თოლია მოფრინდა.

   - რატომ ტირიხარ? - ჰკითხა თოლიამ ბელს.

   - ფერად ქვეყანაში მინდა წასვლა, - უთხრა ბელმა.

   - შენ საიდან იცი, რომ ფერადი ქვეყანა არსებობს? - გაოცდა თოლია.

   - ვიცი, სიზმარში ვნახე, - უპასუხა ბელმა. თოლია სადღაც გაფრინდა.

5. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ოთხი და... თოლია დაბრუნდა. თოლიამ პატარა თეთრ ბელს ფერადი საღებავები და ფუნჯი აჩუქა.

   - აჰა, საღებავები და შენ თვითონ გააფერადე შენი კუნძული, - უთხრა თოლიამ ბელს.

   გახარებულმა პატარა დათვმა თეთრ თოვლზე ხატვა დაიწყო. ფუნჯით ჯერ ყვავილები დახატა, მერე მწვანე საღებავით ბალახიც მიახატა, ბუჩქებიც, ლურჯით კი - პატარა რუ. ბელმა მალე მთელი კუნძული გააფერადა.

1. უპასუხეთ შეკითხვებს პირველი აბზაცის მიხედვით.

- სად ცხოვრობს თეთრი ბელი? მოძებნეთ რუკაზე მათი სამშობლო და დაასახელეთ.
- ვისთან ერთად ცხოვრობს ის?
- ვინ არიან თეთრი ბელის მშობლები?
- რომელი ფერები იცის თეთრმა ბელმა მარტო?

2. წაიკითხეთ და შემოხაზეთ სწორი ვარიანტები.

თეთრი ბელი ტიროდა იმიტომ, რომ:

ა) თეთრ კუნძულზე ცხოვრობდა.
ბ) ფერადი სიზმარი ნახა.
გ) ფერად ქვეყანაში უნდოდა წასვლა.

თეთრმა ბელმა გაიხარა იმიტომ, რომ:

ა) თოლია დაბრუნდა.
ბ) თეთრი კუნძული გააფერადა.
გ) ფერად ქვეყანაში წავიდა.

ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

როგორ სახლში ვცხოვრობთ?

სახლის ინტერიერი

პეპი და კარლსონი

ცხოველების მარათონი

ჩემი ოცნების სახლი

ძირითადი ენობრივი მიზნები

- სივრცეში ორიენტირებისათვის შესაბამისი ენობრივი ფორმების ფუნქციური გამოყენება (სათანადო ზმნები; თანდებულები: -ში / -ზე); ადგილმდებარეობის გაგება და მითითება;
- პერსონაჟის შედარებითი დახასიათება; საგნის აღწერა/დახასიათება სხვადასხვა ნიშნით - გარეგნობა, ფერი, ფორმა, ზომა;
- მარტივი ენით საუბარი საკუთარი სახლის / ოთახის შესახებ (საკუთარი საცხოვრებელი ადგილის, სახლის, ოთახების მარტივი ფრაზებით აღწერა; ოთახის/ავეჯის/ნივთის დანიშნულების, კუთვნილების, მასალის მითითება);
- მხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება.

1. მოძებნეთ მასწავლებლის დახმარებით, ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი და დაიმახსოვრეთ.

1. სახურავი	2. ბუხარი	3. საკვამური	4. მაცივარი	5. იატაკი	6. ღობე
7. ჭიქა	8. ქოთანი	9. ბუჩქი	10. კიბე	11. თეფში	12. ფანჯარა	13. ოთახი

2. წაიკითხეთ და დააკავშირეთ სურათებთან. მიუთითეთ, რომელია.

ა) ამ სახლის სახურავზე შავი კატა ზის.
ბ) ეს სახლი ჰგავს მაცივარს.
ბ) ამ სახლის კიბეზე მაიმუნი ზის.
გ) ამ სახლის კიბესთან ყვავილის ქოთანი დგას.

ეს სახლი - **ამ** სახლის
ეს კიბე - **ამ** კიბის



3. აღწერეთ სურათები მასწავლებლის კითხვების დახმარებით.

4. დაუბრუნდით სურათებს. თქვენი აზრით, ვინ ცხოვრობს ამ სახლებში?

5. წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდები. დააკავშირეთ ტექსტები წინა გვერდზე მოცემულ სურათებთან.

ა. ეს კარაქის კაცუნების ქვეყანაა. ამ ქვეყანაში კარაქის კაცუნები ცხოვრობენ. **კარაქის** კაცუნების ქვეყანაში სახლების მაგივრად სულ მაცივრები დგას. ამ სახლ-მაცივრებში ცხოვრობენ ისინი, თავზე **ყინულები** ახურავთ და ქუჩაშიც ყინულის მანქანებით დადიან.

ბ. ეს პეპი „გრძელწინდას“ სახლია. ის შვედი გოგონაა. პეპი მარტო ცხოვრობს დიდ სახლში ცხენთან და მაიმუნთან – ბატონ ნილსონთან ერთად.

გ. ფიფქია სახლში შევიდა. რას ხედავს? შუა ოთახში გრძელი მაგიდა დგას. მაგიდასთან შვიდი ხის სკამი დგას. მაგიდაზე კი შვიდი პატარა თეფში, კოვზი, დანა-ჩანგალი და ჭიქა აწყვია. ამ სახლში შვიდი ჯუჯა ცხოვრობს.

დ. ამ სახლის ბინადარი კარლსონია. კარლსონი პროპელერიანი მრგვალი და მხიარული კაცუნაა. სწორედ ის ცხოვრობს შვედეთში მრავალსართულიანი კორპუსის სახურავზე დაშენებულ პატარა სახლში.

6. ყურადღება მიაქციეთ შეკითხვებს და შეავსეთ წინადადებებში გამოტოვებული ადგილები.

სახლის კარაქის ხის ყინულის

ა) **(რის?)** _____ კაცუნების ქვეყანაში დგას სახლი-მაცივრები.

ბ) კარაქის კაცუნები **(რის?)** _____ მანქანებით დადიან.

გ) მაგიდასთან შვიდი **(რის?)** _____ სკამი დგას.

დ) ამ **(რის?)** _____ ბინადარი კარლსონია.

მსუქანი გრძელი გამხდარი პატარა

ა) ოთახში **(როგორი?)** _____ ხის მაგიდა დგას.

ბ) მაგიდაზე შვიდი **(როგორი?)** _____ თეფში დევს.

გ) პეპი **(როგორი?)** _____ გოგონაა, კარლსონი კი **(როგორი?)** _____.

1. მიუთითეთ სწორი ვარიანტი. რა არის:

ა) თეფში, კოვზი, დანა, ჩანგალი და ჭიქა? 1. საჭმელი 2. სასმელი 3. ჭურჭელი

ბ) მაგიდა, სკამი, მაცივარი და ტახტი? 1. ავეჯი 2. ტანსაცმელი 3. ჭურჭელი

გ) კარაქი, პური, სოსისი და კვერცხი? 1. ხილი 2. ბოსტნეული 3. საჭმელი

2. შეადარეთ წინადადებები ერთმანეთს.

რომელი სიტყვა არ არის პირველ წინადადებებში?

ა) ოთახში დგას მაგიდა. ბ) ოთახში დგას ხის მაგიდა.

ა) ის ამ სახლში ცხოვრობს. ბ) ის ამ ქვის სახლში ცხოვრობს.

ა) მე მყავს მანქანა. ბ) მე მყავს ახალი მანქანა.

ა) ეს ჩემი მეგობარია. ბ) ეს ჩემი საუკეთესო მეგობარია.

რის?
ხის მაგიდა
ყინულის მანქანა
ქვის სახლი...

როგორი?
დიდი მაგიდა
ახალი მანქანა
პატარა სახლი

3. დაუბრუნდით წინადადებებში გამოტოვებულ სიტყვებს და დაუსვით შეკითხვები ნიმუშის მიხედვით.

როგორი მაგიდა დგას ოთახში?

რის მაგიდა დგას ოთახში?

4. გაიხსენეთ ავეჯი და დაასახელეთ: რა დგას თქვენს ოთახში და რამდენი? როგორია და რისაა?

5. დაასახელეთ, ვინ არის.

ა. მხიარული ცხოველია და ცხოვრობს პეპისთან. აქვს გრძელი კუდი და უყვარს ბანანი.

ბ. ესეც მხიარულია. ცხოვრობს მარტო. უყვარს ჭამა. არის მსუქანი და ზურგზე პროპელერი უკეთია.

გ. არის გამხდარი და ლამაზი. ის ჯუჯებთან ცხოვრობს.

დ. ესეც გამხდარია. ცხოვრობს დიდ სახლში ცხოველებთან ერთად.

ე. მათ არ უყვართ მზე. ცივ სახლებში ცხოვრობენ და ცივი მანქანებით დადიან.

ვ. მას გრძელი წინდები აცვია. ამიტომაც გრძელწინდას ეძახიან.

ზ. ისინი ძმები არიან და ტყეში ცხოვრობენ.

6. დაუბრუნდით პეპისა და კარლსონს და შეავსეთ მოცემული ცხრილები ტექსტების მიხედვით.

პეპი შვედი გოგონაა. ის ცხოვრობს დიდ სახლში ცხენთან და მაიმუნთან – ბატონ ნილსონთან ერთად. პეპის მარტო მამა ჰყავს. მას ეფრაიმი ჰქვია. პეპი წითურთმიანი და ჭორფლებიანი გოგოა. აქვს ორი სასაცილო ნაწნავი. ფეხზე უზარმაზარი შავი ფეხსაცმელი აცვია, ტანზე კი – მოკლე კაბები და გრძელი წინდები. პეპის ერთი წინდა ყავისფერია, მეორე კი - შავი. პეპი მხიარული გოგონაა. უყვარს გართობა.

პეპის ორი მეგობარი ჰყავს: ტომი და ანიკა. ტომი და ანიკა და-ძმანი არიან. ისინი პეპის მეზობლად ცხოვრობენ.

ეროვნება	
ქვეყანა	
ოჯახი	
სახლი ვისთან ცხოვრობს?	
გარეგნობა ხასიათი	
რა უყვარს?	
მეგობრები	

კარლსონი შვედეთიდანაა. ის სახურავზე პატარა სახლში მარტო ცხოვრობს. მას არავინ ჰყავს. კარლსონი პატარა და ჩამრგვალებული კაცუნაა. ზურგზე პატარა პროპელერი აქვს და დაფრინავს. ძალიან მხიარული და სასაცილო ვინმეა. უყვარს ნამცხვრები და შოკოლადები.

კარლსონის საუკეთესო მეგობარია შვიდი წლის სვანტე, რომელსაც ბიჭუნას ეძახიან. სვანტეს ერთი ძმა და ერთიც და ჰყავს - თხუთმეტი წლის ბოსე და თოთხმეტი წლის ბეტანი.

ეროვნება	
ქვეყანა	
ოჯახი	
სახლი ვისთან ცხოვრობს?	
გარეგნობა ხასიათი	
რა უყვარს?	
მეგობრები	

7. შეადარეთ ისინი ერთმანეთს. დაასახელეთ, რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის.

8. გამოიყენეთ ცხრილები და ისაუბრეთ პეპისა და კარლსონის შესახებ.

1. მოძებნეთ ზედმეტი სიტყვა და დაასახელეთ, რაზე მიუთითებს - გარეგნობაზე თუ თვისებაზე?

ა) წითურთმიანი, ჭორფლიანი, გრძელწინდა, მხიარული

ბ) პატარა, კეთილი, ჩამრგვალებული, მსუქანი

გ) მაღალი, გამხდარი, ჭკვიანი, ჩამრგვალებული

დ) მსუქანი, მხიარული, ჭკვიანი, ძლიერი, სასაცილო

2. მოძებნეთ მითითებული სიტყვები.

მსგავსი მნიშვნელობის:		საპირისპირო მნიშვნელობის:	
მსუქანი	უზარმაზარი	ციცქნა	მხიარული
ძალიან პატარა	გონიერი	ძლიერი	ბოროტი
ძალიან დიდი	ჩამრგვალებული	მოწყენილი	უზარმაზარი
ჭკვიანი	ციცქნა	კეთილი	სუსტი

3. დაასრულეთ წინადადებები სურათის მიხედვით.

ა) ხეზე ზის ორი _____.

ბ) კიბესთან წევს შავი _____.

გ) მიდის შავშარვლიანი _____.

დ) მირბის წითელკაბიანი _____.

4. მოძებნეთ და მიუთითეთ.

მე	**შენ**
ვარ	ხარ
ვდგავარ	დგახარ
ვწევარ	წევხარ
მივდივარ	მიდიხარ
მივრბივარ	მირბიხარ
ვზივარ	ზიხარ

მე	ვდგავარ / ვწევარ	**ჩვენ**	ვდგავართ / ვწევართ
შენ	დგახარ / წევხარ	**თქვენ**	დგახართ / წევხართ
ის	დგას / წევს	**ისინი**	დგანან / წვანან

5. მოძებნეთ სურათებზე და დაასახელეთ.

რა მდგომარეობაში არიან, რას აკეთებენ:

დათვი და ჟირაფი? ბავშვები? მაიმუნი? მგელი, კურდღელი და კუ?
წითელქუდა? ჩიტები? ძაღლი და კატა? შავშარვლიანი ბიჭი?

მე	ვზივარ
შენ	ზიხარ
ის	ზის
ჩვენ	ვ**სხედ**ვართ
თქვენ	**სხედ**ხართ
ისინი	**სხედ**ან

6. გაასწორეთ წინადადებები სურათების მიხედვით.

ა) დათვი და ჟირაფი სხედან.
ბ) ხეზე ჩიტი და კატა სხედან.
გ) კურდღელი და მგელი წვანან.
დ) ძაღლი და კატა დგანან კიბესთან.
ე) ბავშვები წვანან სკამზე.
ვ) შავშარვლიანი ბიჭი მირბის.

7. აირჩიეთ სწორი ვარიანტი და ჩაწერეთ.

ა) წითელქუდას ბებია ლოგინში _____. 1. დგას 2. წევს 3. ზის
ბ) ბავშვები მაგიდასთან _____. 1. მირბიან 2. სხედან 3. სხედხართ
გ) თქვენ რატომ არ _____? 1. ვწევართ 2. წევხართ 3. წვანან
დ) მე და ჩემი და სახლში _____. 1. მიდის 2. მიდიან 3. მივდივართ

8. გაასწორეთ შეცდომები ზეპირად და სწორად გადაწერეთ წინადადებები რვეულში.

ა) ისინი ზიან სკამზე.
ბ) ხეზე ორი ჩიტები სხედან.
გ) დათო და გია მირბის.
დ) ბებია და ბაბუა წევან ლოგინში.
ე) თქვენ ზიხართ სკამზე?
ვ) ბიჭები დგას სახლთან.

9. დაუბრუნდით სურათებს და აღწერეთ ისინი მასწავლებლის კითხვების დახმარებით.

1. დააკვირდით სურათს და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა) რამდენსართულიანია ეს სახლი?

ბ) სულ რამდენი ოთახია სახლში? რამდენი ოთახია პირველ, მეორე და მესამე სართულებზე?

გ) რომელ სართულზე დგას ტახტი? საწოლი? პატარა მრგვალი მაგიდა? საათი? მაცივარი? დიდი მრგვალი მაგიდა?

დ) რამდენი ფანჯარაა სახლში, სურათის მიხედვით?

ე) რა კიდია კედელზე მეექვსე ოთახში? მეორე ოთახში? მეხუთე ოთახში?

ვ) რომელ ოთახში დგას ყვავილის ქოთანი იატაკზე? ყვავილის ვაზა მაგიდაზე?

ზ) სად არის კიბე?

2. წაიკითხეთ, დააკავშირეთ და დაიმახსოვრეთ.



1. შესასვლელი
2. მისაღები
3. სამრეცხაო
4. სასტუმრო
5. სამზარეულო
6. საძინებელი
7. სააბაზანო
8. ბავშვების ოთახი

3. წაიკითხეთ, მოძებნეთ გამუქებული სიტყვები სურათზე და მიუთითეთ.

შესასვლელში კიდია დიდი **სარკე.** სარკის ქვეშ დგას დიდი **კომოდი.** პატარა კომოდი დგას ბავშვების ოთახშიც. მისაღები ოთახის ფანჯარაზე თეთრი **ფარდები** კიდია. კიბის წინ პატარა მწვანე **ფარდაგი**ა დაფენილი იატაკზე. კიბის ქვეშ ყვავილის ქოთანი დგას. სამრეცხაოში დიდი **სარეცხის მანქანა** დგას. მშობლების საძინებელში საწოლზე ორი **ბალიში** დევს. საწოლის თავზე სურათი კიდია. აბაზანის კედელზე მწვანე **პირსახოცი** კიდია. **აბაზანა** არის დიდი და თეთრი თეთრია **ნიჟარა**ც. სამზარეულოს თაროზე ჭურჭელი აწყვია. მის ქვეშ დიდი და თეთრი **გაზქურა** დგას. გაზქურის გვერდით ჭურლის დაბალი კარადა დგას.

ქვემოთ - ზემოთ; წინ - უკან; მარჯვნივ - მარცხნივ; გვერდით; შუაში

4. დააკვირდით სურათს და მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს
ამ სახლში ორი ბავშვი ცხოვრობს.			
ოჯახის წევრებს არ აინტერესებთ კომპიუტერი და ტელევიზორი.			
ბავშვებს ძალიან უყვართ ცხოველები.			
სახლის სარდაფში სამრეცხაო ოთახია.			
სახლს ორი ბუხარი აქვს.			
მშობლები მხატვრები არიან.			

5. აღწერეთ სურათი მასწავლებლის კითხვების დახმარებით.



6. დაუბრუნდით პირველ სურათსაც და შეადარეთ ეს ორი სახლი ერთმანეთს. მოძებნეთ მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის და დაასახელეთ.

<u>გამოიყენეთ:</u>

... არის მხოლოდ პირველ / მეორე სურათზე.

... უფრო (როგორია?), ვიდრე ...

ორივე სახლში, საძინებელში არის...

7. ისაუბრეთ თქვენი სახლების შესახებ: რამდენსართულიან / რამდენოთახიან სახლში ცხოვრობთ? ჩამოთვალეთ და აღწერეთ ოთახები და ა.შ.

1. წაიკითხეთ წინადადებები და დააკავშირეთ სურათებთან.

ა) გოგონა მაგიდასთან ზის და ჭამს.

ბ) შეშინებული გოგონა გარბის სახლიდან.

გ) გოგონა საძინებელში შედის. იქ სამი საწოლი დგას.

დ) დათვები გაოცებულები დგანან, პატარა ბელი კი ტირის.

ე) ტყეში პატარა ხის სახლი დგას.

ვ) გოგონა პატარა ხის სკამზე ზის.

2. ისაუბრეთ სურათების შესახებ ქვემოთ მოცემული კითხვების დახმარებით.

1. **სახლი:** როგორი სახლია? სად დგას? რა არის სახლის წინ? ვინ მიდის სახლში?
2. **გოგონა:** როგორია? რას აკეთებს ის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სურათებზე?
3. **ოთახი:** რისი ოთახია? რა დგას ოთახებში? რა კიდია კედელზე, ფანჯარაზე? რა აწყვია მაგიდაზე?
4. **დათვები:** ვინ არიან, როგორები არიან და რას აკეთებენ ისინი?

3. თქვენი აზრით, ვის ეკუთვნის ეს სახლი? ვინ ცხოვრობს ამ სახლში?

4. თანმიმდევრულად დანომრეთ სურათები ისე, რომ ამბავი გამოვიდეს.

5. წაიკითხეთ ზღაპარი და შეამოწმეთ.

გოგონა და სამი დათვი

1. აი, ამ ტყეში სამი დათვი ცხოვრობს - მამა დათვი, დედა დათვი და შვილი დათვი. მამა დათვი ძალიან დიდია, დედა დათვი არც ისე დიდი, შვილი დათვი კი პატარაა.

დათვებს პატარა და ლამაზი სახლი აქვთ. დათვების სახლს სამი ოთახი აქვს - სამზარეულო, საძინებელი და ერთიც დიდი ოთახი.

ეს საძინებელია. აქ დათვებს სძინავთ. ეს დიდი საწოლი მამა დათვისაა, ეს პატარა საწოლი - პატარა დათვის, ეს საწოლი კი დედა დათვისაა.

ეს სამზარეულოა. მაგიდაზე სამი ჯამი დგას. ეს დიდი ჯამი მამა დათვისაა. ეს პატარა ჯამი - შვილი დათვის, ეს კი დედა დათვის ჯამია.

ეს დიდი ოთახია. დიდ ოთახში სამი სკამია. ეს დიდი სკამი მამა დათვისაა, ეს პატარა სკამი - შვილი დათვის, ეს კი დედა დათვის სკამია.

2. ერთხელ ერთი პატარა გოგონა ტყეში წავიდა. მიდის გოგონა ტყეში და თან ლამაზ ყვავილებს კრეფს. გოგონამ დათვების სახლი დაინახა.

- რა ლამაზი სახლია! - ამბობს გოგონა და სახლში შედის.

დათვები სახლში არ არიან.

გოგონა სამზარეულოში შედის. ხედავს, მაგიდაზე სამი ჯამია - დიდი ჯამი, საშუალო და პატარა ჯამი. ჯამებში ფაფაა. გოგონამ შეჭამა სამივე ფაფა და დიდ ოთახში შევიდა. ხედავს, სამი სკამია - დიდი სკამი, საშუალო სკამი და პატარა სკამი. ჯერ დიდ სკამზე დაჯდა, მერე საშუალო სკამზე დაჯდა, ბოლოს პატარა სკამზე დაჯდა და... პატარა სკამი გატყდა.

გოგონა საძინებელ ოთახში შედის. ხედავს, სამი საწოლი დგას - დიდი, საშუალო და პატარა. გოგონა ჯერ დიდ საწოლზე დაწვა, შემდეგ საშუალო საწოლზე დაწვა. ბოლოს პატარა საწოლში ჩაწვა და დაიძინა.

3. დათვები სახლში დაბრუნდნენ.

- სად არის ჩემი ფაფა? - ამბობს მამა დათვი.
- სად არის ჩემი ფაფა? - ამბობს დედა დათვი.
- ჩემი ფაფაც არ არის! - ამბობს პატარა დათვი.
- აქ ვიღაც იყო! - ამბობს მამა დათვი.
- ვინ გატეხა ჩემი სკამი? - ტირის პატარა დათვი.

მამა დათვი, დედა დათვი და პატარა დათვი საძინებელ ოთახში შევიდნენ.

- ვინ წევს ჩემს საწოლში? - ამბობს პატარა დათვი.

4. ხმაურზე გოგონამ გაიღვიძა და სახლში გაიქცა.

6. დააკავშირეთ სურათები ეპიზოდებთან და შეამოწმეთ, სწორად დანომრეთ თუ - არა.

7. შეასრულეთ დავალებები რვეულში. (გვ. 90, №1,2)

1. აირჩიეთ ერთ-ერთი სახლი და გაეცანით სიტუაციას.

წარმოიდგინეთ, რომ ის თქვენი სახლია და აპირებთ მის გაყიდვას. დაწვრილებით აღწერეთ თქვენი სახლი: როგორია, რამდენი ოთახია, სად რომელი ოთახია, რა დგას ოთახებში, რა ფერის, როგორი და ა.შ.



2. წაიკითხეთ და დახატეთ ვასილ გულეურის ლექსი - რა დახატა ბაქარმა?

ხატვას იწყებს ბაქარი,
მოიმარჯვა ფანქარი.
დახატა და წაშალა
დაკლაკნილი გზა-შარა.

მერე – დიდი სახლი და
გზაც დახატა ახლიდან.
გზასთან – ღობეებია,
გზაზე მიდის ბებია.

სახლის გვერდით ბაღია,
იქვე – ჭაა თავღია.
ჭასთან სხედან ქათმები,
ბაღში მოჩანს ატმები.

ბაღთან ძროხა აბია
და ბავშვები დარბიან.
დააკვირდით, აქ არის
თვითონ ჩვენი ბაქარიც...

თურმე, იმას ხატავდა,
რაც გულში აქვს ნატვრადა.
სოფელი და ბებია
როგორ მონატრებია.

ვასილ
გულეური

დაბ. თარიღი: 19 აგვისტო, 1971 წ.
დაბ. ადგილი: გორი, საქართველო
საცხ. ადგილი: თბილისი
საქმიანობა: საბავშვო მწერალი, მთარგმნელი

ქალაქის ამბები

რა ხდება ჩვენს ქალაქში? ჩვენს ქუჩაზე?

მოძრაობა ქალაქში

ქალაქის ტრანსპორტი

სუპერმარკეტში



ძირითადი ენობრივი მიზნები

- სოციალური ურთიერთობების ენობრივი ფორმულების ფუნქციური გამოყენება (მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება);
- თავაზიანი და ფამილარული ფორმების გაგება-გამოყენება;
- სივრცეში ორიენტაციის გამომხატველი თანდებულებისა და ზმნიზედების (-ში / -ზე; აქ / იქ; მარჯვნივ / მარცხნივ; წინ / უკან; ქვევით / ზევით; ...-ის წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ) გაგება და მათი ფუნქციური გამოყენება;
- გარემოს აღწერა (რა არის? როგორია? სად მდებარეობს?); შედარებითი დახასიათება;
- შეფასება-დამოკიდებულების გამოხატვა;
- ყოფითი დიალოგების გაგება, შედგენა და გათამაშება;
- საინფორმაციო და მხატვრული ტექსტების გაგება-გააზრება.

1. წაიკითხეთ, დააკავშირეთ და დაიმახსოვრეთ.

1. მაღაზია 2. გაჩერება 3. მოედანი 4. შუქნიშანი 5. გაზონი
6. ტროტუარი 7. გადასასვლელი 8. ქუჩა 9. მოტოციკლი





2. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტი.

1. ჩვენს ქალაქში ძალიან ბევრი __?__ დადის.	ა) მანქანა	ბ) გაჩერება
2. __?__ დიდი მაღაზიაა.	ა) კაფე	ბ) სუპერმარკეტი
3. გადასასვლელზე დგას __?__.	ა) გაჩერება	ბ) შუქნიშანი
4. ქალაქში ყველაზე დიდი __?__ ამ მოედანზეა.	ა) გაზონი	ბ) მოედანი

3. გაასწორეთ წინადადებები სურათების მიხედვით.

ა. მსუქანი ქალი დგას გაჩერებაზე.
ბ. კაცი გადადის გადასასვლელზე.
გ. ახალგაზრდა ქალი დგას კაცის უკან.
დ. შუქნიშანი დგას გაზონზე.
ე. ავტობუსში სხედან პოლიციელები.

4. შეავსეთ ტექსტში გამოტოვებული ადგილები და უპასუხეთ შეკითხვებს.

ვანოს სახლთან გადასასვლელზე მანქანა ქუჩაზე
ავტობუსით ვანოს სახლის პირველ სართულზე

ანო და ვანო პატარა და ვიწრო _____ ცხოვრობენ. ანოსა და ვანოს ქუჩაზე ცოტა _____დადის. ანო ვანოს მეზობელია. ანოს სახლი _____ გვერდით დგას. ანოს სახლის _____ სურსათის მაღაზიაა. _____ არის გადასასვლელი. იქვე დგას შუქნიშანიც. მეორე მხარეს ავტობუსების გაჩერებაა. ანო და ვანო სკოლაში ყოველთვის ერთად მიდიან. ისინი გადადიან _____ და _____ მიდიან სკოლაში.



ა. როგორ ქუჩაზე ცხოვრობენ ანო და ვანო?
ბ. ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის?
გ. სად არის ანოს სახლი? რომელ სართულზე ცხოვრობს ის? რა არის პირველ სართულზე?
დ. რა არის ვანოს სახლთან? სად არის შუქნიშანი? ავტობუსების გაჩერება?
ე. როგორ და რით მიდიან ანო და ვანო სკოლაში?

რით? - ფეხ**ით**, ავტობუს**ით**, მანქან**ით**, ველოსიპედ**ით**...

მიდის / არის

სად? - ქუჩა**ში**, გადასასვლელ**ზე**... მეგობარ**თან**, შუქნიშან**თან**...
-ის წინ, უკან, გვერდით, მეორე მხარეს, იქვე...

5. მონიშნეთ, როგორი შეიძლება იყოს: ქუჩა, ტროტუარი?

დიდი		ფართო		მსუქანი		სწრაფი		მოკლე	
პატარა		ვიწრო		გამხდარი		ნელი		გრძელი	

6. დაუბრუნდით წინა გვერდზე მოცემულ ფოტოს და აღწერეთ ქუჩა და ტროტუარი.

1. წაიკითხეთ რეპლიკები და მიუთითეთ სწორი ვარიანტები.

- სად არის გადასასვლელი?

ა) ეს არ არის გადასასვლელი;
ბ) გადასასვლელი არის შუქნიშანთან;
გ) გადასასვლელთან არის შუქნიშანი.

- ვინ დგას მანქანის გვერდით?

ა) მანქანა დგას სახლის გვერდით;
ბ) დიახ, ეს არის თომა;
გ) ეს თომაა, ჩემი მეგობარი.

2. დაასრულეთ სიტყვები.

ჩემი მეგობრები ერთ ქალაქ___ ცხოვრობენ. ისინი სამსართულ___ სახლ___ ცხოვრობენ. მათი სახლი პატარა და ვიწრო ქუჩა___ დგას. ამ ქუჩა___ მარტო ტაქსები დადის.

თათა მეორე სართულ___ ცხოვრობს, გიორგი კი _ მესამე___. თათას და გიორგის სახლ___ უკან დიდი მაღაზიაა. მაღაზიას____ არის პატარა კაფე. კაფე___ გვერდით გადასასვლელია. გადასასვლელ___ დგას შუქნიშანი.

თათა და გიორგი სკოლაში მანქან___ არ დადიან, ისინი ფეხ___ მიდიან სკოლაში.

3. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

ა. სად და როგორ ქუჩაზე / სახლში ცხოვრობ?
ბ. რა არის შენი სახლის წინ? უკან? გვერდით?
გ. სად არის მაღაზია? გაჩერება? გადასასვლელი...?
დ. რა ტრანსპორტი დადის შენს ქუჩაზე?
ე. რით დადიხარ სკოლაში?

4. გამოიყენეთ წინა დავალების კითხვები და ისაუბრეთ თქვენ შესახებ.

5. შეადარეთ წინადადებები. რა განსხვავებაა პირველ და მეორე წინადადებებს შორის?

ა) მე ექვსი წლის ვარ და სკოლაში **დავდივარ.**
ბ) დღეს კვირაა და სკოლაში არ **მივდივარ.**

ა) მე ხატვაზე და ცეკვაზე **დავდივარ.**
ბ) დღეს ხატვა არ მაქვს. მარტო ცეკვაზე **მივდივარ.**

6. წაიკითხეთ, მოძებნეთ სურათზე და დაასახელეთ, რა არის.

ა) აქ ფეხბურთს თამაშობენ. ის მრგვალი შენობაა და შუაში მწვანე მოედანია.

ბ) ეს მიწისქვეშა ტრანსპორტი მარტო დიდ ქალაქებში დადის.

გ) აქ ბევრი ცხოველი და ფრინველია. ისინი გალიებში ცხოვრობენ. ბავშვებს ძალიან უყვართ იქ სიარული.

დ) ეს შენობა სტადიონის გვერდით მდებარეობს. ამ შენობაში წამლებს ყიდიან.

ე) ამ შენობაში ბევრი ძველი და საინტერესო ნივთია გამოფენილი. ეს შენობა სკოლის წინ მდებარეობს.

ვ) აქ ადამიანები ერთობიან. ბავშვებს განსაკუთრებით უყვართ ეს ადგილი.

7. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

<u>გამოიყენეთ:</u>

სად არის...?

რის გვერდით / წინ / უკან... მდებარეობს ...?

რა მდებარეობს ...-ის წინ / მარჯვნივ...?

8. შეადგინეთ მსგავსი ან კონკრეტულად თქვენი ქუჩის მაკეტი და გააცანით ერთმანეთს.

9. დაუსვით ერთმანეთს მსგავსი შეკითხვები და უპასუხეთ.

1. მონიშნეთ, როგორი შეიძლება იყოს ტრანსპორტი.

☐ დიდი	☐ ძველი	☐ მსუქანი	☐ სწრაფი
☐ პატარა	☐ ახალი	☐ გამხდარი	☐ ნელი

☐ მოკლე	☐ ფართო	☐ ლამაზი
☐ გრძელი	☐ ვიწრო	☐ უშნო

2. დააკვირდით და დაასახელეთ, რომელია უფრო სწრაფი:

ველოსიპედი თუ მოტოციკლეტი? მოტოციკლეტი თუ ავტომანქანა?
ავტომანქანა თუ ავტობუსი? ავტობუსი თუ ველოსიპედი?
გემი თუ კატერი? კატერი თუ ნავი? ავტომანქანა თუ მატარებელი?





გემი

კატერი



თვითმფრინავი **მატარებელი**

3. თქვენი აზრით, რომელია აქედან: ყველაზე სწრაფი? ყველაზე ნელი?

4. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ ნიმუშის მიხედვით.

რომელი ტრანსპორტი მოგწონს ყველაზე მეტად? რომელი არ მოგწონს? მოგწონს მატარებელი? რატომ მოგწონს? რატომ არ მოგწონს? და ა.შ.

ძველი
ახალი
გრძელი
მოკლე
სწრაფი
ნელი
ვიწრო
ფართო...

უფრო

ძველი
ახალი
გრძელი
მოკლე
სწრაფი
ნელი
ვიწრო
ფართო...

ყველაზე

ძველი
ახალი
გრძელი
მოკლე
სწრაფი
ნელი
ვიწრო
ფართო...

5. დააკავშირეთ და დაასახელეთ ყველა შესაძლო ვარიანტი.

რას აკეთებს?

დადის დარბის დახტის დაფრინავს დაცურავს დაცოცავს

ჩიტი





ვეშაპი



ტრამვაი

ცხენი



ვერტმფრენი

რაკეტა

როგორია?	მოძრაობს **როგორ?**
სწრაფი, ნელი...	სწრაფად, ნელა...

6. გადახაზეთ არასწორი სიტყვები.

საჰაერო ტრანსპორტია:	ვერტმფრენი, თვითმფრინავი, რაკეტა, მოტოციკლი
წყლის ტრანსპორტია:	გემი, კატერი, მატარებელი, ნავი, ველოსიპედი
სარკინიგზო ტრანსპორტია:	ავტობუსი, მატარებელი, მეტრო, ტრამვაი, გემი
საგზაო ტრანსპორტია:	მოტოციკლი, ავტომანქანა, ვერტმფრენი, ტროლეიბუსი

1. წაიკითხეთ, დააკვირდით სურათებს და მიუთითეთ, რომელია.

ა) ქალაქის სახურავებზე თოკებია გაჭიმული და ადამიანები ამ თოკებზე დადიან.

ბ) ქალაქის მთავარ მოედანზე პატარა სკვერია ლამაზი შადრევნით.

გ) ქალაქში ბევრი ხე და ყვავილია.

დ) ადამიანებს ამ ქალაქში სიმაღლის არ ეშინიათ.

2. თქვენი აზრით, ვისია ეს ქალაქები? დაასახელეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტი.

პირველ სურათზე

ა) მხატვრების ქალაქი

ბ) პოეტების ქალაქი

გ) მუსიკოსების ქალაქი

მეორე სურათზე

ა) ჯამბაზების ქალაქი

ბ) უცნაური ადამიანების ქალაქი

გ) თოკზე მოსიარულეთა ქალაქი

3. წაიკითხეთ პირველი ტექსტის დასასრული და მეორის დასაწყისი და შეადარეთ თქვენს ვერსიებს.

4. თავიდან ბოლომდე წაიკითხეთ ნაწყვეტები არჩილ სულაკაურის მოთხრობიდან - „სალამურას თავგადასავლი“ და დააკავშირეთ სურათებთან. უპასუხეთ შეკითხვებს.

1. ქალაქი სულ მწვანეშია ჩაფლული. ქუჩების ორივე მხარეს ულამაზესი **გაზონები**ა. გაზონებზე ფერად-ფერადი ყვავილები, პალმები და ვარდის ბუჩქებია დარგული. ვარდის ბუჩქებზე ბულბულები სხედან და გალობენ.

თითქმის ყოველ ნაბიჯზე ათასფრად შეღებილი **მერხები** და ღია **ფანჩატურები** დგას. თითქმის ყოველ მოედანზე კი **შადრევანი** ჩქეფს. ეს პოეტების ქალაქია. ამ ქალაქში სულ პოეტები ცხოვრობენ.

ა. რატომ ჰქვია ამ ქალაქს პოეტების ქალაქი?

ბ. რაშია ჩაფლული მთელი ქალაქი?

გ. სად არის გაზონები და რა არის მასზე დარგული?

დ. რა ხდება ქალაქის მოედნებზე?

2. თოკზე მოსიარულეთა ქალაქი არა ჰგავს არც ერთ ქალაქს. ამ ქალაქში ადამიანები ქუჩის ნაცვლად თოკებზე დადიან. **თოკები** სახლის ერთი სახურავიდან მეორე სახურავზეა გაჭიმული. თუ სახლი ხუთსართულიანია, მეხუთე სართული ქვევით არის, სადაც ჩვენებური სახლების პირველი სართულია. ჩვენ თუ ვამბობთ, მეხუთე სართულზე ავდივარო, ამ ქალაქში ამბობენ, მეხუთე სართულზე ჩავდივარო. სართულებს აქ ზევიდან ითვლიან, სადარბაზო შესასვლელებიც სახურავებზე აქვთ. ასევე ზევით არის მაღაზიებიც.

ა. რატომ ჰქვია ამ ქალაქს თოკზე მოსიარულეთა ქალაქი?

ბ. რატომ არ ჰგავს ის არც ერთ ქალაქს?

გ. რაზეა თოკები გაჭიმული?

დ. რა არის ამ ქალაქის სახლების სახურავებზე?

5. წაიკითხეთ და მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა ტექსტების მიხედვით.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს
პოეტების ქალაქის მაცხოვრებლებს ძალიან უყვართ მცენარეები.			
ამ ქალაქის ძველ უბანში მოხუცი პოეტები ცხოვრობენ.			
ქალაქს ერთი ლამაზი შადრევანი ამშვენებს.			
თოკზე მოსიარულეთა ქალაქში მარტო ხუთსართულიანი სახლები დგას.			
ამ ქალაქში ცნობილი ჯამბაზი - ალე ჰოპი ცხოვრობს.			
ასეთი უცნაური ქალაქი მეორე არ არსებობს.			

1. წაიკითხეთ დიალოგები და მიუთითეთ, რომელ ქალაქზეა საუბარი. რომელი დიალოგი შეესაბამება ნახატს?

1

- ეი, მანდ რომელი ხარ?- გაისმა ხმა ზევიდან.
- სალამურა ვარ, - უპასუხა ბიჭუნამ.
- რომელი სალამურა?
- სალამურა – ჭიამაიების მწყემსი.
- აქ რას აკეთებ, ჩვენს ქალაქში რა გინდა?
- ბაიას ვეძებ.
- ვინ არის ბაია?
- ჩემი მეგობარია, ის ციცინათელების მწყემსია. შენ ვინ ხარ?
- მე ფოსტალიონი ვარ, სირბილა მქვია.

2

- რა უცნაური ქალაქია,- თქვა სალამურამ.
- უცნაური ეს კი არა, სხვა ქალაქებია,- უპასუხა სირბილამ,- მტვრიან და ჭუჭყიან ქუჩებში სიარულს არ სჯობია სუფთა ჰაერზე იარო?! ჩვენს ქალაქში ყველა ჯანმრთელია.

2. გაიხსენეთ დიალოგები და მონიშნეთ ყველა სწორი ვარიანტი.

ვინ არის სალამურა?

ა) ჭიამაიების მწყემსი
ბ) ციცინათელების მწყემსი
გ) ფოსტალიონი
დ) ბაიას მეგობარი

როგორია თოკზე მოსიარულეთა ქალაქი?

ა) მტვრიანი და ჭუჭყიანი
ბ) უცნაურქუჩებიანი
გ) სუფთა და ლამაზი
დ) ისეთი, როგორიც სხვა ქალაქები.

3. მონიშნეთ, როგორი შეიძლება იყოს ქალაქი?

ფართო ☐ საინტერესო ☐ გემრიელი ☐ ისტორიული ☐ ლამაზი ☐

ვიწრო ☐ უინტერესო ☐ უგემური ☐ უშნო ☐ ახალი ☐ ძველი ☐

მტვრიანი ☐ სუფთა ☐ ჭუჭყიანი ☐ უცნაურქუჩებიანი ☐ თანამედროვე ☐



4. წაიკითხეთ და უპასუხეთ კითხვებზე.

ეს ჩვენი სუპერმარკეტია. ის ქალაქის ცენტრში, აბაშიძის ქუჩაზე, მდებარეობს. ის არის სამსართულიანი. პირველ სართულზე **იყიდება** ხილი, ბოსტნეული და სურსათი. ტანსაცმელები და ფეხსაცმელები მეორე სართულზეა. მეორე სართულზე **იყიდება** სპორტული საქონელიც. სათამაშოები, საჩუქრები, ავეჯი და ჭურჭელი მესამე სართულზე **იყიდება.**

- სად მდებარეობს სუპერმარკეტი?
- რამდენსართულიანია ის?
- რა იყიდება პირველ სართულზე?
- რა იყიდება მესამე სართულზე?
- რომელ სართულზე იყიდება ფეხსაცმელები?

მაღაზია **არის** ქალაქის ცენტრში.

მაღაზია **მდებარეობს** ქალაქის ცენტრში.

5. მონიშნეთ შესაბამისი უჯრა ტექსტის მიხედვით.

სად რა იყიდება?

	პირველი სართული	**მეორე სართული**	**მესამე სართული**
ვაშლი, საზამთრო, კიტრი			
თოჯინა, ბუშტები			
შარვალი, კაბა, ქუდი			
პური, კარაქი, კვერცხი, რძე			
თეფშები და ჭიქები, ტაფა			
სავარძელი და ტახტი			
ბოტასები			
სპორტული ჩანთა, ბურთი			

6. დააკვირდით.

სად არის? → ქალაქის ცენტრში, აბაშიძის ქუჩაზე, გაჩერებასთან

როგორია? → დიდი, ლამაზი, ორსართულიანი

რა იყიდება? → პირველ სართულზე? - ხილი, ბოსტნეული, სურსათი

↓

მეორე სართულზე? - ტანსაცმელი, საჩუქრები, სათამაშოები

7. მოიფიქრეთ თქვენი ვარიანტები, გამოიყენეთ სქემა და ისაუბრეთ თქვენი სუპერმარკეტების შესახებ.

1. დააკავშირეთ დიალოგები სურათთან. ვინ ვის ელაპარაკება?

- რას ყიდულობ?
- პურს, შენ?
- მე წვენს ვყიდულობ.

- გამარჯობა, მაწონი და რძე მომეცით, თუ შეიძლება!
- აი, რძე. მაწონი, სამწუხაროდ, აღარ გვაქვს.

2. სწორად დანომრეთ რეპლიკები და წაიკითხეთ.

( ) - ორი წვენი მომეცით.
( ) - არა, ვაშლის წვენი გვაქვს.
(1.) - ფორთოხლის წვენი გაქვთ?
( ) - რა ღირს?
( ) - ინებეთ.
( ) - 1 ლარი და 50 თეთრი.
( ) - გმადლობთ.

გამყიდველი	**ყიდის.**
ის	ყიდის.
მყიდველი	**ყიდულობს.**
ის	ყიდულობს.

3. აირჩიეთ, რას იყიდით და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები.

გამოიყენეთ!

გაქვთ? რა ღირს? თუ შეიძლება.
მომეცით. გმადლობთ.

გვაქვს / არ გვაქვს. ღირს ...
ლარი / თეთრი. ინებეთ.

წელიწადის დროები

სეზონები და თვეები

დედის დღე

ამინდი

როდის გაქვს
დაბადების დღე?

ძირითადი ენობრივი მიზნები

- ინტერაქცია წელიწადის დროებსა და ამინდზე (აღწერს და ახასიათებს, როდის როგორი ამინდია...);
- მარტივი ენით საუბარი: საკუთარი თავის შესახებ (წელიწადის რომელი დრო / რომელი თვე უყვარს და რატომ? როდის / რომელ თვეში აქვს დაბადების დღე? და ა.შ.);
- მისალოცი ბარათების შედგენა;
- დიალოგების გაგება, შედგენა და გათამაშება;
- საკომუნიკაციო სიტუაციის შესატყვისი გამოთქმების (მაგ., გილოცავ დაბადების დღეს! დღეს ცივა, ცუდი ამინდია ...) გაგება და მათი ფუნქციური გამოყენება.

1. გაიხსენეთ წელიწადის დროები და დაასახელეთ, რომელია:

- წელიწადის ყველაზე ცხელი დრო?
- წელიწადის ყველაზე ცივი დრო?

დააკვირდით!

როდის თბილა? ცხელა? გრილა? ცივა?
გაზაფხულ**ზე** ზაფხულ**ში** შემოდგომა**ზე** / შემოდგომ**ით** ზამთარ**ში**

როგორია გაზაფხულ**ი** ზაფხულ**ი** შემოდგომა ზამთარ**ი?**
თბილ**ი** ცხელ**ი** გრილ**ი** ცივ**ი**

2. წაიკითხეთ და დააკავშირეთ წელიწადის დროებთან.

ა) ეს წელიწადის ყველაზე ცხელი დროა. მზესაც ძალიან ცხელა.

ბ) ყველაფერი თეთრია. თოვს, ციდან თეთრი ფიფქები ცვივა. თოვლის პაპა ციგაზე ზის.

გ) გრილა. ხეს წითელ-ყვითელი ფოთლები სცვივა.

დ) -ჭიტა! - კვირტმა თვალი ჭყიტა. გაიბერა, გაიბურცა, - ბუჰ!- გასკდა და გაიფურცლა.

3. შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

ა) ც_____ თეთრი ფიფქები ცვივა.

ბ) მიწ_____ ბალახი ამოდის.

გ) ხეებ_____ ყვითელი ფოთლები სცვივა.

დ) ფრინველები თბილი ქვეყნებ_____ ბრუნდებიან.

ცი**დან** ცვივა ფიფქები.

ხეებ**ს** **ს**ცვივა ფოთლები.

4. შეადარეთ ერთმანეთს.

ა) ფრინველები **თბილ ქვეყნებში** (**სად?**) **მიფრინავენ.**

ბ) ფრინველები **თბილი ქვეყნებიდან** (**საიდან?**) **მოფრინავენ.**

სად?

თბილ ქვეყნებ**ში**, მიწა**ში**...

საიდან?

თბილ**ი** ქვეყნებ**იდან**, მიწ**იდან**...

5. გამოიცანით.

როცა თოვს, ციდან რა ცვივა?
არ უნდა ბევრი ფიქრი,
ბამბის პატარა ფთილას ჰგავს,
გამოიცანით, _____

თოვლისაგან გავაკეთე,
რა ახურავს თავზე? – ტაფა!
ცხვირი კურდღელს მოუპარავს,
თქვით, რა არის? _____

6. შეადარეთ ერთმანეთს.

ა) შემოდგომით ფრინველები თბილ ქვეყნებში **მი**ფრინავენ.

ბ) გაზაფხულზე ფრინველები თბილი ქვეყნებიდან **მო**ფრინავენ.

სად **მი**ფრინავენ?



საიდან **მო**ფრინავენ?

1. დაასრულეთ სიტყვები.

1. გაზაფხულ_____ თბილა. მიწი_____ მწვანე ბალახი ამოდის. ფრინველები თბილი ქვეყნები_____ მოფრინავენ, სახლ_____ ბრუნდებიან.
2. ზაფხული წელიწადის ცხელი დროა. ზაფხულ_____ ძალიან ცხელა. ღამე მოკლეა, დღე _ გრძელი.
3. ზაფხულის შემდეგ შემოდგომა მოდის. შემოდგომა გრილია. შემოდგომით ზოგჯერ ძალიან ცივა. ფრინველების უმრავლესობა თბილ ქვეყნებ_____ მიფრინავს.
4. ზამთარი ყველაზე ცივი დროა. ზამთარ_____ ღამე გრძელია, დღე _ მოკლე. ბევრ ქვეყანა_____ თოვლი მოდის. ზოგ ცხოველს ზამთარ_____ სძინავს.

2. შეავსეთ ცხრილი წინა დავალების მიხედვით.

რა?	როგორი?	სად?	საიდან?	რას აკეთებს?

3. წაიკითხეთ და თქვით: ტყუილია თუ მართალი?

4. გაეცანით წელიწადის თვეებს და დაასახელეთ, რომელია გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის თვეები.

იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნისი | ივლისი

აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი

გაზაფხულის თვეებია: ...

ზაფხულის თვეებია: ...

შემოდგომის თვეებია: ...

ზამთრის თვეებია: ...

5. უპასუხეთ შეკითხვებს.

- წელიწადის რომელი დრო და თვეა ახლა?
- წელიწადის რომელ დროსა და თვეს აღნიშნავენ: ახალ წელს? დედის დღეს?
- წელიწადის რომელ დროსა და თვეში გაქვს დაბადების დღე?

6. წაიკითხეთ და ისწავლეთ ლექსი.

დედას

ია-ია დაგიკრიფე,
ლურჯთვალა და კოპწია.
დედის დღე და გაზაფხული
ერთად მომილოცია.

ნუნუ კერესელიძე

მისალოცი ბარათი



7. დაწერეთ მისალოცი ბარათი.

1. წაიკითხეთ ავთანდილ არაბიძის ლექსის დასაწყისი და უპასუხეთ შეკითხვებს.

წელიწადს ჰყავს თორმეტი ძე,
თორმეტი ძმა მშვენიერი,
მამამ ყველას დაანათლა
ზნე და ფერი მშვენიერი.

ძე - შვილი, ვაჟი
დაანათლა - აქ: მისცა
ზნე - თვისება, ხასიათი

რა არის ეს თორმეტი ძე? ვინ არის მამა?

2. ააწყვეთ ლექსი. გაიხსენეთ თვეები და დანომრეთ თანმიმდევრულად.

1 **იანვარმა** თოვლის ფიფქით
გადაპენტა მთა და სერი,

ნოემბერში ჩაიკრიფა
შემოდგომა ოქროსფერი,

ზარებს რეკავს **სექტემბერი**,
მწიგნობართა მასპინძელი,

საწნახელში ჩამუხლულა
ღვინობისთვე - **ოქტომბერი**,

მარტმა კვირტი გააღვიძა,
ლაღად მოიღერა ყელი,

აგვისტოში წყალი გათბა,
ზაფხულის მზე გახდა მწველი,

აპრილს ხნული ელოდება,
გუთანს უკიდია ხელი,

მზიან **მაისს** - ვარდობისთვეს -
მოუქარგავს მინდორ-ველი,

თებერვალმა დაუბერა
თავის ძველი საბერველი,

ივნისი ივლისს გასძახის:
თიბვად გაამზადე ცელი,

ზამთრის გრძელ ღამეებს ითვლის
ნაბოლარა **დეკემბერი**,
ძმებმა ვალი მოიხადეს,
კარს ახალი მოდგა წელი.

3. დააკავშირეთ ერთმანეთთან. წელიწადის რომელი დრო როდის იწყება?

1. ნამდვილი გაზაფხული იწყება	22 ივნისს
2. ნამდვილი ზაფხული დგება	22 დეკემბერს
3. ნამდვილი შემოდგომის პირველი დღეა	21 მარტიდან
4. ნამდვილი ზამთარი იწყება	23 სექტემბერი

საიდან?

თბილ**ი** ქვეყნებ**იდან**, მიწ**იდან**...

როდის?
21 მარტ**ს**, 22 ივნის**ს**...

როდიდან?
მარტ**იდან**, აგვისტო**დან**...

4. წაიკითხეთ გივი ჭიჭინაძის ლექსი და უპასუხეთ შეკითხვას:

როცა ბარში ზაფხულია, სად არის გაზაფხული, შემოდგომა და ზამთარი?

სად არიან წელიწადის დრონი?

მზე მიწაზე ჩამოსახლდა;
ზაფხულია ბარში ახლა.
- სად გაიქცა გაზაფხული?
- გაზაფხული მთაში გახლავთ.
იქ ღრუბლებთან დასეირნობს,
ცაში დაჰქრის ფრთიან რაშით,
- შემოდგომა სადღა არის?
- იმალება ჭურ-მარანში,
ზამთარი კი, პატარებო,
მოქცეულა ძალზე ფრთხილად;
ამდგარა და სიცხის შიშით
მაცივარში ჩაკეტილა.

ბარი - დაბლობი

გახლავთ - არის

დაჰქრის - სწრაფად დარბის

რაში - ცხენი

ჭური - ქვევრი

მარანი - ღვინის დასაყენებელი
და შესანახი ადგილი

1. წაიკითხეთ და დააკავშირეთ სიმბოლოებთან.

მზე ანათებს __4__ წვიმს ____ ქარია ____ თოვს ____ ღრუბელია ____

2. წაიკითხეთ და შეადარეთ.

თოვს	-	თოვლი მოდის.
წვიმს	-	წვიმა მოდის.
მზეა	-	მზე ანათებს.
ქარია	-	ქარი ქრის.

3. დააკვირდით საქართველოს რუკას და მიუთითეთ:

სად როგორი ამინდია საქართველოში?



4. ჰკითხეთ ერთმანეთს ნიმუშის მიხედვით და უპასუხეთ.

როგორი ამინდია იმერეთში? - იმერეთში ღრუბელია. სად წვიმს? სად არის წვიმა და ქარი? ...

5. წაიკითხეთ ნაწყვეტი გივი ჭიჭინაძის ლექსიდან და დაასრულეთ.

თოვლის სიმღერა

ცა ნაცრისფრად გაცრეცილა,
თოვლი მოდის,
თოვს...
ენძელები ცვივა ციდან,
თოვლი _____,
_____...

გივი ჭიჭინაძე

6. მიუთითეთ, რას ადარებს ავტორი ენძელებს ლექსში.

7. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

საქართველოში გაზაფხულზე ხშირია წვიმიანი ამინდები. მზე, თოვლი და წყალი - ეს მარტის ნიშნებია. წვიმს ზაფხულშიც. ზაფხულში თბილი წვიმა მოდის. შემოდგომის წვიმა კი ცივია. ოქტომბერში იცის მზიანი დღეებიც. შემოდგომით მოდის პირველი თოვლიც. ზამთარში ცივა. იანვარი წლის ყველაზე ცივი და თოვლიანი თვეა. საქართველოში ზოგჯერ ზამთარშიც თბილა. შავი ზღვიდან თბილი ჰაერი უბერავს. ზამთარში ზღვა უფრო თბილია, ვიდრე ხმელეთი.

- როდის არის წვიმიანი ამინდები?
- როგორი წვიმა მოდის ზაფხულში? შემოდგომით?
- შემოდგომის რომელ თვეში იცის მზიანი ამინდები?
- როდის მოდის პირველი თოვლი?
- როგორი თვეა იანვარი?
- როგორია შავი ზღვა ზამთარში?

როგორი ამინდია?

თოვლ**იანი**
წვიმ**იანი**
ქარ**იანი**
ღრუბლ**იანი**
მზ**იანი**

8. შეცვალეთ ნიმუშის მიხედვით: წვიმს. → წვიმიანი ამინდია.

თოვს. ქარია. მზეა. ღრუბელია.

9. გაიხედეთ ფანჯრიდან და თქვით, როგორი ამინდია დღეს? გაიხსენეთ, როგორი ამინდი იყო გუშინ?

10. დაუბრუნდით საქართველოს რუკას და დაასახელეთ, როგორი ამინდია საქართველოში.

ნიმუში: იმერეთში ღრუბლიანი ამინდია. მზიანი ამინდია სამაჩაბლოსა და კახეთში...

როდის გაქვს დაბადების დღე?

1. წაიკითხეთ და შეადარეთ.

ჩემი დაბადების დღე არის პირველ მაისს.

ჩემს ძმასაც პირველ მაისს აქვს დაბადების დღე.

მე თოთხმეტ აპრილს დავიბადე.

დავიბადე **მაისში**. დავიბადე **ორ მაისს.**	დაბადების დღე მაქვს **მაისში**. დაბადების დღე მაქვს **ორ მაისს.**

2. მოძებნეთ და დაასახელეთ, ვის როდის აქვს დაბადების დღე.



3. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ.

- როდის გაქვს დაბადების დღე? შენ როდის დაიბადე?
- როდის აქვს შენს ძმას... დაბადების დღე? როდის დაიბადა შენი ძმა...?

4. წაიკითხეთ მისალოცი ბარათები და შეადარეთ ერთმანეთს.

ჩემო საყვარელო დედიკო!

გილოცავ დედის დღეს! გისურვებ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

შენი ქეთო

ჩვენო ერეკლე!

გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ წარმატებებსა და ბევრ სიხარულს.

შენი მამიდები

ა) ვინ არის პირველი ბარათის ავტორი? მეორე ბარათის ავტორი?

ბ) ვის უგზავნის ქეთო ბარათს? ვის უგზავნიან მამიდები?

გ) რას ულოცავს ქეთო დედას? რას ულოცავენ მამიდები ერეკლეს?

დ) რას უსურვებს ქეთო დედას? რას უსურვებენ მამიდები ერეკლეს?

5. წაიკითხეთ და დაასახელეთ არასწორი ვარიანტები.

გილოცავ(თ):

ა) დაბადების დღეს

ბ) დედის დღეს

გ) ბედნიერებას

დ) წარმატებებს

ე) ახალ წელს

გისურვებ(თ):

ა) ბევრ სიხარულს

ბ) დედის დღეს

გ) ბედნიერებას

დ) წარმატებებს

ე) ჯანმრთელობას

6. დაწერეთ დაბადების დღის მისალოცი ბარათები და წაიკითხეთ.

<u>მიულოცეთ:</u> მასწავლებელს, მეგობარს, ბებიას ან ბაბუას, ძმას ან დას.

1. წაიკითხეთ, მოძებნეთ სურათზე და მიუთითეთ.

ა) არის ოთხსართულიანი, ტკბილია და გემრიელი.

ბ) მოწყენილი ზის მაგიდის კუთხეში და სათვალიან ბიჭს უყურებს.

გ) ზის სათვალიანი ბიჭის გვერდით და გაოცებული უყურებს ტორტს.

დ) ის ყველაზე მხიარული და ხმაურიანია.

მოწყენილი
მხიარული
გაოცებული
ხმაურიანი

2. დაუბრუნდით სურათს და მოემზადეთ პრეზენტაციისთვის.

- დაარქვით ბავშვებს სახელები და მოიფიქრეთ, ვინ არიან ისინი ერთმანეთისთვის;
- რამდენი წლისანი არიან და სად და როგორ სახლში ცხოვრობენ?
- ვისი დაბადების დღეა და რამდენი წლის გახდა?
- რა უყვარს და მოსწონს იუბილარს და რა - არა? ვინ რა აჩუქა?
- განსაზღვრეთ, წელიწადის რა დროა, რომელი თვე და რიცხვია;
- აღწერეთ და დაახასიათეთ ბავშვები.

3. გააცანით ერთმანეთს თქვენი ვარიანტები და შეადარეთ.

4. გაიხსენეთ და დახატეთ თქვენი ან თქვენი და-ძმის დაბადების დღე ან მოიტანეთ ფოტო და ისაუბრეთ მის შესახებ მოცემული კითხვების დახმარებით.

- ვისი დაბადების დღეა? რამდენი წლის გახდა?
- როდის აქვს დაბადების დღე - წელიწადის რომელ დროს, რომელ თვესა და რიცხვში?
- ვინ არიან სურათზე / ფოტოზე გამოსახული - რა ჰქვიათ, რამდენი წლისანი არიან და სად ცხოვრობენ?
- აღწერეთ და დაახასიათეთ ისინი - როგორები არიან გარეგნულად; როგორი ხასიათი და თვისებები აქვთ; რა მოსწონთ და უყვართ და რა -არა?
- აღწერეთ სურათი / ფოტო: რა დგას ოთახში? რა კიდია კედელზე? რა დევს მაგიდაზე და ა.შ.

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!

5. უპასუხეთ შკითხვებს.

- დაასახელეთ, წელიწადის დროები და მიუთითეთ სურათზე.
- დააკავშირეთ ფერები სეზონებთან. თქვენი აზრით, წელიწადის რომელი დროა: თეთრი? მწვანე? წითელი? ვარდისფერი? ყვითელი? ცისფერი? ჭრელი?
- წელიწადის რომელი დროა: ცივი? ცხელი? გრილი? თბილი?
- წელიწადის რომელ დროს: წვიმს? ქრის ქარი? ჩნდება ცაზე ცისარტყელა? ანათებს მზე? იბანს მზე პირს? თოვს? ცვივა ციდან თეთრი ფანტელი?

6. უპასუხეთ შეკითხვებს სურათის მიხედვით.

წელიწადის რა დროა? საიდან ჩანს? როგორი ამინდია? სად დგას სახლი? როგორია სახლი? რა არის სახლის გვერდით, წინ, უკან?

7. მოცემული კითხვების დახმარებით წერილობით აღწერეთ სურათი რვეულში.

8. აირჩიეთ წელიწადის სხვა დრო და დახატეთ იგივე სურათი. აღწერეთ თქვენი ნახატები და შეადარეთ მოცემულ ფოტოსთან.

1. შეასრულეთ ქვემოთ მოცემული დავალებები წყვილებში.

I წყვილი – „გაზაფხული“ III წყვილი – „შემოდგომა“

II წყვილი – „ზაფხული“ IV წყვილი – „ზამთარი“

- გაიხსენეთ შესაბამის სეზონთან დაკავშირებული ერთ-ერთი ნასწავლი ლექსი და დახატეთ.
- მოიფიქრეთ და შეავსეთ კითხვარი ნიმუშის მიხედვით:

1. ჩაწერეთ სამი სიტყვა, რომელიც ყველაზე მეტად შეეფერება გაზაფხულს:

_____

2. ისაუბრეთ მის შესახებ მოცემული სქემის მიხედვით



2. სამუშაოს დასრულების შემდეგ გააცანით ერთმანეთს თქვენი ნამუშევრები:

- აღწერეთ ნახატები;
- მოყევით ლექსი, რომლის ნახატიც შექმენით;
- დააკავშირეთ ნახატი ლექსთან - *რა არის ლექსში და რა დახატეთ თქვენ?*
- ისაუბრეთ თქვენი სქემის მიხედვით წელიწადის შესაბამისი დროის გარშემო.

ახალი წელია!

რა ხდება ახალ წელს?

როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა ქვეყანაში?

სანტა-კლაუსი და თოვლის პაპა

გილოცავ ახალ წელს!

გავაკეთოთ გოზინაყი!

ძირითადი ენობრივი მიზნები

- ინტერაქცია ახალი წლის გარშემო;
- მარტივი ენით საუბარი საკუთარი ოჯახის შესახებ (სად და როგორ ხვდებიან ახალ წელს? ვინ რას აკეთებს...);
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და მათი გაგება-გააზრება;
- ადამიანების შედარება-დახასიათება;
- მოვლენათა და მოქმედებათა თანმიმდევრობის გაგება-გააზრება და გამოხატვა;
- სივრცეში ორიენტირებისათვის შესაბამისი ენობრივი მარკერების გაგება და ფუნქციური გამოყენება (ზმნისწინები, ზმნიზედები);
- მისალოცი ბარათის შედგენა;
- კულინარიული რეცეპტის შექმნა.

1. დაასახელეთ, რა გახსენდებათ ახალ წელთან დაკავშირებით.

მარხილი

მაშხალა

2. წაიკითხეთ და შეადარეთ თქვენს ინფორმაციას.

ნაძვის ხე. საჩუქრები. სანტა // თოვლის პაპა. გოზინაყი. მაშხალები. ლაპლანდია. მარხილი. ჩურჩხელა. ირმები. ტკბილეული. ნამცხვრები. ფოიერვერკი. საახალწლო სუფრა. მისალოცი ბარათი. მხიარულება. გართობა. სიმღერა და ცეკვა. მეგობრები. ოჯახის წევრები. ბუხარი. სტუმრები. თოვლი. წინდები. ხილი. სეირნობა. ცხენები.

3. წაიკითხეთ, მოძებნეთ პირველი დავალების სურათებზე და დაასახელეთ, რა არის.

ა) საახალწლო ტკბილეულია. ამზადებენ საქართველოში.
ბ) არის დიდი ციგა. არის ხისაც და რკინისაც.
გ) მოაქვს სანტას და აწყობს ნაძვის ხის ქვეშ.
დ) კიდია ბუხარზე. გრძელია და აცვიათ ფეხზე.
ე) არის თოვლის კაცი. აქვს სტაფილოს ცხვირი და ხის ხელები.
ვ) ცხელია და ბუხარში გიზგიზებს.
ზ) დგას ბუხრის თავზე და ანთია.
თ) არის ფუმფულა. წევს ბუხრის წინ ბალიშზე და ძინავს.

წინდები
თოვლის პაპა
გოზინაყი
ცეცხლი
მარხილი
სანთელი
საჩუქრები

4. დაუბრუნდით ფოტოს და აღწერეთ.

რა არის ოთახში, როგორია და რა ფერის? სად დგას ნაძვის ხე? რა კიდია ბუხარზე? კედელზე,? ნაძვის ხეზე? რა ანთია? რა გიზგიზებს ბუხარში? სად წევს კატა? რა ჩანს ფანჯრიდან? წელიწადის რა დროა? როგორი ამინდია? რა მოდის ციდან?

5. გამოიყენეთ ფოტოებიც და ჩაწერეთ შესაფერისი არსებითი და ზედსართავი სახელები.

რა არის?	როგორია?
მწვანე _____	ამინდი _____
მორთული _____	წინდები _____
გრძელი _____	ბუხარი _____
მრგვალი _____	ნაძვის ხე _____
ცხელი _____	თოვლი _____
ცივი _____	სათამაშო _____
ფუმფულა _____	ცეცხლი _____

6. თქვენი აზრით, რას არ აკეთებენ ადამიანები ახალ წელს? შემოხაზეთ თქვენი ვერსიები.

1. ქუჩაში **გადიან** და **მხიარულობენ.**
2. **შლიან** საახალწლო სუფრას.
3. **რთავენ** ნაძვის ხეს.
4. **სეირნობენ** ქალაქში.
5. **კითხულობენ** ლექსებს.
6. **დგებიან** დილით ადრე.
7. **უყურებენ** ტელევიზორს.
8. **წერენ** მისალოც ბარათებს.
9. **ამზადებენ** საახალწლო კერძებს.
10. **თამაშობენ** ფეხბურთს.
11. ბუხარს **ანთებენ.**
12. **იცინიან, ცეკვავენ** და **მღერიან.**
13. **ჭამენ** ჩურჩხელებს.
14. **სვამენ** სასმელს.
15. **მიდიან** სტუმრად.
16. **წვებიან** და **იძინებენ.**
17. **ელოდებიან** მეკვლეს.
18. **სხდებიან** სუფრასთან.

7. გადაახარისხეთ ეს ზმნები რვეულში და შეასრულეთ იქ მოცემული დავალებები (გვ. 124, №1,2).

8. წინა დავალების გამოყენებით შეავსეთ ნაკლული ტექსტი და ისე გადაწერეთ რვეულში (გვ. 125, №3)

რას აკეთებს ანოსა და ვანოს ოჯახი ახალ წელს?

ახალი წლის ღამეს მისაღებ ოთახში დიდ ნაძვის ხეს _____. ბუხარს _____. ბავშვები ბუხართან ___ ___ და **მოგიზგიზე** ცეცხლს _____. ბებია და დედა სამზარეულოში გოზინაყს ____, ანოს მამიდები საახალწლო სუფრას _____. მერე სუფრასთან _____ და ერთმანეთს ახალი წლის მოსვლას ულოცავენ. ანო და ვანო ნაძვის ხის გარშემო _____ და _____. ანო და ვანო თოვლის პაპას, მათი მშობლები კი მეკვლეს _____.

1. დაასრულეთ მოცემული წინადადებები, წაიკითხეთ და შეადარეთ ერთმანეთის ვარიანტები.

თქვენი აზრით, როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა ქვეყანაში?

1. ხის ფეხსაცმელებში სტაფილოსა და თივას დებენ.
2. სახალხო ღონისძიებებს მართავენ.
3. ახალი წლის მოსვლას ელოდებიან.
4. პატარა კოცონს ანთებენ.
5. უამრავ სანთელს ანთებენ.
6. ერთმანეთთან სტუმრად დადიან.
7. საზეიმოდ მორთულები ქუჩაში გამოდიან.
8. საშობაო სიმღერებს მღერიან.
9. შემდებ ახალს ყიდულობენ.
10. კედელს ბროწეულს ესვრის.

ა. იტალიელები ახალი წლის ღამეს ფანჯრებიდან ძველ ნივთებს ყრიან და _____.

ბ. ინგლისში შობის წინ ბავშვები სახლებში დადიან და _____.

გ. შოტლანდიაში ანთებენ ბუხარს, სხდებიან მის წინ და _____.

დ. ესპანეთში ახალ წელს ყურძენს ჭამენ. შემდეგ კი მეზობლები _____.

ე. ბერძნული ტრადიციით, ზუსტად 12 საათზე ოჯახის უფროსი ეზოში გადის და _____.

ვ. პოლონელები ახალ წელს ოჯახებში არ ხვდებიან. ისინი ქუჩებში გადიან და _____.

ზ. ჰოლანდიაში ახალი წლის ღამეს ბავშვები სანტას ცხენისთვის _____.

თ. ჩრდილოეთ ინდოეთში ახალ წელს სახლების სახურავებზე _____.

ი. იაპონელები ახალ წელს სიცილით ხვდებიან. შემდეგ კი _____.

კ. ბრაზილიელები ქვიშიან პლაჟზე _____.

2. გადაამოწმეთ თქვენი ვერსიები მასწავლებელთან ერთად.

3. ჰკითხეთ ერთმანეთს და უპასუხეთ ნიმუშის მიხედვით.

რას აკეთებენ ახალი წლის ღამეს იტალიელები, ინდოელები...? როგორ ხვდებიან ახალ წელს პოლონეთში, ესპანეთში...?

4. შეადარეთ წინადადებები ერთმანეთს.

სანტა ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარ**ს დებს.**
ნაძვის ხის ქვეშ საჩუქარ**ი დევს.**

ის საჩუქარს დებს.
საჩუქარი დევს.

ის საჩუქრებს აწყობს.
საჩუქრები აწყვია.

სანტა ნაძვის ხის ქვეშ საჩუქრ**ებს აწყობს.**
ნაძვის ხის ქვეშ საჩუქრ**ები აწყვია.**

კარლსონი საწოლის ქვეშ წინდა**ს აგდებს.**
საწოლის ქვეშ წინდა **გდია.**

ის წინდას აგდებს.
წინდა გდია.

ის წინდებს ყრის.
წინდები ყრია.

კარლსონი საწოლის ქვეშ წინდ**ებს ყრის.**
საწოლის ქვეშ წინდ**ები ყრია.**

მამა ახალი წლის ღამეს ბუხარ**ს ანთებს.**
ახალი წლის ღამეს ბუხარ**ი ანთია.**

ის ბუხარს ანთებს.
ბუხარი ანთია.

5. ააწყვეთ დიალოგი და წაიკითხეთ.

1
სახლში. ვშლით საახალწლო სუფრას. 12 საათზე ვსხდებით სუფრასთან და ერთმანეთს ვულოცავთ. შემდეგ ველოდებით მეკვლეს.

2
არა, სანთელებს ვანთებთ და საახალწლო სუფრაზე ვდგამთ.

3
ვცეკვავთ და ვმღერით. შემდეგ საახალწლო გადაცემებს ვუყურებთ.

4
ვდგამთ უზარმაზარ ნაძვის ხეს და ფერადი სათამაშოებით ვრთავთ.

- როგორ ემზადებით ახალი წლისთვის?
- ____
- ბუხარსაც ანთებთ ახალი წლის ღამეს?
- ____
- ახალ წელს სად ხვდებით?
- ____
- როგორ ერთობით ახალ წელს?
- ____

6. გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები ერთმანეთთან. თქვენ როგორ ხვდებით ახალ წელს?

1. რა იცით სანტა კლაუსის შესახებ? უპასუხეთ შეკითხვებს.

- სად ცხოვრობს?
- როგორ გამოიყურება?
- რა აცვია?
- რით გადაადგილდება - ეტლით, მარხილით, ცხენებით, ირმებით თუ ფეხით?
- საიდან შემოდის სახლში - კარიდან, ფანჯრიდან თუ საკვამურიდან?

2. წაიკითხეთ და შეამოწმეთ.

სანტა ლაპლანდიის მაღალ მთებში ცხოვრობს. მას წითელი ხალათი და შავი ჩექმები აცვია. თავზე წითელი პომპონიანი ქუდი ახურავს. სანტას თეთრი წვერ-ულვაში და წითელი ლოყები აქვს. ზოგს უკეთია სათვალე, ზურგზე კი საჩუქრებით სავსე წითელი ტომარა ჰკიდია.

შობის ღამეს სანტა მფრინავი ირმებით შებმულ მარხილში ჯდება, ბავშვებთან საჩუქრები მიაქვს და ნაძვის ხის ქვეშ აწყობს. ზოგ ქვეყანაში სანტა საჩუქრებს ბავშვების ფეხსაცმელებში ან წინდებში, ზოგან კი ფანჯრის რაფაზეც აწყობს. სახლში საკვამურიდან ჩადის.

3. მონიშნეთ ცხრილში შესაბამისი უჯრა.

	სწორია	არ არის სწორი	არ ჩანს
1. სანტა 31 დეკემბერს მიდის ბავშვებთან საჩუქრებით.			
2. თეთრწვერა და წითელლოყება სანტას პატარა ჯუჯები ეხმარებიან.			
3. სანტა საჩუქრებს ყოველთვის ნაძვის ხის ქვეშ აწყობს.			
4. ის საკვამურიდან ჩადის სახლში.			
5. სანტას ირემს რუდოლფი ჰქვია.			

4. დაუბრუნდით ცხრილს და გაასწორეთ მცდარი წინადადებები.

5. იცნობთ თუ არა ქართველ სანტას? რა იცით მის შესახებ?

6. გამოიყენეთ ცხრილში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ შეკითხვებს.

დასახელება	თოვლის პაპა // თოვლის ბაბუა
სადაურობა	საქართველო
საცხოვრებელი ადგილი	სვანეთი, სოფელი უშგული, კოშკი
გარეგნობა და თვისებები	მაღალი, თეთრწვერა, ძლიერი, კეთილი და მხიარული
ჩაცმულობა	ჩოხა-ახალუხი, თეთრი ან შავი ნაბადი, სვანური ქუდი
საჩუქრებისთვის	დიდი ხურჯინი

რა ჰქვია? სად ცხოვრობს? სადაურია? როგორია გარეგნობით? რა აცვია ტანზე? თავზე რა ახურავს? რა აქვს მხრებზე მოხურული? რით მოაქვს საჩუქრები? კიდევ რა დევს ხურჯინში?

7. შეადარეთ სანტა და თოვლის პაპა ერთმანეთს. რით ჰგვანან და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?

	თოვლის პაპა	**სანტა კლაუსი**
სად ცხოვრობს და სადაურია?		
როგორია გარეგნულად?		
რა აცვია?		
რით მიაქვს საჩუქრები		
დამატებითი ინფორმაცია		

8. ისაუბრეთ თქვენი სანტას შესახებ: რა ჰქვია? როგორია? როგორ გამოიყურეაბა, რა აცვია? სად აწყობს თქვენს საჩუქრებს და ა.შ.

1. აღწერეთ სურათები მასწავლებლის კითხვების დახმარებით.

2. წაიკითხეთ ტექსტები და დააკავშირეთ სურათებთან. დაასახელეთ, ვინ არიან.

1. ___?___ ფრანგი სანტაა. მას ხის ფეხსაცმელი აცვია და ხელში საჩუქრებით სავსე კალათი უჭირავს. ეს კეთილი და თეთრწვერა მოხუცი ვირზე ამხედრებული დადის. სახლებში საკვამურიდან ჩადის და ბუხართან დატოვებულ ფეხსაცმელებში აწყობს საჩუქრებს.

2. 6 იანვრის ღამეს იტალიის ცაზე კეთილი ჯადოქარი ___?___ ცოცხით მოფრინავს. კარებს პატარა ოქროს გასაღებით აღებს და საჩუქრებს ბავშვების საძინებელში, ბუხარზე დაკიდებულ წინდებში აწყობს.

3. ეს პატარა გნომი ნორვეგიელი თოვლის ბაბუის დამხმარეა. მას ___?___ ჰქვია. ის კარადაში ცხოვრობს და შინაურ ცხოველებთან მეგობრობს. ___?___ ძალიან უყვარს გემრიელი საჭმელი და ტკბილეული.

ბეფანა

შავი პიტი

პერ-ნოელი

ნისსი

4. ახალი წლის ღამეს გემით მოცურავს ჰოლანდიელი სანტა და ქალაქში თეთრი ცხენით დადის. მას გრძელი თეთრი თმა და წვერი აქვს. წითელი მოსასხამი აცვია და ხელში დიდი წიგნი უჭირავს. ამ წიგნში ყველა ბავშვის სახელი, მათი მისამართები და საჩუქრები წერია. საჩუქრებს კი მისი დამხმარე, წარმოშობით ესპანელი ___?___ არიგებს.

3. შეასრულეთ დავალებები რვეულში (გვ. 134, №2; გვ. 135, №3).

4. დააკვირდით და წაიკითხეთ ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: **ის** (ახლა) მი + დის



დააკავშირეთ ერთმანეთთან.

მიდის	იქით
მოდის	აქეთ
შედის	შიგნით
გადის	გარეთ
ადის	მაღლა
ჩადის	დაბლა

5. დააკვირდით და თქვით, რას აკეთებს სანტა?

ნიმუში: სანტა მიდის იქით.

მიდის	მოდის	შედის	გადის	ადის	ჩადის

გაიხსენეთ!

მე მივდივარ	**ჩვენ** მივდივართ
შენ მიდიხარ	**თქვენ** მიდიხართ
ის მიდის	**ისინი** მიდიან

6. მსგავსად აუღლეთ მოცემული ზმნები.

მე **მ**ოვდივარ, **ა**ვდივარ, **ჩ**ავდივარ, **შ**ევდივარ, **გ**ავდივარ

7. შეასრულეთ დავალებები რვეულში (გვ. 135, №4; გვ. 138).

1. აირჩიეთ ქვემოთ მოცემული სურვილები და მიულოცეთ ახალი წელი ახლობლებს.

ხვავი და ბარაქა

ულევი სიხარული

სურვილების ასრულება

სიკეთე და ბედნიერება

2. წაიკითხეთ ლექსი და ისწავლეთ ლექსი ზეპირად.

გილოცავ!

გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ.
შენ – ვისაც სამშობლო გიყვარს...
გელა ხარ!
თინა ხარ!
შოთა ხარ!
ცირა ხარ!
ეს სულერთია – ვინ ხარ.
ახალი წელია... თოვლიც გვესალმება...
თოვლიც გვესალმება ციდან...
– ცრემლები?!
– ცრემლებზე – ბოდიში!
– ღიმილი?!
– ღიმილი – რამდენიც გინდა...
გვიყვარდეს სამშობლო,
სიმართლე გვიყვარდეს,
გვიყვარდეს, გვიყვარდეს წიგნი...
რაც უნდა ისურვო,
რაც უნდა ინატრო, – ესაა ყველაზე დიდი.
გილოცავ! გილოცავ!
ახალ წელს გილოცავ.
შენ – ვისაც სამშობლო გიყვარს...
ზაზა ხარ!
ლაშა ხარ!
ვაჟა ხარ!
ნინო ხარ!
ეს სულერთია – ვინ ხარ!



მუხრან მაჭავარიანი

დაბ. თარიღი: 1929 წ. 12 აპრილი

დაბ. ადგილი: არგვეთი, საქართველო

საქმიანობა: პოეტი

ეროვნება: ქართველი

3. დააკვირდით და შეავსეთ ცარიელი უჯრები.

ვინ? რა?	ვის? რას?	ვის(ი)? რის(ი)?	ვისგან? რისგან?	ვისთან? რასთან?
თოვლის პაპა	თოვლის პაპას	თოვლის პაპის	თოვლის პაპის(ა)გან	თოვლის პაპასთან
ნაძვის ხე	ნაძვის ხეს	ნაძვის ხის	ნაძვის ხის(ა) გან	ნაძვის ხესთან
მეგობარი				
ქვა				

4. დააკავშირეთ ერთმანეთთან.

სანდრო	მივიღე წერილი.
სანდროს (ვის?)	მივდივარ.
სანდროს (ვისი?)	ჩემი მეგობარია.
სანდროსგან	ძმას ჰქვია ნიკა.
სანდროსთან	დაბადების დღეა.

თაფლი	ვამზადებთ.
თაფლს	კექსს ვაცხობ.
თაფლის	მიყვარს.
თაფლისგან	ერთად კარგია.
თაფლთან	ვჭამ.

5. ყურადღება მიაქციეთ კითხვებს და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები.

ხეს ხისგან ხე ხის ხესთან

პირველად ნაძვის _____ **(რა?)** გერმანიაში მორთეს. ნაძვის _____ **(რის?)** პირველ სათამაშოებს ფერადი ქაღალდებისგან ამზადებდნენ.

საქართველოში ნაძვის _____ ერთად **(რასთან ერთად?)** ჩიჩილაკსაც დგამენ. ჩიჩილაკს ქართულ „ნაძვის _____“ **(რას?)** უწოდებენ. მას ამზადებენ თხილის _____**(რისგან?)** და ხილითა და კანფეტებით რთავენ.

6. უპასუხეთ შეკითხვებს.

- სად მორთეს ნაძვის ხე პირველად?
- რისგან ამზადებდნენ პირველ სათამაშოებს?
- რას დგამენ საქართველოში ახალ წელს?
- რას აკეთებენ თხილის ხისგან?
- რით რთავენ ჩიჩილაკს?

გავაკეთოთ გოზინაყი

1. რისგან მზადდება გოზინაყი? დაასახელეთ ყველა სწორი ვარიანტი.

ა) თაფლისგან ბ) რძისგან გ) შოკოლადისგან დ) შაქრისაგან ე) ნიგვზისაგან

2. წაიკითხეთ მომზადების წესი და შეამოწმეთ თქვენი ვარაუდები.

<u>მასალა:</u>

500 გრამი თაფლი

100 გრამი შაქარი

1 კილოგრამი ნიგოზი

<u>მომზადების წესი:</u>

წვრილად ვჭრით ნიგოზს. თავიდან ვადუღებთ თაფლს 5-8 წუთის განმავლობაში. შემდეგ თაფლში ვყრით დაჭრილ ნიგოზს და ვურევთ ხის კოვზით. თანდათან ვამატებთ შაქარს. ამის შემდეგ გადმოგვაქვს ხის სველ დაფაზე და ვაბრტყელებთ. ბოლოს ვჭრით თბილი დანით და ვაწყობთ თეფშზე.

3. დაწერეთ თქვენი ოჯახის საახალწლო კერძის რეცეპტი და გააცანით ერთმანეთს.

ცხოველთა სამყაროში



ცხოველები და მათი ნაშიერები

ცხოველთა დავა



შემოდგომის ამბები ტყეში

კეთილი ექიმი აიბოლიტი

მხიარული რეცეპტი კარლსონისაგან



ძირითადი ენობრივი მიზნები

- ინტერაქცია ცხოველებისა და ფრინველების გარშემო (როგორები არიან? სად ბინადრობენ? რით იკვებებიან? რა ჰქვიათ მათ ნაშიერებს?); ცხოველთა და ფრინველთა ხმიანობა;
- ცხოველებისა და ფრინველების აღწერა და მათი შედარებითი დახასიათება;
- სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვა და მათი გაგება-გააზრება;
- მარტივი ინტერაქცია საკუთარი და სხვისი ჯანმრთელობის შესახებ (როგორ ვარ / არის? რა მტკივა / სტკივა? რა მაწუხებს / რა აწუხებს და რატომ?);
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ლექსიკის ათვისება;
- მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოხატვა (რატომ სტკივა? რატომ აწუხებს?).

1. დააკვირდით სურათს. გაიხსენეთ და დაასახელეთ, რომელი ფრინველები და ცხოველებია მათზე გამოსახული.

2. წაიკითხეთ ჯანსუღ ნიქაბაძის სხარტულები, გამოიცანით და ჩაწერეთ.

- აბა, მითხარ მართალი!
რა კაკანებს? - .....

- ყოჩაღ, მჯერა შენი!
რა ჭიხვინებს? - .....

- ამასაც თუ იტყვი?
რა ჭიკჭიკებს? - .....

- ესეც არის სწორი!
რა ღრუტუნებს? - .....

- დაუღია პირი...
რა ყროყინებს? - .....

- დღისით დადის ზანტად...
თქვი, რა კნავის? - .....

- ამაყი და ფრთამალი...
თქვი, რა ყივის? - .....

- გულმკერდშენავერცხლავი,
რა ჟღურტულებს? - .....

- მართალი ხარ, რაც თქვი!
რა ბურდღუნებს? - .....

- მეტი კითხვა არ ღირს...
მითხარ, რა ყეფს? - .....

- ესეც იცი, ეგება...
რა კიკინებს? - .....

3. წაიკითხეთ და დაასრულეთ.

ცხენი ... ვირი ... მერცხალი ... ბეკეკა ... ქათამი ... ძაღლი ...

ჩიტი ... მამალი ... კატა ... დათვი ... ღორი ...



4. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს.

კარგია ტყეში

(ოტია იოსელიანის მიხედვით)

ტყეში ბევრი ხეა, დიდები, უფრო დიდები და სულ დიდები. ხეებზე კი ჩიტუნები დაფრინავენ: ჭრელები, შავები, გრძელკუდიანები და გრძელნისკარტიანები, ყღურტულები და ლამაზები. აქვე ცხოვრობს მშიშარა კურდღელი, ეშმაკი მელა, ეკლებიანი ზღარბი და მშრომელი ჭიანჭველები.

- როგორი ხეებია ამ ტყეში? რა ბინადრობს ტყეში?
- რომელი სიტყვები მიუთითებს ტყის ბინადრების გარეგნობაზე?
- შემოხაზეთ, რას გამოხატავენ სიტყვები: მშიშარა, ეშმაკი, ყღურტულა და მშრომელი? -
  1. გარეგნობას 2. თვისებას, ხასიათს

როგორი?

<u>მიუთითებს გარეგნობას</u>	<u>გამოხატავს თვისებას, ხასიათს</u>
დიდი, შავი, ლამაზი,	კეთილი, მამაცი, ჭკვიანი...
მაღალი, მრგვალი...	მშრომელი, ბეჯითი ....
გრძელკუდიანი ...	მხიარული, ხალისიანი ...

5. დაუბრუნდით ნახატს და აღწერეთ.

6. მოძებნეთ მათი ნაშიერები. წაიკითხეთ და მიუთითეთ, რომელია.

ხბო კვიცი ბატკანი თიკანი ჭუკი ჩოჩორი ბაჭია

ბოკვერი ბარტყი ბელი ლეკვი წიწილა კნუტი

1. წაიკითხეთ და შეადარეთ.

ა) კუდღელი დათვ**ზე** პატარაა. მელია კურდღელ**ზე** დიდია.

ბ) მელია კურდღელ**ზე** დიდია და დათვ**ზე** პატარაა.

2. დააკვირდით და ჩაწერეთ.





ა) _____ ჟირაფზე დაბალია.

ბ) _____ ზებრაზე მაღალია.

ა) _____ ლომზე პატარაა.

ბ) _____ მგელზე დიდია.

3. გამოიცანით და ჩაწერეთ.



ვეფხვზე პატარაა და კატაზე დიდი.

_____

ზებრაზე მაღალია და ჟირაფზე დაბალი

_____

4. შეასრულეთ დავალებები რვეულში (გვ. 143 - 145).

5. წაიკითხეთ წინადადებები და შეადარეთ გამუქებული სიტყვები ერთმანეთს.

ა. ჭიამაია **ლამაზი** მწერია. პეპელა ყველაზე ლამაზი მწერია. ის **ულამაზესია**.

ბ. კატა **ეშმაკი** ცხოველია. მელია ყველაზე ეშმაკი ცხოველია. ის **უეშმაკესია.**

გ. ლომი **სწრაფად** დარბის. ლეოპარდი ლომზე სწრაფად დარბის. ავაზა **ყველაზე სწრაფად** დარბის. ის **უსწრაფესია**.

დ. შიმპანზე **ყველაზე ჭკვიანი** პრიმატია. ის **უჭკვიანესია** პრიმატებს შორის.

დააკვირდით!

ყველაზე ლამაზი	ულამაზესი
ყველაზე სწრაფი	უსწრაფესი
ყველაზე ახალი	უახლესი...

მაგრამ

ყველაზე **კარგი**	**უკეთესი**
ყველაზე **ცუდი**	**უარესი**

6. დაუბრუნდით წინა გვერდზე მოცემულ ცხოველებს და დაასახელეთ, რომელია: ყველაზე დიდი, პატარა, მაღალი, დაბალი, ძლიერი, ჭკვიანი, საშიში?

7. წაიკითხეთ ტექსტი და მონიშნეთ ცხრილში, რომელი ცხოველი ამბობს.

დავა ტყეში

ეს ამბავი ერთ ტყეში მოხდა. ცხოველებმა დავა დაიწყეს, არა, მე ვარ ყველაზე ძლიერი, არა, მე ვარო.

- მე ყველაზე ძლიერი ვარ, - თქვა დათვმა.

- არა, მე ვარ ყველაზე ძლიერი იმიტომ, რომ მე ყველაზე დიდი ვარ, - თქვა აქლემმა.

- მე შენზე დიდი ვარ, ამიტომ მე უძლიერესი ვარ, - უთხრა სპილომ აქლემს.

- მე ყველაზე სწრაფად დავრბივარ, ამიტომ მე ვარ უძლიერესი, - თქვა ზებრამ.

- მე შენზე სწრაფად დავრბივარ და ყველაზე ძლიერიც მე ვარ, - უთხრა ვეფხვმა ზებრას.

- მე ყველაზე ჭკვიანი ვარ, ამიტომ ყველაზე ძლიერი ვარ, - თქვა მგელმა.

ამ დროს ლომი მოვიდა.

- აი, ვინ არის ყველაზე ძლიერი, - თქვა მელიამ და ლომთან მიცუნცულდა.

	ზებრა	სპილო	მგელი	აქლემი	ვეფხვი
მე უდიდესი ვარ.					
მე შენზე დიდი ვარ.					
მე უსწრაფესად დავრბივარ.					
მე შენზე სწრაფად დავრბივარ.					
მე უჭკვიანესი ვარ.					

8. თქვენ როგორ ფიქრობთ, რომელია მათ შორის: უდიდესი, უსწრაფესი, უძლიერესი და უჭკვიანესი?

დააკვირდით!

თქვა	ვინ? - დათვ**მა**, აქლე**მმა**, ზებრა**მ** ...
უთხრა	ვინ? ვის? - დათვ**მა** ლომ**ს**, ზებრა**მ** აქლემ**ს** ...

1. შეავსეთ წინადადებებში გამოტოვებული ზმნები: თქვა / უთხრა

- მე ყველაზე დიდი ვარ, _____ აქლემმა.
- მე შენზე დიდი ვარ! _ _____ სპილომ აქლემს.
- აი, ვინ არის ყველაზე ძლიერი, - _____ მელიამ.
- მე ყველაზე სწრაფად დავრბივარ, - _____ ზებრამ.
- მე შენზე სწრაფად დავრბივარ, - _____ ვეფხვმა ზებრას.

2. წაიკითხეთ დიალოგი და უპასუხეთ შეკითხვებს.

- შენ ვინ ხარ?

- მე სალამურა ვარ, ჭიამაიების მწყემსი. ჭიამაიებთან ერთად ვიძინებ და ვიღვიძებ.

- რა არის ჭიამაია?

- ჭიამაიები პატარა მწერები არიან. მათ ამინდის გამოცნობა იციან. ხელზე დაისვამ და ეტყვი: ჭია, ჭიამაია, ხვალ როგორი დარია? ჭიამაია გაშლის ფრთებს და გაფრინდება.

- სად გაფრინდება?

- წითელი ჭიამაიები ქარების ქვეყანაში გაფრინდებიან, ყვითლები - წვიმის ქვეყანაში. მერე მოფრინდებიან და ამინდის ამბავს გვეტყვიან.

- შენ რა გქვია?

- მე - ბაია. ციცინათელების მწყემსი ვარ.
  მე მათთან ერთად ვიძინებ და ვიღვიძებ.

ა. ვინ არიან სალამურა და ბაია?
ბ. რა არის ჭიამაია და ციცინათელა?
გ. რომელ მწერებს შეუძლიათ ამინდის გამოცნობა?
დ. სად მიფრინავენ ჭიამაიები?
ე. რომელს არ უნახავს დღე? ღამე?

3. ყურადღება მიაქციეთ პასუხებს და შეავსეთ რეპლიკები ზეპირად.

სალამურამ ბაიას **ბაიამ სალამურას**

- შენ ვინ ხარ? - ჰკითხა ____?____ _____?____.
- მე სალამურა ვარ, ჭიამაიების მწყემსი, შენ ვინ ხარ? _ ახლა ____?____ ჰკითხა _____?_____.
- მე ბაია მქვია. ციცინათელების მწყემსი ვარ.

4. წაიკითხეთ და დაასახელეთ, ვინ ამბობს - ბაია თუ სალამურა?

ა) მე ჭიამაიების მწყემსი ვარ, - თქვა __?__ ბ) მე ციცინათელების მწყემსი ვარ, - თქვა __?__

5. შეავსეთ დიალოგი და წაიკითხეთ წყვილებში.

1. ციცინათელების 2. მწერები 3. ჭიამაიების 4. ბაია 5. ჭიამაია

- შენ ვინ ხარ?

- მე სალამურა ვარ, _____ მწყემსი.

- რა არის _____?

- ჭიამაიები პატარა _____ არიან. მათ ამინდის გამოცნობა იციან. შენ რა გქვია?

- მე _____ მქვია. _____ მწყემსი ვარ.

6. წაიკითხეთ ნაწყვეტი ლექსიდან და უპასუხეთ შეკითხვებს.

ჭიამაია

მამამ თქვა: მაგის გარეშე
ცაზე ღრუბელი არ მიდის.
ეგ გვეუბნება, ხვალისთვის
როგორი გველის ამინდი...

ვასილ გულეური

რა ჰქვია ლექსს?

ვინ არის ლექსის ავტორი?

ვინ ამბობს: "ჭიამაიას გარეშე ცაზე ღრუბელი არ მიდის"?

ვინ გვეუბნება, ხვალ როგორი ამინდია?

7. წაიკითხეთ და მონიშნეთ, სად წაიკითხეთ ეს ინფორმაცია: მხოლოდ დიალოგში, მხოლოდ ლექსში თუ ორივეში.

	დიალოგში	ლექსში	ორივეში
1. ჭიამაია პატარა მწერია.			
2. ჭიამაიას გარეშე ცაზე ღრუბლები არ მიდიან.			
3. ჭიამაიამ იცის, როგორი ამინდი იქნება.			

8. წაიკითხეთ. გამოიცანით, რა არის და ჩაწერეთ.

ა) ეს მწერი ღამით დაფრინავს და ვარსკვლავივით ციმციმებს. _____

ბ) ეს მწერი დღისით დაფრინავს. მას ამინდის გამოცნობა შეუძლია. _____

გ) ეს მწერი დაფრინავს დღისითაც და ღამითაც. ყვავილივით ლამაზია. _____

დ) ეს მწერი დღისით დაფრინავს. ყვავილების წვენით ამზადებს თაფლს. _____

1. აღწერეთ მოცემული სურათი.

რომელი ცხოველები და ფრინველები არიან სურათზე? სად არიან ისინი და რას აკეთებენ? აღწერეთ და დაახასიათეთ - როგორები არიან? როგორი გარემოა - წელიწადის რომელი დროა? საიდან ჩანს?

2. რომელი სათაური შეესაბამება სურათს ყველაზე უკეთ? შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები ვარიანტი და შეადარეთ ერთმანეთის ვერსიები.

ა) ფუსფუსი ტყეში

ბ) მზადება ზამთრისათვის

გ) შემოდგომის ამბები ტყეში

დ) მოსავლის აღება

3. დაუბრუნდით სურათზე გამოსახულ ცხოველებსა და ფრინველებს და ისაუბრეთ მათ შესახებ.

- რა არის? რა ჰქვია?
- შინაურია თუ გარეული?
- სად ბინადრობს?
- რა ჰქვია მის ნაშიერს?
- რა ფერია? როგორია?
- რა აქვს და როგორი?
- რას აკეთებს?
- რით იკვებება / რას ჭამს?

გამოიყენეთ:

ეს/ის არის შინაური / გარეული...

ბინადრობს ხმელეთზე, ტყეში, სოროში...

მის ნაშიერს ჰქვია ...

არის ... აქვს გრძელი, ფაფუკი ...

დარბის, დახტის, დაფრინავს, დაბაჯბაჯებს...

იკვებება ხის ფოთლებით... ჭამს ხილს...

4. წაიკითხეთ მოცემული ინფორმაციები და შეავსეთ ცხრილი.

ზღარბები ტყეებსა და ხეხილის ბაღებში პატარა სოროებში ბინადრობენ. ზამთარში სძინავთ. აქვთ მოკლე კუდი, პატარა მრგვალი თვალები და პატარა ფეხები. ზურგი დაფარული აქვთ ეკლებით. უმეტესად მწერებითა და ჭიებით იკვებებიან. უყვართ თხილი და ხილიც. ზღარბების უმეტესობა ვაშლს საერთოდ არ ჭამს. ზღარბები დღისით ისვენებენ და ღამით გამოდიან სანადიროდ. სულხან-საბა ზღარბის ნაშიერს ბუძგს უწოდებს.

ბუ ღამის ფრინველია. მის ნაშიერს ღლაპი ჰქვია. ღლაპებთან ერთად ბუ ხეების ფუღუროებში, გამოქვაბულებსა და სოროებში ბუდობს. იკვებება თაგვებით. ჭამს მცირე ზომის ფრინველებსა და ბაყაყებსაც. აქვს მოკლე და მოკაუჭებული ნისკარტი, ბასრი ბრჭყალები, ძლიერ მოძრავი კისერი და დიდი ზომის თვალები.

კურდღელიც დღისით იძინებს და ღამით იღვიძებს. აქვს გრძელი ყურები და მოკლე კუდი. მის ნაშიერს ბაჭია ჰქვია. კურდღელი იკვებება ბალახით, ხის ქერქით, კვირტითა და ტოტებით. შინაური კურდღლის ძირითადი საკვები კი მწვანილი და ბოსტნეულია. უყვარს ბალახიც. კარგად ჭამს გოგრასა და საზამთროსაც. წლის ნებისმიერ დროს მისთვის საუკეთესო საკვებია სტაფილო, კარტოფილი, კომბოსტო და ჭარხალი.

ციყვები ფუღუროში ბინადრობენ. აქვთ ხშირი და რბილი ბეწვი, გრძელი ფაფუკი კუდი და პატარა ყურები. ზამთარში ფუღუროს ხმელი ბალახით, ფოთლებითა და ხავსით ავსებენ. ზოგი ნაძვის ხის წვეროზეც აგებს ბუდეს ტოტებისა და ხავსისაგან. ციყვი ზამთრისთვის თხილს, კაკალს, წაბლსა და სოკოს აგროვებს და ბუდეში ან ფუღუროში მიაქვს.

	როგორები არიან?	**სად ბინადრობენ?**	**რით იკვებებიან?**	**რა ჰქვიათ ნაშიერებს?**

5. დაუბრუნდით სურათს და დაასახელეთ - *რა არის სიმართლე და რა - მხატვრის ფანტაზია?*

1. შემოხაზეთ სწორი ვარიანტები სურათების მიხედვით.

რა აწუხებს ლეკვს?

ა) ყური სტკივა
ბ) ყელი სტკივა
გ) ლოყა სტკივა
დ) კბილი სტკივა

რას აკეთებს ყანჩა?

ა) მკურნალობს ყურს
ბ) მკურნალობს ყელს
გ) იღებს კბილს
დ) ასმევს წამალს



2. წაიკითხეთ ლექსი და დააკავშირეთ სურათებთან. უპასუხეთ შეკითხვებს.

კბილი

- რა გატირებს? - ფისო
ეკითხება ცუგას.
- კბილი მტკივა, გუშინ
ბევრი ვჭამე ნუგა.

წაუყვანეს ცუგა
კბილის ექიმ ყანჩას
და ჭიანი კბილი
იმ ყანჩასთან დარჩა.

ვასილ გულეური

1. რატომ ტირის ცუგა?
2. რატომ სტკივა კბილი?
3. ვინ არის ყანჩა?
4. რას მკურნალობს კბილის ექიმი?

3. შეადგინეთ წინადადებები.

<u>გამოიყენეთ:</u> რატომ ტირის ...? / იმიტომ ტირის, რომ...
რატომ სტკივა ...? / იმიტომ სტკივა, რომ ...

მე ვტირი	**ის** ტირის
მე მტკივა	**მას** სტკივა

4. დააკვირდით სურათს. ვინ არის ეს მოხუცი? აღწერეთ და დაახასიათეთ ის სურათის მიხედვით.

5. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს.

ეს კეთილი ექიმი აიბოლიტია. ექიმს ძალიან უყვარს ცხოველები და მათთან ერთად ერთ პატარა სახლში ცხოვრობს. კომოდში კურდღლები ცხოვრობენ, კარადაში - ციყვები, ტახტზე - ეკლიანი ზღარბი და ფუმფულა ფისუნია, სკივრში - თეთრი თაგვები. აიბოლიტს ყველაზე მეტად იხვი კიკი, ძაღლი ავვა, პატარა გოჭი ხრუ-ხრუ, თუთიყუში კარუდო და ბუ ბუმბა უყვარს.

მასთან ყოველდღე მოდიან სამკურნალოდ ავადმყოფი ცხოველები და ფრინველები: თხები და მელიები, კაჭკაჭები და დათვები, მაიმუნები და ბეჰემოტები, სპილოები და, ვინ მოსთვლის, კიდევ ვინ აღარ. ზოგს თათი სტკივა, ზოგს - მუცელი, კბილი ან კისერი, ზოგს სიცხე აქვს და ზოგსაც - ანგინა.

- ვინ არის აიბოლიტი, როგორია, რა უყვარს ყველაზე მეტად, როგორ სახლში ცხოვრობს?
- ვისთან ერთად ცხოვრობს ექიმი აიბოლიტი? რომელი ცხოველი სად ცხოვრობს?
- რომელი ცხოველები უყვარს ექიმ აიბოლიტს ყველაზე მეტად? რა ჰქვია მათ?
- რას მკურნალობს ექიმი აიბოლიტი ცხოველებსა და ფრინველებს?

6. წაიკითხეთ და დაასახელეთ, რომელია.

მას სტკივა თათი. მას აქვს ანგინა, ძალიან სტკივა ყელი. მას აქვს სიცხე. მას სტკივა კბილი. ის ტირის იმიტომ, რომ მუცელი სტკივა. მას დრუნჩი სტკივა. მას სტკივა ნისკარტი. მას თავი სტკივა.

7. დაასახელეთ, რომელს რა აწუხებს? შეასრულეთ დავალებები რვეულში (გვ. 151-155).

1. გახსოვთ, რით მკურნალობს კარლსონი? დააკვირდით და დაასახელეთ თქვენი ვარიანტები.

2. წაიკითხეთ და შეამოწმეთ თქვენი ვერსიები.

კარლსონმა ბიჭუნას აკვარიუმს მოჰკრა თვალი. აკვარიუმში ფერად-ფერადი თევზები დაცურავდნენ. კარლსონი მივიდა და აკვარიუმის წყალს დაეწაფა.

– ფრთხილად, ფრთხილად! – აყვირდა ბიჭუნა, – ჩემი თევზები არ ჩაყლაპო!

– როცა კაცს სიცხე აქვს, ბევრი წყალი უნდა დალიოს, ჰოდა ორი-სამი თევზიც რომ მიაყოლოს, ეგეც არაფერია!

– სიცხე გაქვს? – ჰკითხა ბიჭუნამ.

– აბა, არა? ნახე ჩემი შუბლი! გითხრა, რომელ წამალს დავლევდი?

– მითხარი...

– კარლსონის რეცეპტით შემზადებულ ტკბილ ფხვნილს. **აიღებ** ცოტა შოკოლადს და ცოტა ხილის კანფეტს. შემდეგ **დაამატებ** ცოტა ნამცხვარს. მერე ყველაფერს **დანაყავ** და ბოლოს ერთმანეთში **აურევ.** ეს წამალი ძალიან შველის სიცხეს.

3. დაუბრუნდით კარლსონის რეცეპტს და შეასრულეთ დავალებები რვეულში (გვ.156).

4. აირჩიეთ ერთ-ერთი და შეადგინეთ მხიარული რეცეპტი.

ყელის ტკივილის დროს; თავის ტკივილის დროს;
გაციებისა და სიცხის დროს

5. შეადგინეთ ცხოველების ალბომი, გააცანით ერთმანეთს და ისაუბრეთ მათ შესახებ.

შეარჩიეთ ალბომის შედგენის პრინციპი: შენი საყვარელი ცხოველები, შენთვის უჩვეულო და საინტერესო ცხოველები, რომელი გიყვარს და რომელი - არა და ა.შ.

ორშაბათიდან ორშაბათამდე



კვირის დღეები და
დღე-ღამის მონაკვეთები

რომელი საათია?

ერთი ჩვეულებრივი დღე

როდის რას ვაკეთებთ და
რა სიხშირით?

„აბდაუბდა გადასკუპდა“

ძირითადი ენობრივი მიზნები

- ინტერაქცია ყოველდღიური საქმიანობის შესახებ;
- დროში ორიენტირება - დროის მითითება (საათის / დღის / კვირის / თვის); ქრონოლოგიური თანამიმდევრობა (გუშინ, დღეს, ხვალ; დილით, შუადღისას, საღამოს; ჯერ/ წინ/შემდეგ; გვიან / ადრე);
- სოციალური ურთიერთობების ენობრივი ფორმულების ფუნქციური გამოყენება (მისალმება, მოკითხვა, დამშვიდობება);
- მოქმედების სიხშირისა და ინტენსივობის გამოხატვა;
- მოვლენათა თანმიმდევრობის დადგენა და მისი გამოხატვა;
- ყოფითი დიალოგების მოსმენა-გაგება; შექმნა და გათამაშება;
- პრაგმატული ტექსტების გაგება-გააზრება (დღის განრიგი).

1. დააკვირდით.



2. წაიკითხეთ რეპლიკები და მიუთითეთ სურათზე, ვინ ვის ესაუბრება.

- დილა მშვიდობისა, ძია გურამ!
- სალამი, თეკლა!

- ნახვამდის, თომა!
- კარგად, სოფო, საღამომდე!

- საღამო მშვიდობისა, ლევან!
- საღამო მშვიდობის, თამარ, როგორ ბრძანდებით?
- გმადლობ, ახლა უკეთ ვარ.

მისალმება

გამარჯობა!
სალამი!
დილა მშვიდობისა!
შუადღე მშვიდობისა!
საღამო მშვიდობისა!

დამშვიდობება

ნახვამდის!
ღამე მშვიდობისა!
კარგად!
კარგად იყავი!

3. დააკვირდით საათებს და დაასახელეთ - დღის რომელი მონაკვეთია? **შეადარეთ ერთმანეთის ვერსიები.**

რომელი საათია?



ცხრა საათია.



ექვსი საათია.

ოთხი საათია.

პირველი საათია.

4. წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ შეკითხვებს.

თომა დილით რვა საათზე იღვიძებს. იბანს ხელ-პირს და საუზმობს. ცხრა საათზე სკოლაში მიდის. ორ საათზე უკვე სახლშია და სადილობს. შვიდ საათზე ვახშმობს და ათ საათზე იძინებს.

- რას აკეთებს თომა დილით, შუადღისას და საღამოს?
- რას აკეთებს ის შვიდ საათზე, რვა საათზე, ცხრა საათზე, ორ საათზე, ათ საათზე?
- როდის იღვიძებს, იძინებს, სადილობს და ვახშმობს თომა?

5. შეავსეთ ცხრილში გამოტოვებული ადგილები და შეასრულეთ დავალებები რვეულში.

საუზმობა	სადილობა	ვახშმობა	გაღვიძება	დაძინება	დაბანა
ვსაუზმობ		ვვახშმობ		ვიძინებ	
	სადილობ		იღვიძებ		იბან
ვსაუზმობთ			ვიღვიძებთ		ვიბანთ
		ვახშმობთ			
	სადილობენ			იძინებენ	

6. დააკვირდით და წაიკითხეთ.



ათ**ის** 15 წუთია.

ათ**ის** 25 წუთია.

ათ**ს** აკლია 20 წუთი.

ათ**ის** ნახევარია.

7. დააკავშირეთ შეკითხვა პასუხთან. დაასახელეთ ყველა სწორი ვარიანტი.

რომელი საათია?
ა) დილაა.
ბ) დილის შვიდი საათია.
გ) დილის შვიდ საათზე.
დ) შვიდი საათია.
ე) შვიდის ათი წუთია.
ვ) უკვე საღამოა.

რომელ საათზე მიდის?
ა) დილით.
ბ) დილის შვიდ საათზე.
გ) დილის შვიდი საათია.
დ) შვიდ საათზე.
ე) შვიდის ათ წუთზე.
ვ) საღამოს.

რომელი საათია?
ათ**ი** საათია
პირველ**ი** საათია
ცხრა საათია
ათ**ის** ნახევარია
ათ**ის** ხუთ**ი** წუთია...

რომელ საათზე?
ათ საათზე
პირველ საათზე
ცხრა საათზე
ათის ნახევარზე
ათის ხუთ წუთზე...

8. დაასახელეთ, დღის რომელი მონაკვეთი და რომელი საათია ახლა.

1. წაიკითხეთ და დაასახელეთ, რას ვაკეთებთ აქედან ყოველდღე.

1) ვიღვიძებთ და ვიძინებთ.
2) ვიბანთ ხელ-პირს.
3) ვსაუზმობთ, ვსადილობთ და ვვახშმობთ.
4) ვამზადებთ საჭმელს.
5) მივდივართ დაბადების დღეზე.
6) ვკითხულობთ და ვწერთ.
7) ვმღერით და ვცეკვავთ.
8) ვუყურებთ ტელევიზორს.
9) ვყიდულობთ ტანსაცმელს.
10) ვსხედვართ კომპიუტერთან.
11) ვთამაშობთ ფეხბურთს.
12) ვსეირნობთ.

2. წაიკითხეთ და დაასახელეთ, რას აკეთებენ ლელა და მისი ოჯახის წევრები.

მე ლელა ვარ. ჩვენს ოჯახში ყველა ადრე იღვიძებს. ყველა ერთად ვსაუზმობთ. ჩემი მშობლები სამსახურში მიდიან, მე და ჩემი ძმა კი სკოლაში მივდივართ. სახლში მარტო ბებია და ბაბუა რჩებიან. საუზმის შემდეგ ბებია სახლს ალაგებს, ბაბუა კი გაზეთებს კითხულობს. მე და სანდრო სკოლიდან ორის ნახევარზე მოვდივართ, ბებიასთან და ბაბუასთან ერთად ვსადილობთ და შემდეგ ვმეცადინეობთ. მეცადინეობის შემდეგ მე და ბებია ვსეირნობთ, ჩემი ძმა კი ბაბუასთან ერთად ცურვაზე მიდის. საღამოს ყველანი სახლში ვართ. ვახშმის შემდეგ მე და მამა ჭადრაკს ვთამაშობთ, დანარჩენები კი ტელევიზორს უყურებენ.




3. დაუბრუნდით ლელას ოჯახს და ისაუბრეთ მის შესახებ.

დაარქვით ოჯახის დანარჩენ წევრებს სახელები და მიუთითეთ ასაკი. სად ცხოვრობენ და სადაურები არიან? გამოიყენეთ სურათები და აღწერეთ ისინი გარეგნულად.

4. ისუბრეთ თქვენი და თქვენი ოჯახის წევრების ყოველდღიური საქმიანობის შესახებ.

5. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები და უპასუხეთ.

<u>გამოიყენეთ!</u>

როდის / რომელ საათზე ...?
რას აკეთებ დილით, შუადღისას ...?
რას აკეთებ ...-ის შემდეგ?

ადრე / გვიან

6. დააკვირდით.



ყოველთვის ხშირად იშვიათად არასოდეს

7. წაიკითხეთ და დაასახელეთ სწორი ვარიანტები.

ა) მთვარე დღისით ამოდის ___?___ არასოდეს / ყოველთვის

ბ) შემოდგომის შემდეგ ზამთარი მოდის ___?___ ხშირად / ყოველთვის

გ) გაზაფხულზე ცისარტყელა ცაზე ჩნდება ___?___ იშვიათად / ხშირად

დ) აპრილში თოვლი მოდის ___?___ ყოველთვის / იშვიათად

8. გაეცანით მოცემულ ინფორმაციებს და შეადარეთ ერთმანეთს.

ბექა

ლადო

მე ყოველ დილით ადრე ვდგები. ჭამის წინ ყოველთვის ვიბან ხელს. სკოლაში არასოდეს ვაგვიანებ. გაკვეთილების შემდეგ სკოლის ეზოში ხშირად ვთამაშობ ბურთს. არასოდეს ვიძინებ გვიან.

მე ძალიან მიყვარს ძილი, ამიტომ ხშირად გვიან ვდგები. სკოლაში იშვიათად ვაგვიანებ. ყოველთვის ვუყურებ სპორტულ გადაცემებს. ხშირად ვუსმენ მუსიკას. იშვიათად ვიძინებ გვიან.

9. წაიკითხეთ და დაასახელეთ, ვინ არის - ბექა თუ ლადო?

1. ყოველთვის ადრე იღვიძებს.
2. ხშირად გვიან იღვიძებს.
3. ყოველთვის ადრე იძინებს.
4. ხშირად გვიან იძინებს.

5. სკოლაში ყოველთვის ადრე მიდის.
2. იშვიათად აგვიანებს სკოლაში.
3. ხშირად თამაშობს ბურთს.
4. ხშირად უსმენს მუსიკას.

10. დაუსვით ერთმანეთს შეკითხვები ბექასა და ლადოს შესახებ და უპასუხეთ.

1. თქვენ რას აკეთებთ და რა სიხშირით? შემოხაზეთ შესაფერისი ვარიანტი და წაიკითხეთ.

იღვიძებ თუ არა ადრე?
1. არასოდეს ვიღვიძებ ადრე.
2. იშვიათად ვიღვიძებ ადრე.
3. ყოველთვის ადრე ვიღვიძებ.
4. ხშირად ვიღვიძებ ადრე.

იძინებ თუ არა გვიან?
1. არასოდეს ვიძინებ გვიან.
2. იშვიათად ვიძინებ გვიან.
3. ყოველთვის გვიან ვიძინებ.
4. ხშირად ვიძინებ გვიან.

აგვიანებ თუ არა სკოლაში?
1. არასოდეს ვაგვიანებ.
2. იშვიათად ვაგვიანებ.
3. ყოველთვის ვაგვიანებ.
4. ხშირად ვაგვიანებ.

ფეხით მიდიხარ თუ არა სკოლაში?
1. არასოდეს მივდივარ ფეხით.
2. იშვიათად მივდივარ ფეხით.
3. ყოველთვის ფეხით მივდივარ.
4. ხშირად მივდივარ ფეხით.

რა სიხშირით უსმენ მუსიკას?
1. არასოდეს ვუსმენ მუსიკას.
2. იშვიათად ვუსმენ მუსიკას.
3. ყოველთვის ვუსმენ მუსიკას.
4. ხშირად ვუსმენ მუსიკას.

რა სიხშირით კითხულობ წიგნებს?
1. არასოდეს ვკითხულობ.
2. იშვიათად ვკითხულობ.
3. ყოველთვის ვკითხულობ.
4. ხშირად ვკითხულობ.

რა სიხშირით უყურებ ტელევიზორს?
1. არასოდეს ვუყურებ.
2. იშვიათად ვუყურებ.
3. ყოველთვის ვუყურებ.
4. ხშირად ვუყურებ.

ხშირად ზიხარ კომპიუტერთან?
1. არასოდეს ვზივარ.
2. იშვიათად ვზივარ.
3. ყოველთვის ვზივარ.
4. ხშირად ვზივარ.

2. ჰკითხეთ მეწყვილეს და შეავსეთ რვეულში ცხრილი მისი მონაცემებით (გვ. 173, №6 გვ. 174, №1).

3. შეადარეთ ერთმანეთს თქვენი და თქვენი მეწყვილეების მონაცემები და ისაუბრეთ.

<u>ნიმუში:</u> **მე** იშვიათად ვუყურებ ტელევიზორს, **ის** (ნინო, გია) ხშირად უყურებს. **ჩვენ ორივე** ყოველთვის ადრე ვიძინებთ. **ჩვენ არცერთი არ** მივდივართ ფეხით სკოლაში...

4. გამოიყენეთ ცხრილი და დაასახელეთ, ვინ რას აკეთებს და როდის.

	თომა	**თეა**	**ანო**	**ვანო**
მეცადინეობს.	14.30	15.00	20.30	19.30
თამაშობს ეზოში.	16.00 – 17.00	-	15.00 -15.45	15.00
კითხულობს წიგნს.	ღამე	ძილის წინ	თამაშის შემდეგ	13.15
უყურებს ტელევიზორს.	14.00 – 14.30	17.45	-	ძილის წინ
უკრავს ვიოლინოზე.	-	-	სკოლის შემდეგ	-
სეირნობს ველოსიპედით.	-	მეცადინეობის წინ	-	სადილის შემდეგ
ვახშმობს.	19.00	20.00	19.30	ღამე
იძინებს.	22.00	21.00	22.30	23.00

5. დააკვირდით და უპასუხეთ შეკითხვებს.

ა. ვინ უყურებს ტელევიზორს საღამოს? შუადღისას?

ბ. ვინ რას აკეთებს ოთხ საათზე? ძილის წინ?

გ. ვინ არ თამაშობს ეზოში? არ უკრავს ვიოლინოზე? არ უყურებს ტელევიზორს? არ სეირნობს ველოსიპედით?

დ. ვინ იძინებს გვიან? ადრე?

ე. რომელ საათზე თამაშობენ ეზოში თომა და ანო?

სამი საათი**დან** ხუთ საათა**მდე**...

სამი**დან** ხუთა**მდე**...

6. წაიკითხეთ წინადადებები და მონიშნეთ არასწორი თანმიმდევრობა ცხრილის მიხედვით.

ა) თომა ჯერ სწავლობს გაკვეთილებს და შემდეგ თამაშობს.

ბ) თომა ვახშმის წინ უყურებს ტელევიზორს.

გ) თეა ჯერ სეირნობს ველოსიპედით და შემდეგ სწავლობს.

დ) თეა მეცადინეობის შემდეგ უყურებს ტელევიზორს.

ე) ანო სკოლის შემდეგ კითხულობს წიგნს.

ვ) ანო შუადღისას მეცადინეობს და საღამოს თამაშობს.

ზ) ვანო ჯერ უყურებს ტელევიზორს და შემდეგ იძინებს.

თ) ვანო ძილის წინ კითხულობს წიგნს.

ჯერ / შემდეგ

ჯერ ვმეცადინეობ და შემდეგ ვთამაშობ.

...-ის წინ / ...-ის შემდეგ

ჭამის წინ ვიბანს ხელებს. სკოლის შემდეგ მაქვს ცურვა.

7. გაასწორეთ მცდარი ინფორმაცია ზეპირად.

8. გამოიყენეთ - ჯერ, შემდეგ და შეადგინეთ წინადადებები.

14.00 - სადილობა, 12.30 - მეცადინეობა. 17.45 - ტელევიზორის ყურება, 19.00 - ვახშმობა.

1. შემოხაზეთ თქვენთვის შესაფერისი ვარიანტი და გააცანით ერთმანეთს.

როდის ამზადებ გაკვეთილებს?

ა) სადილის შემდეგ;
ბ) ძილის წინ;
გ) ეზოში თამაშის შემდეგ.

რას აკეთებ სადილის შემდეგ?

ა) ვმეცადინეობ;
ბ) ვთამაშობ ეზოში;
გ) ვუყურებ ტელევიზორს.

რას აკეთებ ძილის წინ?

ა) ვვახშმობ;
ბ) ვუსმენ მუსიკას;
გ) ვკითხულობ წიგნს.

2. შეადგინეთ მსგავსი შეკითხვები და დაუსვით ერთმანეთს.

3. გაეცანით სქემას და შეადარეთ მოცემული წინადადებები ერთმანეთს.

1. **გვიან** ვიღვიძებ.
2. **დილით გვიან** ვიღვიძებ.
3. **კვირას დილით გვიან** ვიღვიძებ.
4. **კვირას დილით გვიან, 10 საათზე,** ვიღვიძებ.

4. წაიკითხეთ და უპასუხეთ შეკითხვებს: როდის მიდის სკოლაში? როდის აქვს ქართული ცეკვა? როდის უყურებს გადაცემას?

პარასკევს დილით სკოლაში მივდივარ. შუადღისას, სამ საათზე მაქვს ქართული ცეკვის გაკვეთილი. შაბათს გვიან საღამოს საინტერესო გადაცემას ვუყურებ ცხოველებზე.

5. შეავსეთ დიალოგში გამოტოვებული ადგილები კონტექსტის მიხედვით და წაიკითხეთ მეწყვილესთან ერთად.

- როდის სწავლობ გაკვეთილებს?
- შუადღისას. _____ ვსადილობ და _____ ვმეცადინეობ, შენ?
- მე საღამოს ვსწავლობ.
- _____ საღამოს სწავლობ?
- ყოველთვის არა, მაგრამ _____

ჯერ
შემდეგ
ხშირად
ყოველთვის

ჯერ
შემდეგ
ათის ნახევარზე
საღამოს

- რას აკეთებ სკოლის _____?
- _____ ვმეცადინეობ, შემდეგ ვთამაშობ ან ვხატავ.
- _____ რას აკეთებ?
- საღამოს ტელევიზორს ვუყურებ.
- რომელ საათზე იძინებ?
- _____.

6. აირჩიეთ შეკითხვები და გაითამაშეთ მსგავსი დიალოგები ერთმანეთთან.

რომელ საათზე:

იძინებ, იღვიძებ?
საუზმობ, სადილობ, ვახშმობ?
გაქვს ქართული, ცეკვა, სპორტი...?
მიდიხარ სკოლაში, სპორტზე...?

როდის:

უყურებ ტელევიზორს?
თამაშობ ეზოში?
მეცადინეობ?
მიდიხარ ქართულზე, სკოლაში...?

ყოველთვის:

ფეხით მიდიხარ სკოლაში?
ადრე დგები, გვიან იძინებ...?

ხშირად:

უყურებ ტელევიზორს? იძინებ გვიან...?

რას აკეთებ:

დილით, შუადღისას, საღამოს?
ძილის წინ, ჭამის წინ...?
საუზმის, სადილის... შემდეგ?
მეცადინეობის, თამაშის... შემდეგ?

1. მოამზადეთ, დაწერეთ და წარადგინეთ.

ჩემი ერთი ჩვეულებრივი დღე

ყურადღება მიაქციეთ და გაითვალისწინეთ!

1. თქვენი საქმიანობები დაყავით მონაკვეთებად:

   - სკოლაში წასვლამდე
   - სკოლაში
   - სკოლის შემდეგ

2. თითოეულ მონაკვეთში დაალაგეთ თქვენი საქმიანობები ქრონოლოგიური თანამიმდევრობით:

   გამოიყენეთ: წინ, ჯერ, შემდეგ

3. გამოკვეთეთ მოქმედების სიხშირე და ინტენსივობა:

   - რას აკეთებთ ყოველთვის? ხშირად? იშვიათად?
   - რას არ აკეთებთ არასოდეს?

4. მიუთითეთ მოქმედების დრო:

   - დღის კონკრეტული მონაკვეთი - დილა, შუადღე, საღამო
   - საათი
   - ადრე / გვიან

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა!

2. მოამზადეთ ინფორმაცია თქვენ შესახებ და წარადგინეთ.

მე და ჩემი ოჯახი

- რა გქვია და რამდენი წლის ხარ? სადაური ხარ?
- ვინ გყავს ოჯახში - რა ჰქვიათ და რამდენი წლისანი არიან? სადაურები არიან ისინი?
- აღწერე და დაახასიათე შენი ოჯახის წევრები.

მე და საქართველო

- რომელი კუთხიდან ხარ?
- ვინ ცხოვრობს იქ?
- სად ცხოვრობენ შენი ნათესავები?

ჩემი სახლი

- როგორი სახლი გაქვს?
- როგორი ოთახი გაქვს?
- აღწერე შენი სახლი და ოთახი.

ჩემი ქალაქი / სოფელი

- რა ჰქვია შენს ქალაქს? სოფელს?
- როგორი ქალაქია? სოფელია?
- სად და როგორ ქუჩაზე ცხოვრობ?
- აღწერე შენი ქუჩა.

ჩემი დაბადების დღე

- სად და როდის დაიბადე?
- წელიწადის რომელი დრო და თვე გიყვარს და რატომ?
- როგორი ამინდი მოგწონს?

ახალი წელი ჩემს ოჯახში

- სად და ვისთან ერთად ხვდებით ახალ წელს?
- როგორ ემზადებით ახალი წლისთვის?
- რას აკეთებთ ახალი წლის ღამეს?

ჩემი ოთხფეხა მეგობარი

- გყავს თუ არა ოთხფეხა მეგობარი?
- რა არის და რა ჰქვია?
- აღწერე და დაახასიათე, როგორია.

1. **დააკვირდით სურათს. რა არის უცნაური ამ ნახატში?**

   - ვინ არის ეს გოგონა?
   - სად არის და რას აკეთებს?
   - რას აკეთებენ მგელი და ჟირაფი?

2. **აღწერეთ და დაახასიათეთ გოგონა და ცხოველები სურათის მიხედვით.**

3. **გაიხსენეთ წითელქუდას ზღაპარი.**

   - რომელი ცხოველი ხვდება წითელქუდას ტყეში?
   - ვისთან მიდის წითელქუდა?
   - რა უჭირავს გოგონას ხელში?
   - რა აწყვია კალათაში?
   - რა აინტერესებს მგელს?

4. **წაიკითხეთ მოთხრობა და თქვით, რატომ არის სურათზე ჟირაფი და ტრამვაი.**

აბდაუბდა - გადასკუპდა

(ჯანი როდარის მიხედვით)

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა გოგო, ყველანი ყვითელქუდას ეძახდნენ.

- ყვითელქუდას კი არა, წითელქუდას!

- ჰო, წითელქუდას. მოდი, შვილო, მწვანექუდაო, - დაუძახა ერთხელ დედამისმა.

- არა, პაპა, წითელქუდა-მეთქი, წითელქუდა!

- ჰო, წითელქუდაო. ჩაყარა დედამ კალათაში კარტოფილის ნაფცქვენი და უთხრა წითელქუდას, გაიქეცი, დედა გენაცვალოს, მამიდაშენს მიუტანეო.

- აარა! წადი, ბებიას ქადა და პატარა ქოთნით კარაქი წაუღეო.

- კარგი, ეგრე იყოს! წავიდა პატარა გოგო. ტყეში ჟირაფი შემოეყარა.

- ჟირაფი კი არა, მგელი. სულ აურდაურიე.

- ჰო, მგელი იყოს. რვაჯერ ექვსი რამდენი იქნებაო, ჰკითხა მგელმა.

- რა რვაჯერ ექვსი! საით მიდიხარო, - ეს ჰკითხა მგელმა.

- მართალი ხარ. შავქუდა გოგომ კი ...

- წითელქუდა-მეთქი! წითელი არ გაგიგონია?

- ჰო, წითელი. ბაქმაზი უნდა ვიყიდო, ბაზარში მივდივარო, - უთხრა პატარა გოგომ.

- არა, ბებიას სანახავად მივდივარო!

- სწორია, სწორი! ფრუტუნი მორთო ცხენმა.

- რა ცხენმა? მგელი იყო ტყეში.

- ეეჰ, თავი გააქნია პაპამ, - მგელი უნდა მეთქვა. ჰოდა, ჩაჯექი სამოცდამეთხუთმეტე ტრამვაიში და დუომოს მოედნამდე მიდიო, - უთხრა მგელმა. მოედნის მარჯვნივ ერთი პატარა კიბეა. იმ კიბესთან ოცთეთრიანი გდია. აიღე და კევი იყიდეო.

- ეგრე სად გაგონილა, პაპა, სულ არ გცოდნია ზღაპრის მოყოლა!

5. შეავსეთ ცხრილი.

	რას ამბობს პაპა?	**რას ამბობს შვილიშვილი?**	**შენ როგორ გახსოვს?**
რა ჰქვია პატარა გოგოს?			
ვისთან გააგზავნა გოგონა დედამ?			
რა გაატანა ბებიასთან?			
ვინ შეხვდა ტყეში?			

6. შეავსეთ ნაწყვეტი შარლ პეროს ზღაპრიდან (ჩაწერეთ შესაბამისი ციფრი) და შეადარეთ ჯანი როდარის პაპის ვერსიას.

1. ბებია სხვა სოფელში ცხოვრობდა **2.** მიესალმა და უპასუხა
3. ერთ სოფელში პატარა გოგონა ცხოვრობდა **4.** უთხრა მგელმა წითელქუდას
5. ამიტომაც მეზობლებმა წითელქუდა შეარქვეს **6.** ჰკითხა გოგონას მგელმა
7. უპასუხა წითელქუდამ

იყო და არა იყო რა, **(ა)** _____. დაბადების დღეზე გოგონას ბებიამ წითელი ქუდი აჩუქა. გოგონას ძალიან უყვარდა ეს ქუდი და ყველგან ამ ქუდით დადიოდა. **(ბ)** _____.

ერთხელ დედამ ღვეზელი გამოაცხო და შვილს უთხრა:

- წითელქუდა, წადი ბებიასთან, ეს ღვეზელი და ერბო წაუღე, თან გაიგე, როგორ არისო.

წითელქუდა წავიდა. **(გ)** _____. ბებიას სოფელი ტყის იქით იყო. მიდის გოგონა ტყეში. უცებ რუხი მგელი შეხვდა.

- ვინ ხარ და სად მიდიხარ? – **(დ)** _____.

გოგონამ არ იცოდა, როგორი საშიში იყო მგელი, **(ე)** _____:

- გამარჯობა, მგელო, მე წითელქუდა ვარ. ბებიასთან მივდივარ, ღვეზელი და ერბო მიმაქვს.

- შორს ცხოვრობს შენი ბებო? - ჰკითხა მგელმა.

- კი, აი, იმ სოფელში. ტყის პირას პირველი სახლი ბებიასია, - **(ვ)** _____.

- კარგი. მეც მინდა ბებიაშენის ნახვა, - **(ზ)** _____.

- მე ამ გზით წავალ, შენ კი იმ გზით წადი. ვნახოთ, ვინ უფრო მალე მივა.

თქვა მგელმა და ყველაზე მოკლე გზით მოკურცხლა.

7. გაიხსენეთ ორივე ტექსტი. წაიკითხეთ და დაასრულეთ წინადადებები ზეპირად. ვინ ვის ეუბნება?

ა) - რვაჯერ ექვსი რამდენია? - ჰკითხა ___?___ ___?___.

ბ) - სულ არ გცოდნია ზღაპრის მოყოლა! - უთხრა ___?___ __?__.

გ) - ბებიასთან მივდივარ, - უპასუხა ___?___ ___?___.

დ) - წადი ბებიასთან და ეს კალათი წაუღე! - უთხრა ___?___ ___?___.

ზმნური ლექსიკონი

ვინიანი ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S O O ის (მას) (მას)	წარსული დრო S O O მან (მას) (ის)	მომავალი დრო S O O ის (მას) (მას)
ანგარიში	ვანგარიშობ / ანგარიშობს (1)	ვიანგარიშე / იანგარიშა	ვიანგარიშებ / იანგარიშებს
არსებობა	ვარსებობ / აესებობს (1)	ვიარსებე / იარსება	ვიარსებებ / იარსებებს
აშენება	ვაშენებ / აშენებს (2)	ავაშენე / ააშენა	ავაშენებ / ააშენებს
აღნიშვნა	აღვნიშნავ / აღნიშნავს (2)	აღვნიშნე / აღნიშნა	აღვნიშნავ / აღნიშნავს
ბანაობა	ვბანაობ/ბანაობს (1)	ვიბანავე/იბანავა	ვიბანავებ/იბანავებს
გაკეთება	ვაკეთებ/აკეთებს (2)	გავაკეთე/გააკეთა	გავაკეთებ/გააკეთებს
გამოცხობა	ვაცხობ/აცხობს (2)	გამოვაცხე/გამოაცხო	გამოვაცხობ/გამოაცხობს
გამზადება	ვამზადებ / ამზადებს (2)	გავამზადე / გაამზადა	გავამზადებ / გაამზადებს
განათება	ვანათებ / ანათებს (2)	გავანათე / გაანათა	გავანათებ / გაანათებს
გაყიდვა	ვყიდი/ყიდის (2)	გავყიდე/გაყიდა	გავყიდი/გაყიდის
გაშლა	ვშლი/შლის (2)	გავშალე/გაშალა	გავშლი/გაშლის
გუნდაობა	ვგუნდაობ/გუნდაობს (1)	ვიგუნდავე/იგუნდავა	ვიგუნდავებ/იგუნდავებს
გატარება	ვატარებ/ატარებს (2)	გავატარე/გაატარა	გავატარებ/გაატარებს
გაღვიძება	ვიღვიძებ/იღვიძებს (1)	გავიღვიძე/გაიღვიძა	გავაიღვიძებ/გაიღვიძებს
დაბანა	ვიბან/იბანს (2)	დავიბანე/დაიბანა	დავიბან/დაიბანს
დადგმა	ვდგამ/დგამს (2)	დავდგი/დადგა	დავდგამ/დადგამს
დადება	ვდებ/დებს (2)	დავდე/დადო	დავდებ/დადებს
დაკვრა	ვუკრავ/უკრავს (2)	დავუკარი/დაუკრა	დავუკრავ/დაუკრავს
დაპირება	ვაპირებ / აპირებს (2)	დავაპირე / დააპირა	დავაპირებ / დააპირებს
დაძინება	ვიძინებ/იძინებს (1)	დავიძინე/დაიძინა	დავიძინებ/დაიძინებს
დაწერა	ვწერ/წერს (2)	დავწერე/დაწერა	დავწერ/დაწერს
დახატვა	ვხატავ/ხატავს (2)	დავხატე/დახატა	დავხატავ/დახატავს
დახურვა	ვიხურავ / იხურავს (2)	დავიხურე / დაიხურა	დავიხურავ / დაიხურავს
ვახშმობა	ვვახშმობ/ვახშმობს (1)	ვივახშმე/ივახშმა	ვივახშმებ/ივახშმებს
ზეიმობა	ვზეიმობ / ზეიმობს (1)	ვიზეიმე / იზეიმა	ვიზეიმებ / იზეიმებს
თამაში	ვთამაშობ/თამაშობს (2)	ვითამაშე/ითამაშა	ვითამაშებ/ითამაშებს
თევზაობა	ვთევზაობ/თევზაობს (1)	ვითევზავე/ითევზავა	ვითევზავებ/ითევზავებს
ლაპარაკი	ვლაპარაკობ / ლაპარაკობს (1)	ვილაპარაკე/ილაპარაკა	ვილაპარაკებ / ილაპარაკებს

საწყისი	ახლანდელი დრო S O O ის (მას) (მას)	წარსული დრო S O O მან (მას) (ის)	მომავალი დრო S O O ის (მას) (მას)
მკურნალობა	ვმკურნალობ /მკურნალობს (1)	ვიმკურნალე/იმკურნალა	ვიმკურნალებ/იმკურნალებს
მოკრეფა	ვკრეფ/კრეფს (2)	მოვკრიფე/მოკრიფა	მოვკრეფ/მოკრეფს
მოლოცვა	ვულოცავ/ულოცავს (3)	მივულოცე/მიულოცა	მივულოცავ/მიულოცავს
მომზადება	ვამზადებ/ამზადებს (2)	მოვამზადე/მოამზადა	მოვამზადებ/მოამზადებს
მორთვა	ვრთავ/რთავს (2)	მოვრთე/მორთო	მოვრთავ/მორთავს
მოსმენა	ვუსმენ/უსმენს (2)	მოვუსმინე/მოუსმინა	მოვუსმენ/მოუსმენს
მოქარგვა	ვქარგავ/ქარგავს (2)	მოვქარგე/მოქარგა	მოვქარგავ/მოქარგავს
მუშაობა	ვმუშაობ/მუშაობს (1)	ვიმუშავე/იმუშავა	ვიმუშავებ/იმუშავებს
მხიარულება	ვმხიარულობ/მხიარულობს (1)	ვიმხიარულე/იმხიარულა	ვიმხიარულებ/იმხიარულებს
სადილობა	ვსადილობ/სადილობს(1)	ვისადილე/ისადილა	ვისადილებ/ისადილებს
საუზმობა	ვსაუზმობ/საუზმობს (1)	ვისაუზმე/ისაუზმა	ვისაუზმებ/ისაუზმებს
სეირნობა	ვსეირნობ/სეირნობს (1)	ვისეირნე/ისეირნა	ვისეირნებ/ისეირნებს
სიმღერა	ვმღერი(ვარ)/მღერის (2)	ვიმღერე/იმღერა	ვიმღერებ/იმღერებს
სირბილი	დავრბივარ/დარბის (1)	ვირბინე/ირბინა	ვირბენ/ირბენს
სრიალი	ვსრიალებ/სრიალებს (1)	ვისრიალე/ისრიალა	ვისრიალებ/ისრიალებს
სწავლა	ვსწავლობ/სწავლობს (2)	ვისწავლე/ისწავლა	ვისწავლი/ისწავლის
ყიდვა	ვყიდულობ/ყიდულობს (2)	ვიყიდე/იყიდა	ვიყიდი/იყიდის
ყურება	ვუყურებ/უყურებს (2)	ვუყურე/უყურა	ვუყურებ/უყურებს
სწავლა	ვსწავლობ/სწავლობს (2)	ვისწავლე/ისწავლა	ვისწავლი/ისწავლის
ქსოვა	ვქსოვ/ქსოვს (2)	(მო)ვქსოვე/მოქსოვა	მოვქსოვ/მოქსოვს
შეკერვა	ვკერავ / კერავს (2)	შევკერე / შეკერა	შევკერავ / შეკერავს
შეჭმა	ვჭამ/ჭამს (2)	შევჭამე/შეჭამა	შევჭამ/შეჭამს
შეხვედრა	ვხვდები/ხვდება (2)	შევხვდი/შეხვდა	შევხვდები/შეხვდება
ჩაცმა	ვიცვამ / იცვამს (2)	ჩავიცვი / ჩაიცვა	ჩავიცვამ / ჩაიცვამს
ჩუქება	ვჩუქნი/ჩუქნის (3)	ვაჩუქე/აჩუქა	ვაჩუქებ/აჩუქებს
ცეკვა	ვცეკვავ/ცეკვავს (1)	ვიცეკვე/იცეკვა	ვიცეკვებ/იცეკვებს
ცურვა	ვცურავ/ცურავს (1)	ვიცურე/იცურა	ვიცურებ/იცურებს
ცხოვრება	ვცხოვრობ/ცხოვრობს (1)	ვიცხოვრე/იცხოვრა	ვიცხოვრებ/იცხოვრებს
ციგაობა	ვციგაობ/ციგაობს (1)	ვიციგავე/იციგავა	ვიციგავებ/იციგავებს
წაკითხვა	ვკითხულობ/კითხულობს (2)	წავიკითხე/წაიკითხა	წავიკითხავ/წაიკითხავს
წოდება	ვუწოდებ/უწოდებს (3)	ვუწოდე/უწოდა	ვუწოდებ/უწოდებს

საწყისი	ახლანდელი დრო **S** **O** ის (მას)	წარსული დრო **S** **O** ის (მას)	მომავალი დრო **S** **O** ის (მას)
----------	ანთია (1)	ენთო	ენთება
გაბრაზება	ვბრაზდები / ბრაზდება	გავბრაზდი / გაბრაზდა	გავბრაზდები/გაბრაზდება
გაგრძელება	გრძელდება (1)	გაგრძელდა	გაგრძელდება
განსხვავება	განსხვავდება	განსხვავდა	----------
გართობა	ვერთობი / ერთობა (1)	გავერთე / გაერთო	გავერთობი / გაერთობა
გაჩერება	ვჩერდები / ჩერდება (1)	გავჩერდი / გაჩერდა	გავჩერდები / გაჩერდება
გაყიდვა	ვიყიდები / იყიდება (1)	გავიყიდე / გაიყიდა	გავიყიდები / გაიყიდება
შეცვლა	ვიცვლები / იცვლება (1)	შევიცვალე / შეიცვალა	შევიცვლები / შეიცვლება
გამოჩენა	მოვჩანვარ / მოჩანს (1)	გამოვჩნდი / გამოჩნდა	გამოვჩნდები/გამოჩნდება
გაფრენა	მივფრინავ/მიფრინავს (1)	გავფრინდი/გაფრინდა	გავფრინდები/გაფრინდება
დაბადება	ვიბადები / იბადება (1)	დავიბადე / დაიბადა	დავიბადები / დაიბადება
დაბრუნება	ვბრუნდები / ბრუნდება (1)	დავბრუნდი / დაბრუნდა	დავბრუნდები / დაბრუნდება
დაწყება	იწყება (1)	დაიწყო	დაიწყება
საზღვარი	ესაზღვრება (2)	ესაზღვრებოდა	----------
----------	ისმის (1)	გაისმა	გაისმება
ჩამოდინება	ჩამოედინება (1)	ჩამოედინებოდა	----------

მანიანი ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S O მას (ის)	წარსული დრო S O მას (ის)
მოწონება	მომწონს/მოსწონს (2)	მომეწონა / მოეწონა
სიყვარული	მიყვარს/უყვარს (2)	შემიყვარდა/შეუყვარდა
დაინტერესება	მაინტერესებს/აინტერესებს (2)	მაინტერესებდა/აინტერესებდა
მოხერხება	მეხერხება / ეხერხება (2)	მეხერხებოდა / ეხერხებოდა
ნდომა	მინდა/უნდა (2)	მინდოდა/უნდოდა
რქმევა	მქვია/ჰქვია (2)	მერქვა/ერქვა
ქონა	მაქვს/აქვს (2)	მქონდა/ჰქონდა
ყოლა	მყავს/ჰყავს (2)	მყავდა/ჰყავდა
გაკეთება	მიკეთია/უკეთია (2)	მეკეთა/ეკეთა
ჩაცმა	მაცვია/აცვია (2)	მეცვა/ეცვა
დახურვა	მახურავს/ახურავს (2)	მეხურა/ეხურა
ძილი	მძინავს/სძინავს (1)	მეძინა/ეძინა
ღვიძილი	მღვიძავს/ჰღვიძავს (1)	მეღვიძა/ეღვიძა
შეცივება	მცივა/სცივა (1)	შემცივდა/შესცივდა
დაცვენა	მცვივა/სცვივა (2)	დამცვივდა/დასცვივდა
კანკალი	მაკანკალებს / აკანკალებს	მაკანკალებდა / აკანკალებდა
ცემინება	მაცემინებს / აცემინებს	მაცემინებდა / აცემინებდა
ხველა	მახველებს / ახველებს	მახველებდა / ახველებდა
ტკივილი	მტკივა / სტკივა (2)	მტკიოდა / სტკიოდა
შეწუხება	მაწუხებს / აწუხებს (2)	მაწუხებდა / აწუხებდა

თავისებური ზმნები:

საწყისი	ახლანდელი დრო S O O ის (მას) (მას)	წარსული დრო S O O ის (მას) (მას)	მომავალი დრო S O O ის (მას) (მას)
ამოსვლა	ამოვდივარ/ამოდის (1)	ამოვედი/ამოვიდა	ამოვალ/ამოვა
ასვლა	ავდივარ/ადის (1)	ავედი/ავიდა	ავალ/ავა
გადასვლა	გადავდივარ/გადადის (1)	გადავედი/გადავიდა	გადავალ/გადავა
გასვლა	გავდივარ/გადის (1)	გავედი/გავიდა	გავალ/გავა
მისვლა	მივდივარ/მიდის (1)	მივედი/მივიდა	მივალ/მივა
მოსვლა	მოვდივარ/მოდის (1)	მოვედი/მოვიდა	მოვალ/მოვა
შესვლა	შევდივარ/შედის (1)	შევედი/შევიდა	შევალ/შევა
ჩასვლა	ჩავდივარ/ჩადის (1)	ჩავედი/ჩავიდა	ჩავალ/ჩავა
წასვლა	მივდივარ/მიდის(1)	წავედი/წავიდა	წავალ/წავა
ჯდომა	ვზივარ/ზის (1)	ვიჯექი/იჯდა	ვიჯდები/იჯდება
დაჯდომა	ვჯდები/ჯდება (1)	დავჯექი/დაჯდა	დავჯდები/დაჯდება
დგომა	ვდგავარ/დგას (1)	ვიდექი/იდგა	ვიდგები/იდგება
ადგომა	ვდგები/დგება (1)	ავდექი/ადგა	ავდგები/ადგება
დაწოლა	ვწვები/წვება (1)	დავწექი/დაწვა	დავწვები/დაწვება
წოლა	ვწევარ/წევს (1)	ვიწექი/იწვა	ვიწვები/იწვება
ყოფნა	ვარ/არის (1)	ვიყავი/იყო	ვიქნები/იქნება
----------	ცივა	ციოდა	აცივდება
----------	ცხელა	ცხელოდა	დაცხება
----------	თბილა	თბილოდა	დათბება
----------	გრილა	გრილოდა	აგრილდება
ცქერა	გავცქერი/გასცქერის (2)	გავცქეროდი/გასცქეროდა	----------
მსგავსება	ვგავარ /ჰგავს (2)	ვგავდი/ჰგავდა	----------
დაწყება	იწყება (1)	დაიწყო	დაიწყება
დება	დევს (1)	იდო	იდება
წყობა	აწყვია (1)	ეწყო	დაიწყობა
ბინადრობა	ბინადრობს (1)	ბინადრობდა	----------
მდებარეობა	მდებარეობს (1)	მდებარეობდა	----------
მოყოლა	ვუყვები/უყვება (3)	მოვუყევი / მოუყვა	მოვიყვები / მოუყვება
დაპირება	ვპირდები/ჰპირდება (3)	დავპირდი / დაჰპირდა	დავპირდები/დაპირდება
შეპირება	ვპირდები/ჰპირდება (3)	შევპირდი / შეჰპირდა	შევპირდები/შეპირდება
შეკითხვა	ვეკითხები/ეკითხება (3)	შევეკითხე / შეეკითხა	შევეკითხები/შეეკითხება

საწყისი	ახლანდელი დრო S O O ის (მას) (მას)	წარსული დრო S O O მან (მას) (ის)	მომავალი დრო S O O ის (მას) (მას)
დალევა/სმა	ვსვამ/სვამს (2)	დავლიე/დალია	დავლევ/დალევს
თქმა	ვამბობ / ამბობს (2)	ვთქვი / თქვა	ვიტყვი / იტყვის
თქმა	ვეუბნები / ეუბნება (3)	ვუთხარი / უთხრა	ვეტყვი / ეტყვის
მოვლა	ვუვლი / უვლის (2)	მოვუარე / მოუარა	მოვუვლი / მოუვლის
მოტანა	მომაქვს/მოაქვს (2)	მოვიტანე/მოიტანა	მოვიტან/მოიტანს
წაღება	მიმაქვს / მიაქვს (2)	წავიღე / წაიღო	წავიღებ / წაიღებს
მოტანა	მომაქვს / მოაქვს (2)	მოვიტანე / მოიტანა	მოვიტან / მოიტანს
მიცემა	ვაძლევ / აძლევს (3)	მივეცი / მისცა	მივცემ / მისცემს
სიარული	დავდივარ/დადის (1)	ვიარე/იარა	ვივლი/ივლის
ქროლვა	ქრის	იქროლა	იქროლებს
წვიმა	წვიმს	იწვიმა	იწვიმებს
თოვა	თოვს	მოთოვა	მოთოვს
ყვავილობა	ყვავის (1)	იყვავილა	იყვავილებს

საწყისი	ახლანდელი დრო S O მან ის	წარსული დრო S O მან ის	მომავალი დრო S O მას ის
ციდნა	ვიცი / იცის	ვიცოდი / იცოდა	მეცოდენება / ეცოდინება

გრამატიკული გზამკვლევი

კითხვითი სიტყვები

კონკრეტული ინფორმაციის მისაღებად ვსვამთ კითხვას. ამისათვის ვიყენებთ კითხვით სიტყვებს, მაგალითად:

- **ვინ? / რა?** — მიუთითებს საგანს/ადამიანს (*ვინ?* — დაესმის მარტო ადამიანს; *რა?* — ადამიანის გარდა — ყველაფერს);
- **რამდენი?** — მიუთითებს რაოდენობას;
- **როდის?** — მიუთითებს დროს;
- **როგორი?** — ახასიათებს სახელს;
- **რატომ?** — მიუთითებს მიზეზს.

ვინ	არის ცხოვრობს კითხულობს	ეს? აქ? წიგნს?
რა	არის ჰქვია უყვარს	ეს? მას? შენს ძმას?
რამდენი	წლის არის ძმა გყავს სკამია	შენი და? შენ? ოთახში?
როდის	იღვიძებს გაქვს მიდიხარ	შენი და? ქართული? სკოლაში?
როგორი	ჩანთა აქვს ჩიტი ზის ბიჭია	დათოს? ხეზე? შენი მეზობელი?
რატომ	ტირის არ იყავი არ ჭამ	შენი და? სკოლაში? საჭმელს?

- **სად?** — 1. მიუთითებს ადგილს;

  2. მიუთითებს მიმართულებას;
- **საით?** — მიუთითებს მოქმედების მიმართულებას.
- **საიდან?** — 1. მიუთითებს ადგილს;

  2. მიუთითებს წარმომავლობას;
- **საიდან სად/სადამდე?** — მიუთითებს მიმართულებას საწყისი პუნქტიდან

  საბოლოო პუნქტამდე.

სად	არის მიდის ცხოვრობს	გია? ის ბიჭი? ბიძაშენი?
საით	მიდის	ავტობუსი?
საიდან	არის გამოდის	შენი მეგობარი? ავტობუსი?

სახელის მრავლობითობა

1. თუ სიტყვა **-ო**-ზე, **-უ**-ზე და —**ე**-ზე მთავრდება, მრავლობითში მათ უბრალოდ დაემატება **-ები.**
   თუ სიტყვა —**ი**-ზე და —**ა**-ზე მთავრდება, **-ები**-ს წინ ეს —**ი** და —**ა** აღარ გვექნება.

მხოლობითი (ერთი)	-ი -ა (ბიჭ**ი**)... (მთ**ა**)...	-ო -უ -ე (სათამაშ**ო**)... (ბ**უ**)... (ხ**ე**)...
მრავლობითი (ორი და მეტი) (-ებ-ი)	ბიჭ-ები მთ-ები	სათამაშო-ები ბუ-ები ხე-ები

2. გარკვეულ სიტყვებს შიგნით აქვს: **-ალ- / -ელ- / -ოლ- / -ან- / -ენ- / -ონ- / -ამ- / -არ- / -ერ-** მარცვალი. ასეთი სიტყვების დიდი ნაწილი მრავლობითში ამ მარცვლიდან კარგავს ხმოვანს.

-ალ- -ელ- -ოლ-

მწერ**ალ**ი - მწერ**ლ**-ები
სოფ**ელ**ი - სოფ**ლ**-ები
ფოთ**ოლ**ი — ფოთ**ლ**-ები

-არ- -ერ- -ამ-

მხატვ**არ**ი — მხატვ**რ**-ები
ბოკვ**ერ**ი - ბოკვ**რ**-ები
კალ**ამ**ი - კალ**მ**-ები

-ან- -ენ- -ონ-

მოედ**ან**ი - მოედ**ნ**-ები
ყურძ**ენ**ი - ყურძ**ნ**-ები
ლიმ**ონ**ი — ლიმ**ნ**-ები

3. **დაიმახსოვრე!**

-ორ-

პამიდ**ორ**ი - პამიდ**ვრ**-ები
მინდ**ორ**ი - მინდ**ვრ**-ები

4. ზოგიერთი სიტყვა მრავლობითში კარგავს ერთდროულად ორ ხმოვანს — ერთს შუაში, მეორეს კი - ბოლოში.

პეპ**ე**ლ**ა** - პე**პ**ლ**ებ**ი
ქვეყ**ა**ნ**ა** - ქვე**ყ**ნ**ებ**ი
ფანჯ**ა**რ**ა** - ფან**ჯ**რ**ებ**ი

ნაცვალსახელი

არის სიტყვები, რომლებიც სახელის ნაცვლად იხმარება. ამ სიტყვებს ნაცვალსახელები ჰქვია:

ლია *სკოლაში სწავლობს.* — ***ის*** *სკოლაში სწავლობს.*

ბიჭები *ფეხბურთს თამაშობენ.* — ***ისინი*** *ფეხბურთს თამაშობენ.*

	პირის	კუთვნილებითი	
მე მქვია გია.	მე	ჩემი	ია **ჩემი** დაა.
შენ რა გქვია?	შენ	შენი	**შენი** ძმა სახლშია?
ის არის გია?	ის	მისი	ეს **მისი** ჩანთაა.
ჩვენ ვართ სახლში.	ჩვენ	ჩვენი	**ჩვენი** სახლი აქ არის.
თქვენ სად ხართ?	თქვენ	თქვენი	ეს **თქვენი** სკოლაა?
ისინი აქ არიან.	ისინი	მათი	ეს **მათი** ბებიაა.

რიცხვითი სახელი

სახელი შეიძლება იყოს ერთი, ორი, ათი, ასი და ა.შ. რამდენია, ამას მიუთითებს რიცხვითი სახელი.

- ის აკონკრეტებს რაოდენობას — ***რამდენი?***

  კლასში ოცი მოსწავლეა.
  მე სამი ძმა მყავს.
  ჩემი ძმა ათი წლისაა.

- გარკვეული სიმრვლიდან (რაოდენობიდან) აკონკრეტებს, რომელია — ***მერამდენე?***

  მე სამი ძმა მყავს. მესამე ჩემზე პატარაა.
  დათო მეხუთე კლასში სწავლობს.
  მე მესამე სართულზე ვცხოვრობ.

რამდენი?	**მერამდენე?**
ერთი ორი... ოცდახუთი...	პირველი **მე**-ორ-**ე**... ოცდა-**მე**-ხუთ-**ე**...

დაიმახსოვრე!

ერთად იწერება:
- ყველა რიცხვითი სახელი ერთიდან ასის ჩათვლით;
- აგრეთვე: ორასი, სამასი... ათასი

ცალკე სიტყვებად იწერება:
- ყველა დანარჩენი რიცხვითი სახელი: ას თხუთმეტი, ორი ათასი, ათას ცხრაას სამოცდახუთი...

ზედასართავი სახელი

არის სიტყვები, რომლებიც აღწერენ და ახასიათებენ სახელს — *როგორია? რომელია? სადაურია?*

სპილო **უზარმაზარი** ცხოველია. (როგორი ცხოველი?)
ნანას **გრძელი** თმა და **ცისფერი** თვალები აქვს. (როგორი თმა/თვალები?)
მე **წითელი** მანქანა მომწონს. (რომელი მანქანა?)
ჩემი **საუკეთესო** მეგობარი **თბილისელი**ა. (როგორი მეგობარი? სადაური?)

ზოგი ზედსართავი სახელები მეტნაკლები ოდენობით გამოხატავენ გარკვეულ თვისებას:

ეს ჩანთა **დიდია**, ეს ჩანთა **მოდიდოა** (/ნაკლებად დიდი), ის ჩანთა კი **უდიდესია** (ყველაზე დიდია).

ოდნავ ↓		ძალიან ↓
მო-წითალ-**ო**	წითელი	**უ**-წითლ-**ესი**
მო-ლურჯ-**ო**	ლურჯი	**უ**-ლურჯ-**ესი**
მო-მწვან-**ო**	მწვანე	**უ**-მწვან-**ესი**
მო-ცისფრ-**ო**	ცისფერი	**უ**-ცისფრ-**ესი**
მო-დიდ-**ო**	დიდი	**უ**-დიდ-**ესი**
მო-მაღლ-**ო**	მაღალი	**უ**-მაღლ-**ესი**
მო-ჭკვიან-**ო**	ჭკვიანი	**უ**-ჭკვიან-**ესი...**

დაიმახსოვრე!

ქერა	მოქერავო	უქერავესი
სქელი	მოსქო	უსქესი
ტკბილი	მოტკბო	უტკბესი
გრძელი	მოგრძო	უგრძესი
კარგი	----------	უკეთესი
ცუდი	----------	უარესი
მოკლე	----------	უმოკლესი

ზმნა

1. *გამოხატავს* ***მოქმედებას:*** *რას აკეთებს?*
   - ბიჭი თამაშობს ფეხბურთს.
   - ის მიდის სკოლაში.
   - ლია ირუჯება მზეზე...

2. *გამოხატავს* ***მდგომარეობას:***
   - ის ზის, მე ვდგავარ.
   - ბებია წევს.
   - ბავშვები სკოლაში არიან...

3. *გამოხატავს* ***გრძნობას, სულიერ მდგომარეობას:***
   - მე მამლის მეშინია.
   - ჩემს ძმას უყვარს ხატვა.
   - დათოს სპორტი აინტერესებს...

4. *გამოხატავს* ***ვინმეს ან რაიმეს ქონას/ყოლას:***
   - მე ორი ძმა მყავს.
   - ჩემს ძმას ველოსიპედი აქვს.
   - მამაჩემს ახალი მანქანა ჰყავს...

მოქმედების შემსრულებელი პირი

მოქმედების შემსრულებელი პირია ის, ვინც მოქმედებს:

მე ვხატავ, ვერთობი, ვდგავარ...		მიყვარს, მაქვს, მყავს...
შენ ხატავ, ერთობი, დგახარ...		გიყვარს, გაქვს, გყავს...
ის ხატავს, ერთობა, დგას...	**მას**	უყვარს, აქვს, ჰყავს...
ჩვენ ვხატავთ, ვერთობით, ვდგავართ...		გვიყვარს, გვაქვს, გვყავს...
თქვენ ხატავთ, ერთობით, დგახართ...		გიყვართ, გაქვთ, გყავთ...
ისინი ხატავენ, ერთობიან, დგანან...	**მათ**	უყვართ, აქვთ, ჰყავთ...

მოქმედების შემსრულებელ პირს სხვადასხვა ზმნაში სხვადასხვა ნიშანი აქვს. ამ მხრივ, ყველა ზმნა ქართულში ორ ჯგუფად ერთიანდება:

1. პირველ ჯგუფში არიან **მოქმედებისა** და **მდგომარეობის** გამომხატველი ზმნები (*ვწერ, ვხატავ, ვირუჯები, ვერთობი, ვარ, ვდგავარ, ვზივარ...*)

2. მეორე ჯგუფში არიან ზმნები, რომლებიც გამოხატავენ **გრძნობას, სულიერ მდგომარეობას** და **ქონა/ყოლას** (*მაქვს, მყავს, მომწონს, მიყვარს, მეშინია...*)

დააკვირდი!

I ტიპი
(**მ**ანიანი)

მყავს, **მ**აქვს, **მ**ი-ყვარს, **მ**აინტერ-ესებს...

II ტიპი
(**ვ**ინიანი)

ვწერ, **ვ**ხატავ, მი**ვ**დი-ვარ, **ვ**ირუჯები...

დაიმახსოვრე!

1. თუ **მე** **მ**ყავს, **მ**იყვარს, მო**მ**წონს, **მ**აინტერესებს..., მაშინ მესამე პირში აუცილებლად იქნება **მას** (ჰყავს, უყვარს, მოსწონს, აინტერესებს...)

2. თუ **მე** **ვ**წერ, **ვ**ხატავ, **ვ**თამაშობ, **ვ**ერთობი, **ვ**დგავარ..., მაშინ მესამე პირში აუცილებლად იქნება **ის** (წერს, ხატავს, თამაშობს, ერთობა, დგას...)

აქვს თუ ჰყავს?

- <u>თუ სულიერია (ცოცხალია)</u>, ვამბობთ – ***ჰყავს.***

  მე მყავს ერთი <u>ძმა.</u>
  ჩემს ბიძაშვილს ჰყავს <u>თუთიყუში.</u>
  სოფელში გვყავს <u>ცხენი.</u>

- <u>თუ უსულოა (არ არის ცოცხალი)</u>, ვამბობთ – **აქვს**.

  მე პატარა და ლამაზი <u>სახლი</u> მაქვს.
  რეზოს ფეხბირთის <u>ბურთი</u> აქვს.
  შენ გაქვს ფერადი <u>ფანქრები</u>?

დაიმახსოვრე!

<u>ტრანსპორტზეც</u> ვამბობთ – **ჰყავს**.

<u>ჩემს ძმას ველოსიპედი</u> ჰყავს.
მამაჩემს პატარა <u>მანქანა</u> ჰყავს.

მაგრამ:

მე ახალი <u>სათამაშო მანქანა</u> მაქვს.

ხანდახან
დროდადრო
იშვიათად
ზოგჯერ
ხშირად
ყოველთვის
მუდამ

+ უწყვეტელი

ორიენტაცია დროში

როდის?

საათი | *დღე-ღამის მონაკვეთები* | *კვირის დღეები* | *წელიწადის დროები* | *დროის ინტერვალები*

ორ საათ**ზე** ორ**ის** ნახე- ვარ**ზე**	დილ**ით** შუადღ**ისას** საღამო**ს** ღამ**ით** შუაღამ**ისას**	ორშაბათ**ს...**	გაზაფხულ**ზე** ზაფხულ**ში** შემოდგომ**ით/ზე** ზამთარ**ში**	გუშინწინ გუშინ დღეს ხვალ ზეგ	შარშანწინ შარშან წელს მომავალ წელს გაისად

სიხშირის განსაზღვრა დროში

როდიდან – როდემდე?

- გაზაფხულ**იდან** გაზაფხულ**ამდე**
- ორშაბათ**იდან** ორშაბათ**ამდე**
- პირველ**იდან** ორ**ამდე**
- დილ**იდან** საღამო**მდე**

რა ინტენსივობით? / რა სიხშირით?

ხანდახან იშვიათად ხშირად ყოველთვის არასოდეს	დიდი ხანია ცოტა ხანია ერთი წელია ერთი საათია ერთი თვეა მთელი დღეა	ყოველდღე ყოველთვე ყოველ წელს ყოველკვირა ყოველ ორშაბათს ყოველ აგვისტოს ყოველ ზამთარს

ორიენტაცია სივრცეში

მოქმედების ადგილი და **მიმართულება**

სად?	საით? / საითკენ? საიდან? სადამდე?

აქ–იქ; წინ–უკან; მარჯვნივ–მარცხნივ; მაღლა–დაბლა; პირდაპირ; გვერდით; ახლოს/შორს... სახლ**ში** ზღვა**ზე** ტყეს**თან** სახლ**თან ახლოს**	თბილისის**კენ** თბილის**ის მიმართულებით** თბილის**იდან** თბილის**ამდე** სახლ**ამდე** სახლ**იდან შორს**

ზმნისწინი

ზმნას წინ აქვს მარცვალი, რომელიც მიმართულებას უჩვენებს. ეს მარცვალი არის ზმნისწინი.



მოქმედების მიმართულებას განსაზღვრავს პირველი პირი – **მე**